# ივერია

1882

№ IX, სექტემბერი.

თბილისი.
მქვთიმე ხელაძის სტამბა.
1882

# შინაარსი:

I ბედ-უკუღმართი ჯალაბობ, (ამბავი სოფლის ცხოვრებიდამ) ალ. მირიანაშვილისა. . . . . 3

II ისტორიული სურათები, (ქართველი ქალი) (შემდეგი). მღ. დიმ. ჯანაშვილისა. . . . . . 25

III ციხე შიგნიდამ გატეხილი, რომანი (შემდეგი). . 73

IV წისქვილო, (ლექსი) თ. რაფ. ერისთავისა . . . 98

V წერილი ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ (დასასრული) გ. წაიაშვილისა. . . . 99

VI ბუთანი, (ლექსი) თ. რაფ. ერისთავისა. . . . 125

VII ჭმუნვა, (ლექსი) ი. ბაქრაძისა . . . . . . . 126

VIII პოლიტიკური მიმოხილვა . . . . . . . . 128

IX შინაური მიმოხილვა. ნიშანი ერის ჰასაკში მოსვლისა—როდის უფრო უტყუარია ეგ ნიშანი—ევროპა წინაშე მისთა მოღვაწე კაცთა—რუსეთის მაგალითი—იგივე მაგალითი ჩვენში—აკაკი წერეთელი გორსა და თელავში—მისი სიტყვა—ანდერძი ჩვენის მამა პაპისა—გაუმარჯოს! . 140

X განცხადებანი.

# ივერია

## საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი.

---

წელიწადი მეექვსე.

6013

## № IX

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის
აკად. ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили
Академия наук ГССР

თბილისი.
ექვთიმე ხელაძის სტამბა, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.
1882



Дозволено цензурою. Тифлисъ, 19 Августа 1882 г.

# ბედ-უკუღმართი ჯალაბობა.

(ამბავი სოფლის ცხოვრებიდამ.)

## I

იყო გაზაფხული. ახლად ამწვანებული ტყე და ველი, მშვენიერი სუფთა და ნელ-თბილი ჰაერი, ახლად მოფრენილი მერცხლის საამური ჭიკჭიკი—ამ ყველაფერს სასიამოვნო ზედ-მოქმედება ჰქონდა კაცის დაუდგრომელს გულზედ. ამ დროს ქიზიყში, როგორც საზოგადოდ ყველგან საქართველოში, გაცხარებული მუშაობა იყო მინდვრებ-ვენახებში, გაღმა და გამოღმა. ყოველს ჟამს, ყოველს დღეს შენ ნახავდი უსათუოდ დიდს თუ პატარას, კაცს თუ დედა-კაცს რაღაცა ფაცა-ფუცში: ზოგს ზურგზედ მუშების საგზლით გამოჭედილი გუდა ჰკიდია და მიჩანჩალებს სოფლის ბოლოსაკენ, ზოგს წინ მიუძღვის ურმის საქონელი და მიეშურება ისევ იქითკენ, ერთი ცარიელს ურემს მიაჩახჩახებს, მეორეს დატვირთული მოაქვს—ასე რომ ორღობეებში ფეხს ვერ აუქცევდი; ჭაამოს ძახილს და მოლტის ტულაშუნს ხომ ბოლო არა ჰქონდა.

ამ დროს, ერთ საღამოს, როდესაც მზემ ჩვეულებრივ მოკრიბა დედა-მიწის ზურგიდამ თავისი უკანასკნელი სხივები, ერთ ქიზიყის სოფელში, სახელდობრ ა—გაში, ღამის სიჩუმე ჩამოვარდა, ხოლო ამ სიჩუმეს აღვიძებდა სხვა-და-სხვა ნაირი

მწყრების განუწყვეტელი ჭიჭინი. ა—გის ერთ კუნჭულში სცხოვრობდა გლეხი ბებენა ხან-შვილი, რომელსაც ედგა ერთი პატარა მოწნული ჩალიანი გვერდზედ წამოწოლილი ქოხი. ერთს მხრიდამ ამ ქოხს მიბჯენილი ჰქონდა ორი მუხის ბოძი, რომელნიც იცავდნენ მას სრულიად დაფუშვისაგან. შიგნით დაინახავდით თქვენ ბოლისგან შემჭვარტლილს პატივით გალესილს კედლებს და აგრეთსავე სხვენსა. შიგ შუა-გულში იდგა გვერდზედ გადახრილი მჭვარტლიანი დედა-ბოძი; ამას უკანიდამ მოყუდებული ჰქონდა ცარიელი გამოლესილი ფქვილის გოდორი, წინადამ კიდევ ჩაფლული ერთი ლოდი, ე. ი. კერა. კერას მარცხნივ ესხდნენ ბებენას სახლობა, რომელსაც შეადგენდნენ მისი ცოლი გაიანე და ორი ვაჟი-შვილი: ერთი ხუთის წლისა და მეორე მუმუთა, ათი-თერთმეტის თვისა; მათ პირ-და-პირ ბებენა დაღვრემილი იჯდა ნეჭის ნაგლეჯზედ და შეჰყურებდა გაშავებულს საკიდელას, რომელიც სხვენიდამ საცეცხლეზედ იყო ჩამოშვებული. პატარა ხანს უკან გაიანე ბავშვს აკვანში აწვენდა დასაძინებლად; უფროსი შვილი ბებენასი დედას ტირილით პირსა სთხოვდა, მაგრამ გაიანეს ყური შეჩვეული ჰქონდა ამ ნაირს ტირილს და არავითარს ყურადღებას არ აქცევდა იმას. როგორც იყო ჩააწვინა გაიანემ ბავშვი და კიდეც დააძინა; ბოლოს მოიბრუნა პირი დაფიქრებულს ქმრისაკენ და შემდეგ ორი-სამის წუთის სიჩუმისა გამხმაურა მას:

— კაცო, რა დაგემართა, რაი შამამურა ხოლმე გულს, თავათ იმ ქვეყანაში გამოსარჩევმა ტეშიამ (გზირის მეტი სახელია) სუ აგვაოხრა ლილას!

— ეჰ, რაი მიჭქარამ, დედა-კაცო! შენ ჩემ გულში კი არ ჩამაიხედამ და დამიწყობ აქ ოსტატობასა... ლეგი მამასახლისმა

ნაჩალნიკიდამ ქაღალდი მიიღო რომაო, კომლზე კაცი გამაიყვა გაღმაურ ტყეს ცეცხლი მოჭკიდებია იმი გასაქრობათაო. აბა ეხლა შენ მითხარ, რო ავიღო თავი და იქ ვიარო ორი-სამი კვირა, რაღამ გვაცხოვროს? ე ხო აღარც პური გვაქვ, აღარც ქერი ფქვილი; ნახნავი ჩვენ არა გვაქვ და ნათესი... ვამობდი წავალ, ჯან გავიგდებინებ, ვუშველი ვისმე მეთქი ერთ ორი-სამი თვის პური ფასს გამოვრჩები მეთქი და ეხლა ე ნაცილი გა-მამივარდა.

აქ ცოტა ხანს შედგება და ბოლოს გაამეორებინებს ვა-იანეს წელანდელს ნათქვამს:

— ეი რაი თქვი, ადამიანო, ტეშაამ რა მიყოვო?

— ყამი რო შაუდგეს; მოვიდა ნაჩალნიკიდამა და სადგო-ლისათვი ქათმები და ათიოდე პური მამეცითო. მე უარზე შავდექი, მაგრამ იმ პირ-შავმა ეხროლა ჯოხი ი თეთრ ქოჩო-რა დედალს და მოკლა; ამას არ დასჯერდა; წამოუსვა ახლა ბატებს და ორი დედალ-მამალი თან გაატანინა; შამოვიდა სახლ-ში, ახლა პურებ გაუსვა ხელი და სუ დახვეტა

— მა ვახშმითვი პური აღარა გვაქ! საჩქაროდ დაატანა კით-ხვა ბებენამ.

— ჩვენებიანთ ვეესხე ერთი წმინდა პური შენთვინ და სა-მი ქერი პური კიდე ჩვენთვინ.

— რაღა უნდა ჩაასესხო, ჭო რო ისესხე?...

ცოტას ხანს ორივ დაჩუმდნენ.

— მა რა ვქნათ, ქა, მაშ სამუშაოდ ვეღარ წახვალ?

— ადამიანო, შენ ქრისტიანე თუ ხარ, ისა მკითხე; მა რო-გო, ხუმრობი გული მაქ რო გელაპარაკები? ეხლა სადაა გზი-რი ბეგარას დაიძახებს.

მართლაც ამ ბაასის დროს მოისმა სასოფლოიდგან გზი-რის გაგრძელებული ყვირილი:

— ხალხნო, ხვა-ლე ადრიანად წა-ხვი-დეთ, უნდა გაღმა ცეც-ხლი გა-აქ-ქროთ, ნიჩ-ბები, თოხები, ცულები გამოიტანეთ!..

— აი ჩაგწყდეს ე ხმა, ამოგვარდეთ ეგ ენა მა პურები წა-ლებისათვი, წაიბუტბუტა გულ-მოსულმა ბებერმა: მე ამოსა-ვარდნელო, რო მიგაქ, შენ ღმერთ რა პასუხს აძლევ, რას ქუშ-ნევი ჩემ წვრილ-შვილს; ხო ხედამ მაგი მეტი აღარა აწუვია-რა ე კარცლში, რატო ერთი ბეწვა ცოდო-მადლი არ იცით, თქვე მგლებო, კაცი მჭამლებო!.. ჯო, მურა მიგაქ-მიგაქ, — ე ქუ-თამი და ბატები რაღა ღვთი რისხვაა? რაღა მე მომნახე, მე ოჯახს დაქცეულო, ამაი მაინც სხვა წაართმევდი. მაგრამ... ქე დაბალი ღობე მამნახე, მგელო, და მიბრიყებ... ჯანი გაგვარ-დეთ, ხო გამყვლიფეთ, გამცარცვეთ, დამღუპეთ, მემრე კიდე მოგინდებით, რაღაი წამართმევთ... მამიდნეთ, მგილო, მამიდ-ნეთ, ეს ერთი კაცი მითომ .. აქ ბებერმა შეიმაგრა თავი ბებერ-ნამ და პატარასავით ქვით-ქვითი დაიწყო. ამის ტირილზედ გაია-ნემაც ჩუმად ქალის სისხლ ცრემლები გადმოყარა ორთავ თვა-ლებიდამ, თუმცა ის ცდილობდა თავის შინაგანი მღელვარება დაეფარა და ქმრისათვის ჩვეულებისამებრ ორჯელ სანუგეშო სიტყვა გაეგონებინა. რასაკვირველია, ბებერმა შეატყო გაიანეს ტირილი და შემდეგ რამდენიმე წუთის განმავლობაში მან თვა-ლების წმენდით და გულის ამოსკვნით მისცა უსაყვედურო შე-ნიშვნა:

— ადამიანო, შე რაღას ღმერთი გიწყრება? ქრისტიანი არა ხარ, პირ-ჯვარს არ იწერ? მე რო ვტირი — საქმეთვის ვტირი, შენ რაღაი ამეე მეტკივრი გულდასავით?

გაიანემ ამაზედ არავითარი პასუხი არ მისცა; იქნება კი-

დეც მიეცა, მაგრამ ის იმ წამს ისე იყო გატაცებული შავ ფიქრებისაგან, რომ ქმრის სიტყვების მაგივრად, მას შემოესმა მხოლოდ გაბმული, უაზრო ხმაურობა. არც ბებია იყო ამ შემთხვევაში დაყოვნებული: არც თითონ გააგრძელა გაიანეს კეხვა და აღარც მას მოსთხოვა პასუხი.

ღამე თანდათან ახლოვდებოდა. ცინცხლემ შეკერთა პატარა ქოხში ყოველი, რაც კი მასში მოიპოვებოდა რამე: ქედლები, სხვენი, თოხი და სხვ. ბებია ნეხვზედ დაჯდა და სწრაფად დაუთმო ძილს სკვდიანი გული. გაიანემაც ამ უუბარის ჟინის წყალობით, რომელმაც ერთიან დაარღვია ოჯახობა, თვლემა დაიწყო ქვრივმქალამ; თავის ჯღვაში მას არ უნდოდა დაწოლილიყო, რადგანაც გულში ჰქონდა ჩარჩენილი ქმარ-შვილისთვის ვახშმის ჭამა, მაგრამ ძილმა საშინლად დასძლია და დაიწყო აქეთ-იქით რხევა: ხან წინ ჩამოაკანტურებდა თავს, ხან მარჯვნივ. ამასობაში ერთი უცებ გადაემვა მარცხნივ და სწორედ სახეში ჩასცა ხელი თავის უფროს შვილს, გიოს, რომელიც მის წინ გულ-აღმა დაგდებულიყო და ხვრინავდა.

— ვაი! შეჰყვირა უცებ შეშინებულმა გიომ და ძილშივე ზედ დაატანა: მიცველე, პური ძაღლმა წამართვა!

ამ ყვირილზედ გოგომ ყველანი გამოაღვიძა: პატარამ აკვანში მორთო ტირილი, ბებიამ წამოიწია და ნიშნად გაჯავრების ზურგის ქექით და ტუჩების მანჭვით შეუკურთხა ბავშვებს:

— გაბრაჭყვა თქვენი!

გაიანესაც ხმა, რასაკვირველია, გამოკვეთილა, დაუწყო აკვანს რწევა და მიუბრუნდა გიოს:

— რა დაგემართა, შვილო, აქ რა მოგდის? ჰკითხა მილი-სახიანმა და თან შიშისაგან ზარ-დაცემულს გიოს გაიანემ.

— ღრუბლო ალა, პურის ლოს მამე უნდა მეწამა და მულიგამ წამალითვა ი ოქელმა, გააგრძელა ტირილით და თავის ქქმით-გიომ.

— არა, განაცვალოს ჩემი თავი, სიზმარში განახამ, მე შენ-თვის პური არ მამიცია. შენამც კი მოგკდომია, შვილო, დე-და, რო შენი კუჭი ჯერ მადლიანათ არ გამძღარა, სთქვა თა-ვისთვის გაიანემ და თან-და-თან უფრო გაამრიელა აკვნის რწე-ვა, რომელშიაც ბავშვმა ბეჯითად დაიწყო ჭყივილი.

— ეგ ხმა-ჩასაკმენდი, რამოტელასა ჩხავის, თქვენ გამარ-ჯობაი, რაი გარდნია, რო გტაცო ხელი და მ ქერას მიკანარ-ცსო! თქვა გაჯავრებულმა გეგენამ, რომელმაც სიტყვის გათა-ვების თანავე წამოსადგომათ დაბჯინა მარჯვენა ხელი ნეჭას, თითქო მართლა ქსურს წარმოთქმულის სისრულეში მოყვა-ნაო.

— ადამიანო, შენ ა სიბერი დროს ჭკუა გელევა, როგორ-ცა ვსედამ: რაო, ჯერ არ გინახავ ყმაწვილი ტირილი რა? თუ არა და ამათი ადათი ეს არი. ხან იცინებენ, ხან იტირებენ; მა როგორ? დაწყნარებით წაუკითხა გაიანემ გეგენას.

— დახე ამას, რო ენა დაიგძელა, თქვენი ჭირიმეთ! იქნება შენ პატარა ხანს უკან ზედაც შამჯდე აი; შენ ე, სუ გეუბნე-ბი ჩემ ოტტატობაა თავი დაანებე, გაიახე, თორე, ღვთი წყა-ლობა მაქ, შენ იშოვნო რამე! დამუქრებით მიუთვალა გეგენამ და რომ ამ სიტყვებისათვის რაიმე მნიშვნელობა მიეცა, მან უღვაშებზედ თითო ჯერ ხელი გაისვ-გამოისვა.

— ჯანი გაივარდეს ჩემ ბედი-მწერალს, დაიწყო გაიანემ: რაც გინდა მიყავ; ნეტავი კიდეც მამკლა, მე მოხარული ვიქ-ნები: ეგება ერთხელ მოვრჩე ამ წუთ სოფელს და მოვშორდე ამოტელას ძაღლ-უმადლობას; მთელი ქიზიყი ჩემი წვრილ-შვი-

ლი ცოდვისაგან იწვება, რო ჭხედავენ მშიერ-მწყურვალებს და მიშვლებ-ტიტვლებს. აბა ამათ მაყურებელმა დედის ღვიძლმარალა ქნას? ის არ ურჩევნია, გაუსკდეს დედა-მიწა და მაისკენოს საუკუნოთა?...

— აბა-რა, სიტყვი მასალა შამოგაკლდება თუ? დაცინვით უთხრა გეგენამ: შენი ყველაყისამ, შენ თუ არ მითხარ, მე ხო ველარა ვხედამ ჩემი შვილები ყოფაა და! მაგრამ რა ქნა, შვილოსავ, რა წყალში გადავარდე: ჩემ თავ მოუარო, შვილები შევინახო, მოხულე გავუძლო, ხელმწიფე ვემსახურო — რომელითვი ვიცე თავში, რომელი ერთი ავიტანო?... რა მამულ-დედული და გუთნი პატრონი მე ვარ! ხარი მე არა მყავს და კამეჩი. რაღაცა დღი-ნახევარი ორი ვაზი მედგა — ამ — ნოვემა ვალში წამართვა; ოთხი-ხუთი დღი სახნავი მიწა მეშავა — შენი მაზლი დამარხვაში მოვიხმარე; ერთი ცხენი გულისათვი ორი წელიწადი ვიმსახურე — ისიც სახლი კარებიდამ მამპარეს; ერთი სახედარი გვყავანდა, საცოდავ მოსვენება არა ჭქონდა: ხან შეშაი ვაზიდინებდი სიღნაღს, ხან ბალახს, ხან კრამიტს*), ერთი ორიოდე მაურს ვრჩებოდით — ისიც იამანმა გაიტანა თან; ეხლა დავრჩით დედი-შობილა. ე რაღაცა ემმაკი ქოხია — ესეც დღეა თუ ხვალ თავზე ჩამოგვაწვება და მაშინ აშენდება ჩვენი ოჯახი....

ამ ლაპარაკში მათ შეუმჩნევლად გაზაფხულის ბრწყინვალე მთვარე საამურად ამოტივტივდა ვარსკლოვან სივრცეში და ერთი წამის უმალ მოჭვინა თვისი ფერ-მიხდილი სხივით ალაზნის ველი და კერძოთ ა—გის არე-მარე. ამავე დროს მან კარებიდამ შეაშუქა სევდისაგან შეჭმუხვნილ სახეზედ მდუმარე

---

*) კრამიტს-აგურს სიღნაღს ა—გიდამ ეზიდებიან.

ბებენას, რომელსაც სრულიად დაუფუთხავს მძიმე უამინდო ცხოვ-რებაზედ ახლად ამოდილმა ფიქრებმა და რომელსაც ისე სა-შინლად უძგერდა გული, თითქო ფრინტკების ართება მოსვლიაო.
და მართლაც, ნუ თუ არ აგითრთოლდება გული, როდესაც შენ იქნები მივარდნილი ღვთის ანაბარად ერთს უდაბურს კუნ-ძულზედ, რომელიც არა ჰყამს არ ნახულა კაცის თვალისაგან, არის სამყოფელი მხოლოდ ნადირებისა; ხარ განწირული მათ სამსხვერპლოთ და იცი, რომ ნუგეშის ხმას ვერ და-მღერს საბრალობელი შენი გვამი? ნუ თუ არ აგევსება თვალი ცრემლით, როდესაც უმზერ შენ ცოლსა და წვრილ-შვილს, მოკლებულს ყოველივე ცხოვრების გზა-კვალს, მოკლებულს უკანასკნელს ლუკმა-პურს და მაშასადამე უკანასკნელს სამოვ-ნებას?...

არა, ჩემ კალამს არ ძალუძს ნათლად გამოხატვა ბებე-ნას სულებრივი მდგომარეობის სურათისა; მე უსათუოდ უნდა ვიყო აღჭურვილი ნამდვილი მწერ-მეტყველობის ხელოვნე-ბით და დაჩუქრებული მაღალის ნიჭიერებით, რომ შემეძლოს თუნდა ნამცეცის ოდენად დავანახვო მკითხველს ის ვაება, რო-მელიც ბებენას ამ დროს ჰქონდა ზედ შუბლზედ ცხადად წარ-წერილი!...

ისა ჰფიქრობდა აწმყოზედ, ისა ჰფიქრობდა მომავალზედ; მას თვალ-წინ ედგა შვილები, თვალ-წინ ედგა სახლ-კარი; აგონდებოდა ფქვილის ცარიელი გოდორი, აგონდებოდა ბეგა-რა; ელანდებოდა ფოსტის ფული, ჩაფრები და ვინ იცის, რამდენი სხვა ამ გვარი ვაგლახნი ფიქრნი არ ებღაუჭებოდ-ნენ ამ დროს ბებენას ტანჯულს გულს, თითქო მათ ჰსურდათ დაეღნოთ იგი სრულიად, ვითა შაქრის ნაჭერი ცხელ ჩაის ჭი-ქაში, და დაეკავებინათ საუკუნოდ კაცის მოცოცხლის უკანას-

გნელი ნიშანი — მკერდებში შავი სისხლის წყარო მსვლელობა!

ხანგრძლივის სიჩუმის შემდეგ გაიანემ მიიბრუნა პირი თავ-ჩაღუნულის ქმრისკენ, ორჯელ-სამჯერ პირ-ჯვარი გადასწერა პატარა აკვანში მწოლიარე ბავშვს, თანაც რაღაცა წაიდუდუნა და მერე უთხრა გიგუას:

— ქა, ადე, ქვემაგები გარეთ არის; ღამაზე მთვარეა; ე ბიჭსაც (გიოს) დღეს პური არ უჭამია; გარეთ გავიდეთ, ერთი ლუკმა პური შევაცოხლოთ და დაიძინე. ხვალე, მე ვიცი, ტყეშია შუა-ღამისას მოგვიკვდება — ბეკარაზედ წამოდიო...

— პური კი არა, მე ცეცხლი და ნავთი მინდა, იყო პასუხი გიგესასი: გადი ერთი გამალე, უნდა დავწვეო; ხვალე უნდა პატარა ადრე წამოვიწიო.

სთქვა ესა, წამოდგა ფეხზედ და გაბრაზდა; რომ დედაბოძს არ დაეჭირნა, კიდეც დაეცემოდა, ისე იყო დარეტიანებული და თავ-ბრუ-დახვეული სიბოროტისაგან. როდესაც პატარა თავი შეიმაგრა, გავიდა გარეთ, საგულისგულოდ ამოიფშვინა ღამის გრილ ჰაერზედ, ერთი გემრიელად დაამთქნარებინა ძილისათვის და გადალეულის ბალნიანის გულის ქექით ხმა მაღლა გაეხმაურა გაიანეს, რომელიც ან იყო გიოს პურს უტეხდა და ემზადებოდა გარეთ გამოსვლას:

— აბა ერთი მაცდევინე ახლა, კაცო ძლივსღა ვდგევარ ფეხზედ.

— მოვდივარ, ადამიანო, ე ბიჭ კიდობნიდამ პური ამოვართვი.

გამოვიდა გაიანეც, გაშალა ლოგინი და შევიდა სახლში აკვნის გამოსატანად. ბებიას მიეყუდა საწოლს, დაიწყო ქალამნების ხდა, მაგრამ ხშირი ოხვრა და აწრიალებული ცხვირის ცე-

მინებას თავს არ ანებებდენ, თითქო გრძნობდა, რომ ხვალინ-დელ ბეგარაზედ წასვლა იმისთვის რაიმე უბედურებას მოას-წავებდა.

— ჰა, ეგი, დამიდგეს თვალები, რატო იგრე გაცემინებს; არა დეგემართოს-რა კი რამე გალმა, ეთხრა ცოტათ შეშინე-ბულმა გაიანემ, რომელმაც მოუდგა ლოგინს მეორე გვერდზედ აკვანი და რომელიც მოუჯდა ბეგენას აგრეთვე დასაძინებ-ლად.

— ადამიანო, ე მასხარაობაი თავი დაანებე მეთქი, სუ იმაი გეუბნები და ვაი გაგეწყე რა, გაჯავრებით მიუბრუნდა ბეგენა: ცხვირ რო უჯერებდე, აქამდი ა—გიდამ უნდა ავერილვიყავ სუ-ერთიან.

ამით გათავდა მათი დღევანდელი ბაასი. ორთავემ დაი-ხადეს; გიო შუაში ჩაიწვინეს და მიეცნენ დროებით განსვე-ნებას, თუმცა ცხვირის ცემინებამ ახალი სევდა აუშალა გაია-ნეს: ამან ეს გულში ჩაიტანა.

დაძინებით კი დაიძინეს, მაგრამ მათი ძილი ფრიად გა-ნირჩეოდა ჩვენის ძილისაგან, მკითხველო: მთელი ღამე ბე-გენა შამფურივით ტრიალებდა ლოგინში; არა ჰქონდა არა-ვითარი მოსვენება ნაღვლისაგან; რაღაცა მძიმე ლოდი აწვა ტანჯულს გულზედ და მატყლის ლეიბის მაგივრად იგი ჰგრძნობდა თვის ქვეშ ეკლით ქსოვილს საფენსა. არა ნაკლებ მდგომარეობაში იმყოფებოდა მისი ერთგული მეუღლე—გაია-ნე: ქმრის ერთი მძიმე ამოფშვენა ჰბადავდა მასში სამს უმძი-მესს; ერთი მწარე ამოკვნესა—სამს უმწარესს და ესე უოველი მოძრაობა ბეგენასი იხმობდა უსათუოდ რაიმე საბედლო მოქ-მედებას გაიანესაგან. ამ გვარად განვლო მათთვის მთელმა ღა-მემ; უგულო, უგრძნობო ბუნებამ ამ ჟამად არ გამოიჩინა

საბრალოთათვის სულ-გრძელობა; ვერ იქონია მათზედ მცირედი ზედ-მოქმედება და ვერ გამოიყვანა იგინი შემმუსვრელ ყოფისაგან... მთვარე თან-და-თან ეშვებოდა სამხრეთ-დასავლეთისაკენ და ბოლოს სრულიად მოეფარა ბედ-კრულს ქოხსა. იქნება იგი შესწუხდა მათის ცქერისაგან? იქნება ვერ აიტანა მათი წვალება და მისთვის მოარიდა პირი?—შენ არ მომიკვდე, ბებენამ ვერ იპოვოს გულის შემატკივარი! მთვარე არ განაგებს ხალხთ ვითარებას. ხალხის გამგე თვით ხალხივეა და ამიტომ ისე წმინდად მოჰკრიდა მან ლოგინიდამ თვისი სხივები, ასე გონია სურდეს კიდეც ჩააგონოს მასში მწოლიარეთ: აჰა მოგანიჭეთ მე აჩრდილი, ე. ი. სიბნელე, რამეთუ არ ხართ ღირსნი ნათელისა და არც ოდესმე მოგეცემათ იგი...

განთიადის მედგარმა მოქმედებამ სრულიად დასძლია ღონე-მიხდილი ღამე; შავმა ცამ და მდუმარე ღამის ბუნებამ იგრძნეს ცვლილება: ჰქრებიან კაშკაშნი ვარსკვლავნი და სამაგიეროდ ცისკარმან შეღება ვარდის ფრად ქვეყნის განმაცოცხლებელი აღმოსავლეთი; აგერ დილის ნიავმაც ჩვეულებისამებრ დაჰქროლა ა—გის არე-მარეს; ფრინველთ იწყეს მხიარულება და უმანკო მშვენიერებით აღვსილმა ჰაერმან დაიპყრა თვის ხელში მთელი ქიზიყი.

— უი, ჩემ ბედი-მწარეს, წამოიძახა უეცრივ გაღვიძებულმა გაიანემ: ე რატო იგრე დაგვძინებია, შუა-დღე წამოსულა!

სთქვა ეს და დაუწყო ბებენას ღვიძება. უკანასკნელმა წყნარად წამოიწია, წამოჯდა ლოგინში, მოიფშვნიტა თვალები და ერთი ღონივრად გაიზმორა კიდეც. პატარა ხანს უკან ბებენა და მისი მეუღლე ფეხზედ იყვნენ; პირველი ეძებდა ბუგარაზედ წასაღებათ ცულსა, მეორე მის გულის დასანაყრებლად უმზადებდა სუბუქს საუზმეს.

— აჰა, ადამიანო, გუშინდელი მშიერი ხარ, ორიოდე ლუკმა მაჭამე და იგრე წადი, ბოლოს უთხრა გაიჯანჯმდა და წინ დაუდგა მუხლზედ გახეთქილი, შემჭვარტლილი ხონჩა, რომელზედაც იდო ერთი ქერ-ნარევი შოთი.

— ე პური სად იშოვე? ჰკითხა ბებენამ.

— აი, გუშინ რო გითხარ, ჩვენებიანთ ორიოდე პურს გასესხე მეთქი; ზოგი ბიჭებითვე შევინახე და ზოგი კიდევ შენ წაიღე საგზაოთ.

ბებენა მოუჯდა უბადრუკს სუფრას და ზარმაცად დაუწყო მშრალს ლუკმას ღეჭვა. იგი სჭამდა პურს არა იმიტომ, რომ შიოდა (ის სიმშილს სრულიადაც ვერა ჰგრძნობდა), იმან იცოდა, რომ მის კუჭში გუშინ არა ჩასულა-რა და რომ ამასთან მას მოელოდა შორი მანძილის მგზავრობა.

როდესაც ორიოდე-ჯერ უბები გაანძრია, ბებენამ დაინახა თავისაკენ მომავალი გაშმაგებული, გაშფოთებული ტემია, რომელსაც ხელში ეჭირა მოკლე და სქელი ბელღოჯის ჯოხი და თანაც საძაგლად მოილანძღებოდა.

— მე ოჯახ-დაქცეულო, წაადგა ბებენას თავზედ და დაუწყო ჯავრობა: შენი გულითვინ ჩავარდა მე გადამაწნა მათრახი; აქამდი რას უზიხარ და არ გამოხვალ, იმოდენა ხალხი შენ გელოდება?!

— მე რაი მელოდება, შვილო, ჩემი მეტი არავინ არი ჯერ მინა-რა?

— ისინიც შენითანა ძაღლები არიან, როგორც შენ! ადე ჩქარა, თორე ჩავაზილე ე ფეხი!!

— კაცო, ქრისტიანი არა ხარ? დაიცა ჩამავლავე ე ლუკმა, ავდგები, მა უკან დავიწყევ-რა, კრძალვით უთხრა ბებენამ.

— ბიჭო, ადე მეთქი, თორე ა გალეცხლებულმა, ღვთის წყა-

ლობა მაქვს მოვიფხანო შენზე გული!! დაუყვირა ბებენას თვა-ლების ბრიალით და კბილების კრაჭუნით გაკაპასებულმა ტეშიამ.

— ქა, ადე წადი, პური გზა-და-გზა ჭამე, ქსენი ხომ ნა-ცილები არიან, ტირილის ხმით მისცა რჩევა უბედურს ქმარს გაიანემ.

— დედა-კაცო, ე თავი დამანებე, მიუბრუნდა ბებენა: ჯანი გავარდეთ. ჯერ არ გაგიგონია მაგი ყვირილა ხმა-რა?

— დახე ამ შაჩვენებულს, კიდეც რო ილანძღება, წამოიძახა ამაყად გზირმა და უფრო მიუახლოვდა მჯდომარე ბებენასა: შე მ—ლო, ვის გავარდეს ჯანი? გემსახურებით, ამ ცისმარე დღე თქვენი გულითვის ჩემი ფეხი არ ჩაიხრება და ეგ იმი მაგიერია?! ჰაი?! სთქვა და ზედი-ზედ საშინელის გამომეტე-ბით გადაუშალა ზურგზედ ტყვიასავით მძიმე ჯოხი საწყალს ჩვენ ბებენას. გაისმა მოკლე კივილი; პატარა გიო, რო-მელმაც ის იყო გაიღვიძა და წამოდგა ფეხზედ, შეშინებული, ტირილით მივარდა დედას კალთაზედ.

ბებენა-ლა?—ის შენს მტერს დაემართოს, მკითხველო, რაც ამ წამად ბებენამ იგრძნო თავის ჩაგრულის გულით! რა-ღა ბებენა..., იგი სულ მჩვრად გარდაიქცა, მან უნებლიედ მო-იხარა თითი, იგი ადვილად დაემორჩილა გზირის ყინსა და აბა სამაგიეროს გარდახდას კი როგორ განიზრახავდა, რადგა-ნაც, არ ვიცი კი როგორ და საიდამ, მაგრამ დარწმუნებული კი იყო, რომ გზირს აქვს უფლება ყოველ-გვარი შეურაცხ-ყოფა მიაყენოს გლეხს, თუნდა ეს რწმუნებაც არა ჰქონოდა, მაინც იმან იცოდა, რომ გზირის ერთი შეხებაზედ ჩაფარი გა-ცილებით უარეს დღეს დააყენებდა და რომ პირველი- სარგებ-ლობს ჩაფრის ნება-რთვით და მისის ბძანებით. აი ამიტომაც

ბეჟანამ ხმაც არ ამოიღო, თუმცა მის გულის წვას სამზღვარი არა ჰქონდა.

იგი წამოდგა, მაგრამ ფეხზედ ძლივს-ღა იდგა; რადგანაც ზურგზედ ჯოხის ლურჯი ნაკვალევი ორი თითის სიპრტყით დაემჩნია. იგი ითუთქებოდა გულში, მაგრამ ისევ დაფარულად ინელებდა, თითქო შინაგანი წვალების აღმოჩენის ნებაც არა აქვსო. საცოდავმა ძლივს-ღა ჩაყლაპა პირში დარჩენილი დაუღეჭავი ლუკმა; გამოართო გაიანეს ცული და პატარა, ძალზედ გამხმარი ხბოს გუდა, რომელშიაც ხუთიოდე გრგვალი ქერის პურები ელაგა; დასტოვა ცოლ-შვილი ღვთის ანაბარად და გაჰყვა გზირს, რომელიც ჩქარის და მაგარის ნაბიჯით გაემგზავრა სასოფლოსაკენ.

## II

ასე ადვილად დაეფუშათ საცოდავებს ერთხელვე შედგენილი საკვებავის მოპოების გეგმა. გაიანემ არ იცოდა რომელი ღონისძიებით ერჩინა თავისი თავი და ნამეტნავად წვრილი შვილი; არ იცოდა საით და ვისთან წასულიყო, რომელი საქმისათვის მოეკიდნა ხელი; რა ექნა ბავშვებისათვის; როგორ დააყენებებინა მათთვის თავი.

აღელვებულმა და გატაცებულმა ამა ფიქრებისაგან, გაიანემ გამოიხურა სახლის კარი, გაუყარა ურდული, აიყვანა ძუძუთა ბავშვი, გიოს ხელი მოჰკიდა და სველის თვალებით გაემგზავრა მეზობლის ერთ ხნიან და გამოცდილ ცოტა დაშორებით მაცხოვრებელ დედა-კაცთან, რომელსაც წინათაც მრავალჯერ უნუგეშებია გაიანე და გამოუყვანია გაჭირვებულს მდგო-

მარჯობიდამ. ამ მოკლე მგზავრობამ ცოტათი არ იყო განუ-ფანტა თან გაყოლილი გულის მდაგველი ფიქრები და დროე-ბით შეაჩერა მის თავში გონებრივი მოძრაობა. იმ ჟამს გაი-ანეს სრულიად არ შეეძლო მოეცა თქვენთვის არავითარი ან-გარიში თვისის ყოფისა და მოქმედებისა; არ იცოდა რას სჩა-დიოდა, რისთვის მიდიოდა მეზობელთან; თვალები, რასაკვირ-ველია, ქონდა, მაგრამ მის ყურადღებას ვერ იზიდავდა არც ერთი გარემო-მყოფი საგანი; ხელში ბავშვი ეკავა, მაგრამ იგი სიმძიმეს ვერა ჰგრძნობდა. ახლად ამოსული მზე პირდაპირ თვალებში აჭყეტავდა, მაგრამ იგი მის სხივებს სრულიად ვერ ამჩნევდა, ერთის სიტყვით, მისი მოძრაობა იყო უთავ-ბოლო, ალალ-ბედაობითი. აგერ მიაგნო კიდეც მეზობლის სახლის კა-რებს, პატარა გამოფხიზლდა, თითქო ახლა ახილა თვალებიო; გაიანემ დაინახა თავისი თანა-მგრძნობი, რომელიც იჯდა დერე-ფანში და ბეჯითად ატრიალებდა ჯარას, მაგრამ არამც თუ ხმა არ გასცა უკანასკნელს, არამედ ზედაც არ შეხედა ისე გამწყრა-ლივით მივიდა, ჩამოჯდა მის პირდაპირ დიდ ქუნძზედ და დაუშვა მიწაზედ თვალები. რამდენიმე წუთის განმავლობის შემდეგ მეზობელი დედა-კაცი გაეხმაურა გაიანეს:

— ქა, ი სასიკვდილე ტეშიამ ბებენაი მართლა ჰსცემა?

— უი, ჩემი წვრილ-შვილი ცოდვამ კი ამააგდოს იმის ქო-ქი და წინწალი დედა-მიწი ზურგიდამ, როგორც ი კაცი ვე-ღარ გამოდგეს! თავათ წელი-ტკივილი იცოდა საცოდავმა; ადა-მიანო, რა ქნა იმ პირ-შავმა და პირ-ბნელმა რო იცოდე! და-იკრა მუხლზედ ხელი და მოჰყვა ქვითინსა.

— რა? მოუთმენლად დაატანა კითხვა.

— როგორ-რა, ქა, მთელი ზურგი, ერთი ხელ-მოკლე ჯოხი ეჭირა, სუ დაუსისხლა იმით. ამოიბრუნა ნიკაპ-ქვეშიდამ თავ-

სახვევის ცალი ყური და მით შეიშრო მარჯვენა თვალზედ ცრემლი.

— უი, დამიდგეს ორივ თვა...ლე..ბი..ი..ი! გაიქნივ-გამოიქნივა თავი და გააბა უკანასკნელი სიტყვა.

— დედა-კაცო, განაგრძო ლაპარაკი: იქ იყავ და მააკვლე-ვინე იმ მარჯვენა მოსტეხ ი კაცი? ავიღებდი შენც ერთ ლოდს, და იმ ლოდივით გასახმობს დავცემდი შიგ თავში! რა გულმა გაგიძლო რო პირდაღებული შაჰყურებდი?

გაიანემ პასუხის მაგივრად მწუხარედ ამოიკვნესა. პატარა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ბოლოს გაიანემ დაღონებულის სახით დაიწყო ლაპარაკი თავის ბედ-შავ მდგომარეობაზედ.

— არ ვიცი, ეხლა საით ჯანაბაში გადავვარდე, რა თავში ქვა ვიცე. ჩემი თავი ვიჩივლო, თუ ე ბიჭები? ი კაცი, მე ვიცი, ორ-სამ კვირას დარჩება გაღმა და სვალითვინ კი ლუკმა-პური აღარ მიძევ... გამბობლით, ეგება ამ ზამთხულ ზამთრის სარჩო ვიშოვნოთო და დახე — რა ცეცხლი და ნავთი დეგვესხა თავზე!... უი, ტა, ტა, ტა! აგრემც გაწყვეტილა ტეშიანთ სახსენებელი დუნიაზედ ჩემი ქმარ-შვილის ცოდვით!! საშინელის გესლიანის კილოთი გაათავა გაიანემ.

— ი, ნეტავი შენ, დედა-კაცო, რო მოჰყვები და შენ თითონ არ გესმის, რაი მიელ-მოელები! ახლა რაო? შენი მეტი არავის მოჰსვლია ეს საქმე-რა? ყველანი პეგარაზედაც მიდიან, ცემა-ტყეპასაც იტანენ, სილარიბესაც უძლებენ, — მაი როგორ? ე წუთი-სოფელი ეგრე... შენ თქვი, რო ქმარი ცოცხალი გუვანდეს, თორე ღვთი წყალობა არ მოგაკლდებათ: დღეს თუ მშიერი ხარ, ხვალე მაძღარი იქნები; დღეს რო ნაკლულებაში იყო, ხვალე მეტიც გექნება, მაშ! დალაგებით წაუკითხა მეზობელმა.

— აი ან სამარგელზე წახვალ, განაგრძო იმავემ: ან თავ-თავზე: გაჰყვები დედა-კაცებს, ან კალოზე უშველი ვისმე — რა ვიცი ცოტა საქმეა რა? წახვალ, პურსაც გაჭმევენ, ორიოდე შაურსაც მოგცემენ; ე ბიჭებ კიდე მე მამაბარებდე ხოლმე, შენზე კარგა მოვუვლი, — სხვა რაღა გინდა? მანამ ბეჩენა მოვა, ეგრე იოლას წაიყვან შენ თავს, მერე იმან თითონ იცის, კაცო — ყველაფერი შაუძლიან.

ამ სიტყვებმა ცოტათი არ იყო იმოქმედეს გაიანეზედ. მან გული დაიშოშმინა და თავი პატარა მაღლა აიწია. ამის შემდეგ იმათმა ლაპარაკმა ხასიათი გამოიცვალა: ჩივილს და ტირილს ორთავემ თავი დაანებეს და შეუდგნენ ტკბილ საუბარს, თუმცა გაიანეს მივარგელი ჯვარას ერთ წამსაც არ სტოვებდა. საუბარი მათი, დიაღ, გაგრძელდა, მოასწრა შუა-დღემაც. გაიანემ მოისმო თავისაკენ გიო, რომელიც მათ დაშორებით ჩილიკაობას თამაშობდა თავის ტოლებში და გაემგზავრა შინისკენ.

— გაიანე, როგორც გითხარ, შვილო, ხვალე ე ბიჭები მე მამგვარე და შენ კიდე ვარდიაანთ ვენახში სამარგელზედ დედა-კაცები დაუდით და იქ გაჰყევი, — დღეში პურ გარდაია ხუთ შაურს იძლევიან!

ამ სიტყვებით გაისტუმრა მეზობელმა სახლში გაიანე. უკანასკნელმა თანხმობის ნიშნად ორჯელ თავი დაიქნია და გაემგზავრა ქოხისაკენ, თითქო ნაზუქები უცივდება იქაო.

ესე დადიოდა საბრალო გაიანე დრო-გამოშვებით სამუშაოზედ, იღებდა ორიოდე შაურს, მაგრამ, საუბედუროდ, საქმეს იგი ხშირად ვერა შოულობდა. მომატებულ ნაწილად შინ იჯდა გულ-ხელ-დაკრეფილი და მოუთმენლად სთვლიდა ბეჩენას მოსვლის დღეებს. ბევრჯელ, თითონ კუჭ-ცარიელი, აი-

დებდა ხელის ტოლა ნაშოვნს პურს და მოწიწებით გაუნაწილებდა ნამტირალევ ბავშვებს, და თუ უკანასკნელნი ხვედრი ნაწილის უმცირესობის გამო უკმაყოფილებას გამოაცხადებდნენ, გაიანე, რადგანაც სხვა ღონეს ვეღარა პოვობდა, აჩუმებდა ხოლმე მათ შემდეგის იმედიანის ნუგეშით:

— არა, გენაცვალოს, შვილო, დედის სასიკვდილე თავი, ეხლა ეგა ჭამეთ, საღამოზედ მამა მოვა, — პურსაც მოგიტანთ, ხორცსაც, ყველსაც, კაკასაც მოგიტანთ.

ეს უალერსებდა გაიანე თავის უმანკო და ერთად-ერთ სიმდიდრეთ და ამ ალერსით თვითონვე უმეტესად სტკბებოდა. გაიარა ამ გვარად ათმა დღემ. მეთერთმეტე დღეს, საღამოს ჟამზედ გაიანეს ზურგზედა გაედო ერთი უზარ-მაზარი კოკა და წყაროდამ მოდიოდა; დაუახლოვდა თუ არა თავის სახლს, გაიხედა დერეფნისაკენ და, თავის გასაოცრად, დაინახა თევდორე, მისი მზრუნველის ქმარი, რომელიც ამ წინაზედ გეგენას ბეგარაზედ გაჰყვა. დანახვისათანავე გაიანეს უეცრად თავით ფეხებამდის ელექტრონის სისწრაფით სიხარულის ალმა გაურბინა, მაგრამ თევდორეს თავის დერეფანში ყოფნამ მალე შეაფიქრა, მეტადრე იმიტომ, რო გეგენა როგორღაც არა ჩანდა. ამას უცებ მოაგონდა წინანდელი ცხვირის ცემინება; ფერი ეცვლება, ნერწყვი უშრება, მუხლები ეკვეთება; ძლივსღა მიაღწია დერეფნამდის. აქვე მოიხადა სავსე კოკა და მძიმედ მიაყუდა კარებთან. უნდა რაღაცა ჰკითხოს თევდორეს, მაგრამ ვერ ახერხებს სიტყვების მოგონებას. არა ნაკლებ მდგომარეობაშია თვით თევდორეც: ეს ჰგრძნობს რა ზედ-მოქმედებასაც იქონიებს გაიანეზედ მისი მახარობლობა. მისი შეჭმუხვნილი თან ხნობისგან, თან ჯაფა-წვალებისაგან მკრთალი სახე რაღა-

ცა მწუხარებას მოასწავებდა; იყო ერთს გაჭირვებაში: არ იცო-და როგორ რა დაეწყო, რომელი სიტყვა ეთქვა უწინ...

— ჩემო მაზლო, ბებენაც მოდის, თუ არა? ბოლოს გაუ-ბედა გაიანემ.

— ჭაი! მიუგო თავის ქექით თევდორემ, თითქო ვერ გაი-გოვო.

— ბებენა მეთქი.

— გაიახე, შვილო, ბეწუ ნება კი, მაგრამ რა ვუყოთ, ეჩე-ლა ღვთის ნებაა... გულის კანკალით სთქვა თევდორემ და შე-მდეგ ენა დაუდგა.

— იქნება ახალი ნაცილი მივარდა, თქვენი ჭირიმეთ!... წა-მოიძახა ხმა-მაღლა გაიანემ და ორივე ხელები ერთად მუხ-ლებზედ ლონივრად დაიკრა. საშინლად ფერი ეცვალა, გულმა ძგერა მოუმატა.

— აქ არავინ დავრჩებით. განაგრძო წყნარად თევდორემ: შველას ეგ დღე მოგვკლის...

— ვაი!!! ჩემ ჩატიტვასა!!! დაიკივლა რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შემოიკრა ხელები საფეთქლებზედ და დაემხო პირ-ქვე მიწაზედ; იკაწრიდა ერთიან ლოყებსა, იგლეჯდა მეტის-მეტი გამომეტებით თავზედ თმასა და ამ გვარად მის მწუხა-რებას არ ჰქონდა საზღვარი. პატარა ბავშვებმაც კი ასტეხეს დედის მაგალითით გაუგებარი ღრიალი და ებღაუჭებოდნენ მას, ხან კალთებზედ, ხან კისერზედ, მაგრამ გაიანე სიმწუხა-რისაგან იმათ არავითარ ყურადღებას აღარ აქცევდა. ამ ალია-ქოთზედ საჩქაროდ გაივსო პატარა ქოხის დერეფანი აჭრელე-ბულის ხალხით: მორბის დიდი და პატარა, თითქო სასამ-ღეროსო; გაისმით ერთი ყოფა, «რა ამბავია», ეძახიან ერთმან-ერთს, მაგრამ ერთმანერთისა აღარა ესმით-რა. ამ შემამრწყ-

ნებვლის სურათის მაყურებელი ჩვენი თევდორე იდგა გაშტერებული, არის ერთ ცეცხლში, თითქო გეგენას სიკვდილის მიზეზი ის არის.

— ავათ იყო, თუ რაზე მოუვიდა ეგეთი უბედურება გეგენაი? ჰკითხა ერთმა მოხუცებულმა დედა-კაცმა თევდორეს, რომელსაც გაიგო მიზეზი ამ ღრიანცელისა.

— რაღა რაზე მოუვიდა, ადამიანო,! ცეცხლ გაქრობდით, უნდა ტყე გადეკვეჭრა, რო ერთ მხრიდამ მეორე მხარზე ცეცხლი არ გადასულიყო. საცოდავი მიჰდგომოდა ერთ დიდ იფანს, ჰკუჭრიდა და რო შუამდი მიიყვანა თუ არა, იხუვლა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ერთ მირ-გამომწვარმა მუხამ, დეეცა ქ კაცს და თავი ზედ შუაზედ გაუხეთა. მივცვივდით მაშინვე, მაგრამ სადღაა კაცი: იგრე ჩაჭეჭყუოდა სახე, რო აღარც ცხვირი უჩანდა, აღარც თვალები—ადამიანს აღარა ჰგვანდა. წავედით მერე, ურემი ვიშოვნეთ, დავუდეთ ზედ საცოდავი და ეხლა სახლს მაიტანენ კიდეც.

— „დაჰკვა უბედურსაო», ნათქვამია, შვილო, წაიბუტბუტა ბებერმა, რომელიც ქვევით ტუჩ-დაშვებული შეჭყურებდა თევდორეს.

აგერ გამოჩნდა ურემიც; შიგ უღელი კამეჩი აბია და ზედ მწვანე ფოთლიანი ხის ტოტები აყრია—ეს გასლამთ საბრალო მსხვერპლის სახურავი, რომელიც ტოტათი მაინც იცავდა გამშავებულის ბუზებისაგან.

ხალხი გაექანა ურმისაკენ. ყველა ცდილობდა საზარელის ტვირთის დანახვას. გაიხსნეს უფრო ელდა ეცა; წამოხტა შეშლილივით, ლოყებ სისხლიანი, თმა-გაწეწილი, გულ გადაღეღილი, მივარდა ხელიდამ წას-ულს გეგენას, რომელიც მირს

გაშლილ ნეკნზედ ჩამოიდეს, მოუკიდა გვერდით და მოჰყვა მოთქმით ტირილი:

— ბებენავ, შე გულ-კვდარო შვილო, ბებენავ! ეგ იყო შენი იმედი, ეგ იყო შენი მოსვლა?! რას შეუბნებოდი, შენ ოჯახს თავს რატო ანებებ თავსა?! აახილე თვალი და დაინახე გით და ხანდრო თავზე რო გადგანან; შენ მაინც გაქვს ამათი ხმა, ქალები რო ველარა გცნობენ! აღარ გახსოვს, რო იმახოდი ქალები არიან ჩემი გულის მალამოო?! ვაი, ჩემ დაღუპვასა!!! (სთქვა და ღონივრად შემოიკრა გულზედ ორი მუშტი ერთად) რაზე დაგვშტერ ერთიან ყელები? რაზე ჩაგვყარე კლდეში? რა-ლა ნუგეშს გვამლევ, რატო ხმას არა გვცემ? ჩემო სიცოცხლევ, ჩემო პატრონო, ჩემო სულო და გულო?!...

— კარგი, ადამიანო, გეყოფა, ბევრიც რო ვიტიროთ, მკ-დარს ვუშველით, უბრალოდ ხარჯავდნენ სიტყვებს აქედ-იქი-დამ დედა-კაცები.

მესამე დღეს თევდორეს და მისი ცოლის მოღვაწეობით საუკუნოდ მიაბარეს ბებრის გვამი გულ-გრილ მიწას და რომ მიწამაც სრულიად არ ჩაყლაპოს ბედ-შავი ადამიანი, თავ და ფეხთით საფლავზედ ჩაუფლეს ორი ლოდი საყარაულოდ.

შემდეგ ამისა გაიანეს აქამომდე გაჩერებული ცხოვრების ჩარხი დაუბრუნდა უკუღმა და ჩაავარდა იგი იმ მორევში, რომელიც არც სრულიად სძირავს და არც ნაპირზედ ისვრის. გახდა ავად, დაეცა ლოგინად და აღსასრულის დღე სანატრელ საუნჯედ გარდაექცა.

გავიდა წელიწადი და ერთი თვე. ამ დროების განმავ-ლობაში ბევრი ფრიად შესანიშნავი ცვლილება მოხდა დედა-მიწის ზურგზედ, ბევრმა წყალმა იდინა თვალ-შეუდგამ ზღვებ-ში და ვინ იცის, რამდენ ახალთ საქმეთ და საგანთ მიეცათ

ახალი მსვლელობა, ლტოლვილება ხალხოსნობის ცხოვრების ასპარეზზედ?

ერთს მშვენიერს დღეს ს. ა—გაში ხელი-ხელს მიცე-მულნი ეზო-ეზოთ დაიარებოდნენ სათხოვარზედ წუწლი ფეხ-შიშველი, უქუდო, მზისაგან გახუხული ბავშვები. ერთი იყო მოზდილი, ექვსი-შვიდის წლისა; ტანთ ეცვა დაგლეჯილი დი-დი კაცის ახალუხი, რომელიც ფეხებამდის დასთრევდა; მეო-რე—მომცრო, ორის წლისა, მარტო ერთად-ერთის გაშავებუ-ლის ხამის პერანგის ანაბარა.

რომ გქონოდა იმოდენა სულ-გრძელობა, მკითხველო, და ჰკითხნა იმათთვის ვინაობა, პასუხად მიიღებდი: «ჩვენა ვართ ზვბენასი და გაიანესი, მამა სალხან მოგვიკვდა, დედა კიდევ ერთი კვილაა, ლაც მოკვდა.»

ალ. მერიანაშვილი.

## ისტორიული სურათები.

(შემდეგი *).

ვიდრე თამარი მოუცლელი იყო შინაურ საქმეთა და შფოთთაგან, სამეფოს მონაპირედ მცხოვრები მუსულმანები ძალიან თავს გავიდნენ და ავაზაკობითა და ქურდობით იკლებდნენ მცხოვრებლებს. ამისთანა მოუსვენარნი იყვნენ ბარდავ ქალაქის მცხოვრებნი. ბარდავი იყო განჯის (ალექსანდრეპოლის) მახლობლად. ეს იყო ერთ დროს მონგოლთ ხანების რეზიდენცია. აქაური მცხოვრებნი ისე თავ-გასულნი იყვნენ, რომ ყურ-ქვეშაც არ მოსდიოდათ, იყო სადმე მეფე თამარი თუ არა. საჭირო იყო ამათი დასჯა და თამარის გაცნობა მათ მიერ.

1195 წელს თამარს ლაშა-გიორგი რომ გაუჩნდა, ღვთისათვის მადლობის გადასახდელად მოიწადინა ამ ავაზაკის ხალხის დასჯა, მოჭკვიანება და კეთილს გზაზე დაყენება თავის ახალ დაბადებულის შვილის ბედნიერებისა და დღეგრძელობისათვის; მოიწადინა, რომ ამ თავს-გასულს ხალხს აღარ შეეწუხებინა მშვიდობიანი მცხოვრებლები. უბძანა მან თავის ჯარებს ამ ქალაქში ჩამდგარიყვნენ; მაგრამ მის მცხოვრებლებმა წინააღმდეგობა გაუწიეს. მაშინ ქართველებმა ის დაიპყრეს

*) «ივერია» №№ 7—8, 1882 წ.

ხმლით და აიღეს ქალაქი, დაატყვევეს და დიდად დასაჯეს მოთავენი, მაგრამ სამს ღრმად მოხუცებულს კაცს არა აწყინეს რა და თამარისა და მისის შვილის სადღეგრძელოთ არ დაატუსაღეს.

ამის შემდეგ არ გასულა ერთი თვე, რომ თამარმა უბძანა დავით სოსლანს გალაშქრება და მოოხრება ყარსისა, გარნუ ქალაქისა და აზრუმისა. ვიდრე მიადგებოდნენ ამ ქალაქებს, გზაზე ბევრგან მტერი დახვდა ქართველებს, მაგრამ ესენი ხმალ-ამოღებულნი ჰკვეთავდნენ და არღვევდნენ მტრის რაზმებს და მიდიოდნენ ქალაქებზე. იმათ დაიპყრეს სამივე ქალაქები, აოხრეს და აიღეს. ყარსის აღებაზე დიდი და მძლავრი ომი გადაიხადეს; მაგრამ არც ეს ქალაქი და არც სხვები ქართველებმა ამ დროს არ შემოუერთეს სამეფოს. ამათი განზრახვა იყო მხოლოდ იმათი ძლევა და დაშინება მუსულმანებისა, რომ კვლავ აღარ გაებედნათ გუზანისთანა მეფის მოღალატე კაცების თავის მფარველობაში მიღება. მართლაც ისინი ისე დაშინდნენ, რომ ამბობდნენ: «ვინ დაგვწყევლა ასე დიდად, რომ ასეთის აოხრებას მიეცა ჩვენი ქვეყანა ქრისტიანებისაგანაო, რომელნიც წინად არავის უნახავს ჩვენს არე-მარეშიო.» [1])

ახლა თამარი უფრო გაძლიერდა და გაითქვა მისი სახელი. «განისმა ზარი და შიში ყოველთა ყრდეთა აღმოსავლით და დასავლით, ჩრდილოთ და სამხრით, და ყოველნი მორჩილობდეს და ძღვნითა მრავლითა მოიკითხვიდნ.»

მას ჰყავდა მხოლოდ ერთი მტერი, რომელიც დიდ-გულობდა და ემუქრებოდა მას. ეს კაცი იყო სპარსეთის მეფე ამირ-მუზაქარ. მაგრამ ამ მუქარის მიზეზიც თვითონ თამარივე

[1]) იხ. იქვე გვ. 299.

იყო. ამირ-ბუბაქარს ორი ძმა ჰყვანდა. იმან უფროსს და უმცროსს ხმლის ძალით წაართვა სამფლობელოები და უმცროსი ამათთაგანი, რადგან სიძე იყო შირვან შაჰისა, შეეხიზნა სიმამრს. ამისათვის ამირ-ბუბაქარმა ამასაც აუტეხა ბრძოლა, დაამარცხა და მისი სამკვიდრებელიც თვითონ დაისაკუთრა. მაშინ შირვანის შაჰი ახსართანი [1]) და მისი სიძე ამირ-მირანი, ძმა ამირ-ბუბაქარისა, თამარს შემოეხიზნენ და სთხოვეს მფარველობა, რადგან პირველი ამათთაგანი ჯერ თამარის ვასალი იყო, მერმე ნათესავი, დავით აღმაშენებლის ასულის მარიამისაგან ჩამომავალი [2]), მან კარგად მიიღო ისიცა და მისი სიძეც; მაგრამ ეს წასარჩლება თამარისგან იწყინა ამირ-ბუბაქარმა: გამოუგზავნა კაცი და შემოუთვალა: დაუყოვნებლივ ისიც დამორჩილებოდა და ხარჯიც ეძლივა.

ამ მუქარის პასუხად თამარმა შეჰყარა ლაშქარი და გაისტუმრა სომხეთისაკენ. მტკვრის პირი, ალგეთის პირი, ქციის პირი და ქურდ-ვაჭრისა ყარაღაჯამდე აივსო მისის ჯარებით.

ამის შემდეგ ის თვითონაც წავიდა თავის შვილითა და ქმრით და გზაზე გავლაში ნახა: პირველად ოსებისა და ყივჩაყელების ჯარები, ძველები და ახლები, მერმე კახეთისა და ჰერეთის რაზმები, შემდგომ ქართლისა, მესხეთისა, თორელები და შავშ-კლარჯ-ტაოელები, ამათ მერმე სომხითისა, სვანეთისა, სამეგრელოსი, აფხაზეთისა და რაჭა-თაკვერ-არგვეთის ლაშქრები. ეს ჯარები იყო საკუთრად მეფისა და იმათ ერ-

[1]) როცა თამარისათვის ქმარს ეძებდნენ, ეს ახსართანი მოვიდა თბილისში, სადაც იმას სახლი ჰქონდა (იხ. გვ. 272), ვითომც სტუმრადაო, მაგრამ გულში კი თამარის ქმრად შერთვა ედო. (იხ. გვ. 299).

[2]) იხ. იქვე გვ. 272 და 290.

ქოთ სეფე-წულნი [1]). ამის შემდეგ ის მოვიდა ყარაღაჯში თავის შვილითა და ქმრით. აქ დასვდნენ იმას შირვან შაჰი, აღსართანი და ამირ-მირანი დედითა და ერთგულ მხლებლებით. აქვე უცდიდნენ იმას ხელის-უფალნი და სეფე-წულნი. ქალნი აქ ყველანი ნახა და მოიკითხა. მერმე დიდის დიდებით დაუდგეს თამარს ოქროს ქსოვილი კარავი და ოქროს ტახტი. ის შევიდა იქ და მას შეჰყვნენ შვილი და ქმარი. დასხდნენ ისინი თავ-თავიანთ ადგილზე და მათ გარს შემოეხვივნენ წარჩინებულნი პირნი. მერმე მოიწვიეს სტუმრები. პირველად შევიდა აღსართანი, როგორც მეფის ნათესავი, თავი დაუკრა თამარს, მისცა სალამი და დაჯდა წინათვე მომზადებულს თავის ადგილს. მას მიჰყვა ამირ-მირანი, ამისი დედა, შვილები და სხვა მხლებლები. ყველამ მოიკითხეს თამარი, მისცეს სალამი მოწიწებით და პატივით, და დასხდნენ თავიანთ ადგილას.

ამის შემდეგ თამარმა მოითხოვა სადილი, რომელზედაც მოიწვია მთელი ეს კრებაცა. აქ იმას ყველანი განცვიფრებით უყურებდნენ. ის მხიარულად ემუსაიფებოდა ყველას და დედობრივის ტკბილის ენით ამხნევებდა და აქეზებდა მომავალის ომისათვის. აქ იყო აგრეთვე რუსუდან დედოფალიცა, მამიდა თამარისა და იმის ქმრის აღმზრდელი. «ქართლის ცხოვრება» აქებს იმას, რომ ის მედიდურად, დიდის გამოჩინებით და ბრწყინვალებით დაუხვდა სტუმრებსო [2]), როცა ისინი მოვიდნენ საქართველოში და მფარველობა ითხოვესო.

რადგან თამარი თვითონ აპირებდა სპარსეთისათვის თავდაცემას, ამისათვის არ ეჩქარებოდა. იმან შვიდ დღეს მოიცა-

---

[1]) იხ. ბროს. ვახუშ. გვ. 14.

[2]) იხ. გვ. 302.

და ყარაღაჯში. ყოველ დღეს აქ ჰქონდა მას წვეულობა და სიხარული: «სპარსთაგან მღერობა და ამათგან ბოძება, ნადირობა და ბურთობა.» ასეთს ლხინსა და დროს გატარებაში რომ იყვნენ ქართველები, ამირ-მირანმა და სპარსეთის დიდებულმა კაცებმა, რომელნიც ამას თან ახლდნენ დაიწყეს კვეხნა, რომ მთელს ერაყში, ადერბეჯანში და თეირანში ჩვენსავით მობურთალი კაცი აღარავინ დარჩენილაო. ეს კვეხნა თამარს ეწყინა და უბრძანა ზაქარია ამირ-სპასალარს, მსახურთ-უხუცესს ივანეს [1]) და ჰერეთის ერისთავს გრიგოლს (ინგილოს) და სხვათა მოყმეთა ჩასულიყვნენ მეიდანზე საბურთაოდ. მეორე მხრით ჩამოვიდა ამირ-მირანი თავის მხლებლებით, სპარსეთის თავადებით და მონებით. ამ დროს თვით თამარიც გამოვიდა მეიდანზე სეირის საყურებლად, სპარსელებს ეგონათ ჩვენ ვაჯობებთო, მაგრამ დაიწყეს თუ არა, მაშინვე დაამარცხეს ქართველებმა, რისა გამო სპარსელებს ძლიერ შერცხვათ.

სპარსეთთან საომრად მომზადებული თამარი; ვიდრე ამ გვარს შექცევაში იყო, ამირ-ბუბაქარიც თურმე დიდს ჯარებს ამზადებდა, რადგან თვითონ იმედი არა ჰქონდა თამარის დამარცხებისა, იმან თურმე სთხოვა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხალიფას, შემწეობა მიეცა მუსულმანობის დასაცველად თამარის მძლავრობისაგან. ამავე დროს კავკასიაში მცხოვრებ მუსულმანებმა გაგზავნეს ხალიფასთან არზა, რომ მოგვეშველეთ, თორემ ქართველებმა დაგვღუპესო. არზის მიმტანთ შეიღებეს სამოსელი და პირი ტანჯვისა და მწუხარების ნიშნად და სთხოვეს მას უბრძანოს მთელს სპარსეთს ამხედრება საქართველოს წინააღმდეგ. ხალიფამ აღუსრულა თხოვნა. და-

1) იხ. გვ. 296.

ჩუეულებრივ გამოუგზავნა ამირ-ბუბაქარს დიდ-ძალი ხაზინა და უბძანა ინდოეთიდგან და სამარყანდიდგან მოკიდებული ვიდრე ტიგრის მდინარემდე შეეყარა ლაშქარი მის ხარჯით და დაესცემოდა საქართველოს. გამოუგზავნა აგრეთვე მაჰმადის დროშაცა, რომლის «თავსა ზედა იყო ოქრო ათ-ასისა ხალიფაურისა.» შეიყარა მართლაც ურიცხვი ლაშქარი, მოგროვდა ადირბეჟანში და გამოაცხადეს ომი.

თამარმა რომ შეიტყო ეს ამბავი, მაშინვე რჩევა მოახდინა თავის ვეზირებთან. არჩიეს და გადასწყვიტეს მტერთან ბრძოლა. გამოიტანეს ხაზინიდგან ფული, დაურიგეს ხალხს, რომ შინაურობა იოლად წასულიყო, ხოლო მამა-კაცნი კი ყველანი გამოსულიყვნენ მტერთან საბრძოლველად. ამასთანავე მისცეს ღარიბებსა და გლახებს მოწყალება, რომ მათ მოცლა ჰქონოდათ და ლოცვა აღევლინათ წინაშე ღვთისა, რათა თამარის ჯარს გამარჯვება მისცემოდა. «ესე ბძანა არა დედა-კაცურითა სიტყვითა და ბძანება საქმე იქმნა.» ოთხ დღის განმავლობაში საქართველოს ყოველს კუთხეში შეიკრიბა ჯარები და, ვითარცა «გროვა შავარდენთა, მოჰფრინდა წინაშე თამარისა» ყარაღაჯში. თამარმა ჯერ დახედა ჯარებს, მერმე შევედრა ღმერთს მუხლ-მოყრილი, წამოდგა ფეხზე და ასე უთხრა მეომართ: «ძმანო! ნუ შეშინდებით, რომ თქვენ ცოტანი ხართ და ისინი ბევრნი, ღმერთი ჩვენთანა არს. ღვთის ძალით გედეონმა სამასის კაცით რამდენიმე ათასი მტერი დაამარცხა. როგორც ერთსელ ეზეკიას მეფის დროს ანგელოზმა მტრის ბანაკი გამუსრა, სწორედ ასე იგივე ანგელოზი იქნება თქვენი შემწეცა. მხოლოდ იქონიეთ ღმერთზე, ღვთის მშობელზე და ჯვარზე სასოება. უშიშრად და საჩქაროდ შედით მტრის ქვე-

ყანაში და იმედი მაქვს ძლევა-მოსილნი გამოვალთ იქიდგან[1]. მერმე ილოცა კიდევ თამარმა, შეავედრა მთელი ჯარი ღმერთს, მისცა ანტონ ჭყონდიდელს ჯვარი, გაისტუმრა, და თვითონ დაბრუნდა თბილისში, და მეტეხის ეკლესიაში ფეხ-შიშველი იდგა ღვთის-მშობლის წინ და მხურვალე გულით სთხოვდა მტრის დამარცხებას.

მტრისა და თამარის ჯარები შამქორში შეიყარნენ. პირველი ველზე გამოსულიყო, რადგან იმედი ჰქონდა, ბევრნი ვართ და დავამარცხებთო, მაგრამ გაუცრუვდა იმედი. ქართველთ ჯარები სასწრაფოდ გაეწყვნენ რაზმებად და დაიჭირეს თავ-თავიანთი ადგილები. დავით სოსლანმაც მოამზადა თავისი ცხენოსანი ჯარი. შეჯდა თვითონაც თავის შესანიშნავს ცხენზე, რომელიც ვახტანგ ხაჩინელისაგან ეყიდნა და ფასად მიეცა ერთი ციხე და ერთიც სოფელი. სახელი ამ ცხენისა იყო ზურდაგი.[2]). დავით სოსლანმა დიდი მამაცობა გამოიჩინა თავის ცხენოსანი ჯარით და მტერი დამარცხდა. მაგრამ ეს კია, რომ თუ დავითი მალე არ გამოსულიყო თავის ჯარით ბაღებისა და ბოსტნეულობიდგან, იქნება მისი ჯარები დამარცხებულიყვნენ. დიდი ჯაფა გასწიეს ვიდრე ცხენოსანი ჯარი გამოვიდოდა მინდორზე. ამ დროს განმავლობაში ომი დაწყობილი იყო. მტერმა ყველა სპასალარებს დაუხოცა ცხენები. მაშინ ზაქარია მხარ-გრძელმა და მისმა ძმამ ივანემ დააქვეითეს ყველანი და

---

[1]) იხ. გვ. გვ. 304.

[2]) იხ. გვ. 305. ორი ასეთი შესანიშნავი ცხენი ჰყვანდა 1580 წელს ქართლის მეფეს დელი-სიმონსაც. ერთს ერქვა «შურდანი», მეორეს «ფალავანი». როცა დამარცხდებოდა და გაქცევა დასჭირდებოდა, მეფე შურდანზე შეჯდებოდა, მტრის დამარცხების დროს კი ფალავანზე (იხ. ქართ. ცხოვ. 2 ნაწ. გვ. 32.)

იერიშით წაიყვანეს რაზმები მტერზე. აქ ცოტა ხანს შეიფერხეს იმათ და საქმეც გაუჭირდათ. აი ამ დროს გამოვიდა დავით სოსლანიც ველზე, რომელსაც ყოველის მხრიდამ უშიშრად თავს ეცემოდა მტერი; მაგრამ ის მოაქროლებდა ვახტანგ გორგასლანის დროშას და მოდიოდა ლომივით. გაძლიერდა ომი. ყოველის მხრიდამ იშიშვლეს ქართველებმა ხმლები და გადაერივნენ შავარდენივით მტრის გუნდებში. სპარსელებს ყველას ძაგძაგი და კანკალი დააწყებინა. ორივ მხრიდამ შემოუტივა ცხენოსანმა ჯარმა, დალეწა და გააპო მტერი. როგორც ცხვრის ფარა, ისე აირია ჯარები. მტერი საშინლად დამარცხდა და გულ-გახეთქილი გაიქცა. თვითონ ამირ-ბუბაქარმა ამოიძუა კუდი სირცხვილით დამწვარმა და ერთის კაცით უკან მოუხედველად გაკურცხლა ბრძოლის ველიდგან. მაგრამ მის ჯარიდგან თორმეტი ათასი დატყვევდა. მათ შორის ერივნენ მრავალნი სპარსეთის დიდებულნი კაცნიცა. დარჩათ აგრეთვე ქართველებს ხალიფას დროშა და მრავალი კიდევ სხვა ბაირაღები. იშოვეს ამასთანავე დიდი დავლა. ერთი მეშვიდმეტე საუკუნის რუსეთის მემატიანე ამბობს, რომ ამ დროს ქართველებმა იშოვეს ის ოქროს სინი, რომელიც ნაბუქოდონოსორისა იყოვო და ახლა სპარსეთის მეფეს ჰქონდაო[1]. ის იყო თურმე მოჭედილი უძვირფასესი ლალითა, ბალახშითა და თვალმარგალიტითა, და ამით საჭმელს მიართმევდნენ ხოლმე ბაბილონისა და სპარსეთის მეფეებსაო.

ომი რომ გათავდა, შირვან შაჰმა და ამირ-მირანმა მიულოცეს დავით სოსლანს გამარჯვება. ამავე დროს მოვიდნენ

---

[1]) იხ. Шамхорск. битва, статья Акад. Бросее въ газ. «Кавказъ» за 1854 г., №№ 65, 66 и 67.

შამქორის მცხოვრებლები და მოუტანეს დავითს ქალაქის კლიტე-გასაღები. იმან უბძანა ამირ-მირანს გამოერთვა ისინი; მერმე დავითი ამ ქალაქში რომ შედიოდა, მცხოვრებლები ნოხებსა და ფარჩას უშლიდნენ გზაზე. აქ იმას დიდ ხანს არ მოუცდია. იმან გადაასხდევინა აქაურს მეჩითებში სამადლობელი პარაკლისი ქართველთ სამღვდელოებას, რომელთაგანაც ანტონ ჭყონდიდელმა, მეფის ვაზირმა, როგორც სულიერ მამამ, ხმალი არ იხმარა, მაგრამ «სამის უმით მივიდა და სამასი ჯორი და აქლემი კიდებული» წაართვა მტერს ომის დროს [1]; ამის შემდეგ მისცა ამირ-მირანს შამქორი, მისი მიმდგომნი ქალაქნი და ციხენი და ყოველი მისი შესავალი, თვითონ კი დაბრუნდა თბილისში.

გზიდგან დავითმა გამოუგზავნა თამარს მახარობლად მანდატურთ-უხუცესი ჭიაბერი. იმან ნახა თამარი ტაბახმელასა, სადაც დაიბადა ლაშა გიორგი [2]) მას მოჰყვნენ გამარჯვებულნი ჯარებიცა, და თან წამოასხეს ტყვეებიცა. ტაბახმელიდგან (კოჯორიდგან) თამარი ჩამოვიდა დიდ-უბეში, იქ მიულოცა ჯარს გამარჯვება, ნახა ტყვედ მოყვანილნი დიდებულნი კაცნი და მათი დროშა-ბაირაღები.

შეიძლებოდა აქ გაგვეწყვიტა ლაპარაკი შამქორის ბრძოლაზე, მაგრამ, რადგან დავლის მოხმარება გვიჩვენებს შინაურს ზნეს, სახელმწიფო წყობილებას და დიდებულთა და მცირეთა შორის დამოკიდებულებას, ამისათვის ერთი-ორი სიტყვა მსურს ვსთქვა იმაზე, თუ რა უყვეს დავლას, რომელიც იშოვნეს შამქორში გამარჯვების დროს.

[1]) იხ. გვ. 307.

[2]) იხ. გვ. 298.

როგორც ახლა არის სახელმწიფოებში, რომ ბრძოლის ველზე რაც დარჩება ან წაართმევენ მტერს და სახელმწიფოს ხაზინაში მიდის, სწორედ აგრეთვე მაშინ დროს ჩვენმაიცა ხაზინამ შეიძინა 20,000 ცხენი, 7,000 ჯორი, 15,000 აქლემი, ურიცხვი ბირდაბული? აგრეთვე უთვალავი ოქრო, ლარი, სხვა-და-სხვა ჭურჭელი და იარაღები სულ ხაზინად დაიდო.

ამის გარდა ჩვეულებისამებრ თვითონ თამარს უძღვნეს ჯარში მყოფთაგანთ მრავალი ოქრო და ოქროს სამკაული, მრავალ-ნაირი ჭურჭელი, პატიოსანი თვალი და მარგალიტი უმრავლესი, ოქროს მოწყობი, მუზარადები, ხმლები ნი ნახმარი, ფერად-ფერადი ნოხები და ფარდაგები, ოქროქსოვილი შესამოსლები, მკერდ-დასამშვენი, ცხენთა და ჯორთა კაზმულობა და სხვანი ესე უგანსაზღვრელი თამარმა ყველა თვითონ არ აიღო. უძღვნა ამან დასასრულ ყველასი, ვინც ჯილდოს ღირსნი იყვნენ. მაგრამ ხალიფის დროშა, რომელიც თავის მეფობაში იდვა მათთანა ოქროსა სალოცავით და მალე ახალციხელმა მარტოკამ შესწირა გელათის მონასტრის ღვთის-მშობლს და ზედ დაჭრეს შემდეგი ლექსი:

«შუქ, მხოლოდშობილის იქმარს მხოლოდ ვრთმელოდ;
ხალიფას დროშას, თანავე მანიკუსი;
შეკრთა ციხე-სახელმწიფოთ მოიმკვრისა, დაშოლე მშვენიი:
ვის დავითით მეფე, ქორმუს მოსამსახურენ;
მოითრითხნა, მოისრნა სულტანთა ათაბაგნი.
«ირანს ებრძოდეს ჩემ მაგრ მარტოს სპათა—
ჩვენნი მხედარნი, მოსაკნი შენნი, სამეფოთ;
მოსწყვლნეს, მოსწყვიდნეს აგარის ნათესავნი.

მტერით მოხმულთა ნიჭთაგან ერთსა ამას
შენდა შევსწირავ, მიიღე მეუფე, ღმერთო» [1]).

## თამარ დედოფალი.

ამის შემდეგ სპარსეთი ვეღარ ბედავდა მტრობას. საქართველო ამ მხრით დამშვიდდა და უზრუნველად შეიქმნა. სახელმწიფოში მცხოვრებნი მაჰმადიანებიც ხმას ვეღარ იღებდნენ შიშით. გავარდა თამარის ხმა მეზობელ სახელმწიფოებში და ყველანი პატივსა სცემდნენ. მაგრამ თამარი არ იყო კიდევ კმაყოფილი. იმას ეწადა ყარსის დაჭერა, რომ ამ მხრითაც უზრუნველი ყოფილიყო საქართველო. 1203 წელს იმან უბრძანა ივანე ახალციხელს და თავის ქმარს დავით სოსლანს ერთად დაეჭირათ ყარსი მის გარემოს ქვეყნებითა. თურქებმა რომ შეიტყვეს ეს ამბავი, დასტოვეს ქალაქი და გადაიხვეწნენ. ქართველებმა აიღეს ციხე. დავითმა ჩააყენა ყარსის ციხეში ივანე ახალციხელი, მისცა ათაბეგობა (ერისთავთ-ერისთაობა) და ამირთ-ამირობა და უბძანა დაეჭირა გარეშემო მყოფი მახლობელი ქვეყნებიცა. ივანემ მართლაც დიდი ვნება მისცა თურქებსა და მიითვისა ყარსის გარეშემო მყოფი მიწა-წყლები. ამის გამო თურქები ძალიან დაშინდნენ. ისინი ახლა თამარის მტერობას და დამარცხებას კი აღარ მეცადინეობდნენ, არამედ როგორმე მასთან შერიგებას და მშვიდობიანად ცხოვრებას ლამობდნენ. იმათ ამოირჩიეს ვექილები და გაგზავნეს დესპანად ხალიფასთან, რომ მან სთხოვოს თამარს, ამსახუროს მუსულმანები, გამოართვას ხარჯი და აღარ იკლებდეს იმათ ქვეყნებს. თხოვნა აღუსრულდათ. თამარმა შეიწყალა ხალიფას თხოვნით

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 301—310.

მუსულმანები. ამ სახით დამშვიდდნენ ისინიცა და ქართველე-
ბიც.

მაგრამ ამ დროს იყო მცირე-აზიაში იკონიის სასულთნო, სადაც სულთნობდა როკ ედდინი, ანუ ქართულად ნუქარდინი. ეს კაცი პირად მეგობარი იყო საქართველოსი, გულით ძლიერი მტერი. — ამან შეჰყარა 1204 წელს მთელს თავის სამფლობელოში ყველა მუსულმანები, ვისაც კი შეეძლო ბრძოლა. სახლებში დასტოვა მხოლოდ დედა-კაცები. შეიყარა ჯარი 800000 ათასი. მერმე მოსწერა თამარს შემდეგი წერილი: «მე ნუქარდინ სულთანი ყოვლ სა ცას ქვეშეთ მყოფი ხალხებისა(?), კაცი ანგელოზივით კეთილი და მოვლინებული მაჰმადისაგან, გეუბნები შენ, ქართველთ მეფეს, რომ ყოველი დედა-კაცი შენსავით რეგვენია. როგორ გაბედე შენ ბძანება, რომ ქართველებმა ხელში ხმალი აიღონ და ღვთის საყვარელი მოსლემის მილეთი დახოცონ, და ცოცხლებს კიდე ხარჯი გააწერონ და შენ ყმად გაგიხადონ? ახლა მე შენზე გამოვილაშქრებ, რომ შენცა და შენს ერსაც სამაგალითოდ შეგასმინოთ, რომ კვლავ ხელში ხმლის აღება აღარ შეგეძლოთ, იმ ხმლისა, რომლიც ალლახს მარტო მუსულმან ხალხებისათვის მიუცია მოსახმარებლად. მაგრამ თუ ჩემს მოსვლამდე შენის ნებითვე ამოხვალ ჩემს ურდოში, მიიღებ მაჰმადიანობას, ფეხ ქვეშ გასრესს ჯვარს ჩემს თვალს წინ, მაშინ მარტო შენ შეგიწყალებ და შეგინდობ შეცოდებითა, სხვებს კი მიაყოლებ ვაისა და ჭირსა. ახლა მოელოდინე ჩემგან ნაცვალი იმ უბედურებისა, რომელიც შეამთხვიე სპარსელებსა.»

ეს წერილი მოიტანა ნუქარდინის ერთმა დიდებულმა კაცმა. როგორც რიგი იყო, ის პირველად მიიღო ამირ-სპასალარმა ზაქარიამ. ელჩმა შესვლისათანავე უთხრა ძირად დაბარებული-

ცა, და შეატყობინა მას აგრეთვე წერილის შინაარსიცა. «ბატონმა სულთანმა დამაბარაო, უთხრა იმან ზაქარიას: თუ თამარმა სჯული დასტოვა, მე ცოლად შევირთავო, თუ ეს არ ინებაო, მაშინ ხასად დავისვამო.» ამ გვარად უკადრისი ლაპარაკი ისე ეწყინა ზაქარიას, რომ თუმცა მშვიდი ხასიათის კაცი იყო, მაგრამ თავი ველარ დაიჭირა, გულმა გაიტაცა და ერთი ისეთი ლაზათიანი სილა გააწნა ელჩს ბილწად მოლაპარაკე უბაში, რომ ის ციბრუტივით შემოტრიალდა და დაენარცხა დედამიწას; მაგრამ წყლით ისევ მოაბრუნეს და დაამწყვდიეს ცალკე. ამის შემდეგ წერილი თამარს შეუტანეს და ძალიან იწყინა მისი შინაარსი. მაშინვე მოასხდინა სახელმწიფო თათბირი. რჩევაში გადასწყვიტეს მტერთან ბრძოლა. გასცეს ბძანება, ქუდზე კაცი გამოსულიყო ლაშქარში. შეიყარა ყოველ მხრიდგან ჯარები. ყველას უხაროდა, რომ საყვარელ მეფის ბძანებით სამშობლო ქვეყნის კეთილ-დღეობისა და მშვიდობიანობის დასაცველათ ლაშქარში მიდიოდა. თამარმა გამოიტანა სამეფო სეფე-დროშა და მისცა ჯარს. მერმე მიუძღვა იმას წინ და მივიდა ვარძიის მონასტერში. მხურვალე გულით ის აქ ჯერ შევედრა ღმერთს, მერმე დაიძრა და მიადგა ყარსის მახლობლად. აქედგან იმან გაუგზავნა ნუქარდინს, მასივე ელჩის ხელით შემდეგი წერილი: «ჰოი ნუქარდინ! მე წავიკითხე შენი წერილი და შევიტყე შენი სიცრუვე და შენგან ღვთის გმობა... ამაყად დაგებარებინე, და აი ახლა მოვსულვარ; მაგრამ არა შენდა თაყვანის-ცემად, არამედ დასასჯელად შენის გულის ამპარტავნებისა, რომ თვითონ შენ, და არა მე, ჭკუა ისწავლო, და ღმერთის გმობა არამც და არამც აღარ გაბედო. აი ახლა კარზე მოგადგნენ ჩემნი ერთგულნი ლაშქარნი და წერილის პასუხიც მოგიტანეს. იყავ ახლა ნება ღვთისა და არა

შენი.» ამის შემდეგ ჯარებმა წაიღეს ყარსის წინ; თვითონ თამარი კი ავიდა ერთს მაღალს ადგილას, საიდგანაც იხილვებოდა საომარი ველი. აქ დაემხო პირ-ქვე, დიდ ხანს ცრემლით ილოცა და ევედრა ღმერთს; შემდეგ ადგა, მოჰკიდა ჯვარს ხელი ერთის მხრით თვითონ, მეორეს მხრით მოძღვარმა ბასილმა, და უბძანა სარდლებსა და ერისთავებს ეკოცნათ ჯვარისთვისაც და მისთვის ხელზედაც. ამ სურათის ხილვით შეწუხებულ დიდებულ მეფე თამარს აღთქმა მისცეს: ან ყველანი დავიხოცებით, ან არა და მტერს დავამარცხებთო. მისცეს ასეთი აღთქმა და გაექანნენ თავ-თავის დასტებში.

ასე შეავედრა იმან თავისი ჯარები ღმერთსა და ღვთის მშობელს, გაისტუმრა მტერთან საბრძოლველად, თვითონ კი წამოვიდა ყარსიდგან უკან და მოვიდა სამცხეს ოძრახის ციხეში. იმას თან ახლდნენ: ქათალიკოზი, მრავალნი ეპისკოპოსნი და სახელ-განთქმული პოეტი იოანე შავთელი. აქ ყოფნაში ის ცრემლით ევედრებოდა ღმერთს, მარხულობდა, მეტანიას იყრიდა, ხელთა განაპყრობდა ცისადმი და შველას ითხოვდა. ერთი რუსის მემატიანე ამბობს, რომ თამარი ამ ყამად ასე ლოცულობდაო: «ჰოი, მფარველო, დედაო ღვთისაო! საღმთო ზეპირ-გადმოცემა გვასწავლებს, რომ ივერია ღვთის განგებით შენი წილ-ხვედრი ქვეყანაა. აქ დღეს მე ვმეფობ შენის წყალობითა. ჯერ სული მამისა ჩემისა მიიღე და შემდეგ მე, შენსა უძლურსა მხევალსა, ხელთ მიგდე ბატონობა ამ მოვლა ამა ქვეყნისა. ჰოი დედაო! ნუ თუ ახლა ხელს აიღებ შენს ხვედრზე და დღეს გაჭირებაში არ მოჰჭვრეტ მას შენს მადლიანს მფარველობის ფრთასა? დედოფალო ნეტარო! განუღე კარი მოწყალებისა ერსა შენსა ივერიისასა [1]).

[1]) იხ. Церк. Ист. Груз. Іосел., стр. 2.

კარგად გაწყობილი ჯარებით ტიმურისა სცადა მიუახლოვდნენ ნუქრიდინის ლაშქრებს. მოწინავე ჯარის სარდალი იყო ზაქარია მხარ-გრძელი. მას ფეხ-დაფეხ უკან მისდევდნენ თავიანთ დროშებით სხვა სარდლებიცა. ამათ ში იმყოფებოდა დავით სოსლანიცა. მტრის ლაშქრის კარვები რომ დაინახეს, მოუწყრეს ცხენს. თურქებს არ ეგონათ თუ ასე მალე მიუახლოვდებოდნენ, ამისათვის ძალიან აირივნენ, რომ დაინახეს ქართველების რაზმები. აჩქარებით გაემართნენ მაღლობის ადგილების დასაჭერად, მაგრამ ქართველები კიდევაც ეცნენ იმათ. გაამართა გაბრაზებული ომი და ყიჟინა. სულთანი ყოველ ღონეს ხმარობდა, რაც შეიძლება, მამაცურად და ვაჟ-კაცურად მეომრის ქართველების წინ მომეტებული ჯარი დაეყენებინა. დიდ ხანს იბრძოლეს და მეომართ არ იცოდნენ, თუ რით გათავდებოდა ომი. მაგრამ არეულობა, რომელიც მოჰხდა თურქების ბანაკში დასაწყისშივე ქართველთ მიერ უეცრად თავ-დასხმისა გამო, სულთანმა, არ იცნა, ვეღარ მოიყვანა წესზე და მისი ჯარები უფრო და უფრო აირივნენ, მისმა დიდ-დიდმა რაზმებმა, რომელნიც მოძრაობდნენ უწესოდ, უფრო წაახდინეს მისი საქმე. ქართველთ პატარ-პატარა რაზმები კი, რომელთაც წინ მიუძღოდნენ ომში გამოცდილნი სპასალარნი, ყოველივეს მოფიქრებით და მამაცურად ასრულებდნენ. ომი ისე შეწივთდა, რომ მტერმა ცხენები დაუხოცა ზაქარია მხარ-გრძელს, ივანე ციხის-ჯვარელს, გრიგოლის ასათიაძეს, ახალციხელებს შალვას და ივანეს, და აგრეთვე სხვათ კარგად მეომარს. ქართველებს და ცოტა გასწყდა. მაშინ ქართველებმა უკან არ დაიხიეს. მაშინ ქართველთ გაიწირეს თავი, ჩამოჰხდნენ — ცხენებიდგან, და მოუდგნენ გვერდზე თავიანთ სარდლებს და მოთავეთ. ეს რომ ნახა დავით სოსლანმა, მოუარა მტერს თავის ცხენოსანი ჯა-

რით მარცხენა მხრივ, რომ გზა მიეცა დაქვეითებულ ჯარებისა-თვის და ცხენებისაგან არ შეევიწროებინა; ამ დროს ზაქარია-მაც დაქვეითებული ჯარებით აუხვია მარჯვნივ. ასე რომ გან-შორდნენ ერთმანეთს, გაიმართა ისევ მტრის თავზე ხმლისა და კოლოტის ჩახა-ჩუხი. ამსწრაფლ მისცვივდნენ ერთ-კერძო სოსლან დავითი, და ერთ-კერძო ზაქარია და როგორც მგლე-ბი, ეგრეთ შეუტევეს ურიცხვთა მათ სპათა სულტანისათა; და პირველსავე მოკიდებასა და ხმლის ლაწა-ლუწსა ანაზდად გასკდა ეგოდენი სიმრავლე მტრის ჯარისა, იძლია და დაი-ფანტა. გაქცეულს მტერს ბუქი მტვრისა სვეტივით აედევნა უკან და ქართველები მისდევდნენ კიჟინით და კასკასით და ჰკა-ფავდენ თავის საუბედუროდ ამხედრებულს ნუქარდინს [1]).

ამ ომის დროს თამარი ოძრხეს ეკლესიაში იყო და ღმერთს თავის ჯარის გამარჯვებას სთხოვდა. აქ შემოვიდა ერ-თი ქადაგი და სამჯერ წაიქცა და წამოსდგა და დაიძახა: «აჰა დიდება ღმერთსა, ქრისტე ძლიერ არს»; მერმე იოანე შავ-თელს (ბერს) საიდუმლოდ წასჩურჩულა ქართველების გამარ-ჯვება, გაიქცა და ავარდა ერთს მაღალს მთაზე. მისი სიტყვა, რასაკვირველია, გამართლდა. მართლაც ამ დროს ქართველებმა დაამარცხეს მტერი, წაართვეს დიდ-ძალი ბარგი-ბარხანა, სურ-სათი და მრავალი ტყვედ დაიჭირეს. ამათში ერივა გამოჩენი-ლი და სახელოვანი სარდალი ეზინკელიცა. ამას თამარი კარგად იცნობდა და წინათ პატივიც ეცა მისთვის, მაგრამ რადგან ახ-ლა ულალატა, ძალ-დატანებით თუ თავის ნებით [1]), ამისათვის ამას ჯერ პატივი სცა, დაიპატიჟა სადილად, შემუსაითვა მე-

[1]) იხ. გვ. 322.

[1]) იხ. გვ. 319.

გობრულად, მერმე ეს სახელოვანი და დიდებული კაცი განჟიდა ცხენის ნალზე, «დიდებად და სახსენებლად თვისა [1]).

თამარისაგან მტრის დამარცხებამ საქართველოს სახელმწიფო ხაზინას დიდძალი სიმდიდრე შესძინა. ბრძოლის ველზე ქართველებს დარჩათ: «ოქრო, ვერცხლი, ლარი, თვალი, მარგალიტი, შესამოსელნი, ცხენი, ჯორი, აქლემი და საზდელნი კმა საყოფელნი ლაშქართათვის.» «ალივს ენ ყოველნი საგანძურნი სამეფონი ოქროთა და ჭურჭლითა ოქროსათა.» მეფე ასე გაამდიდრა ამ გამარჯვებამ, რომ ვერცხლის ჭურჭელს არარას აქ და მეფის სასახლეში პატივი, რადგან ბევრი იმოვეს ოქროსა და ბროლის ჭურჭელი ინდოეთურ ქვათაგან შემკობილი.

როკ-ედინის დამარცხების შემდეგ თამარმა წაართვა საბერძნეთს ლაზისტანი, ტრაპიზონი, ლიმონი, სამსონი, სინოპი, კერასუნდი, კიტორა, ამასტრია, ირაკლია, და ყოველნი ადგილნი ფაფლაგონიისა და პონტოსანი. რათა? რისთვის? პირველად ამისათვის რომ კონსტანტინეპოლის იმპერატორმა, ალექსი ანგარმა წაართვა ბერებს ის სიმდიდრე, რომელიც თამარმა აღმოსავლეთში მყოფ ქართველთა და ბერძენთ მონასტრებს შეწირა; მეორედ—გიორგი მეფის დროიდგან საქართველოში იყვნენ გადმოხვეწილნი იმპერატორების დევნისაგან, როგორც ნათესავნი, ანდრონიკეს შვილნი, და ერთი ამათგანი, სახელად ალექსი, ახლა თამარის სასახლეში იყო, და ეხვეწებოდა შველასა და შეწევნას; მესამედ—რადგან ამ დროს საბერძნეთის იმპერიას ერთის მხრით ჰ წიწკნიდა ევროპა, მეორეს მხრით თურქები,—თამარმაც მოინდომა რისმე წაგლეჯა და

[1]) იხ. გვ. 324.

შავ ზღვის ნაპირას იმისთანა სახელმწიფოს დაწესება, რომე-ლიც რომ ამ მხრით მფარველად ყოფილიყო საქართველოსთვის. და ამ მიზეზების გამო 1204 წელს შავ ზღვის ნაპირზე მდე-ბარე ქვეყნები საბერძნეთის იმპერიისა დაიჭირა და დააარსა სა-მეფო სახელად «ტრაპიზონის იმპერია», აქ დასვა იმპერატო-რად თავისი ნათესავი ალექსი. რომ ეს ასე იყო მართლაც, ამას ამტკიცებენ, ქართლის ცხოვრების გარდა, მრავალნი თანა-მედროვე და მემატიანენი ბერძნისა და სხვა-და-სხვა ხალხების მწერალნიც [2]).

ტრაპიზონის იმპერიის დაარსების შემდეგ საქართველოს სამეფოს ეკუთვნოდნენ: ყარსი თავის გარემომო ქვეყნებით და ანის ქალაქი, შაქი-შირვანი კასპიის ზღვამდე, დაღესტანში: შინ-შინდარა, ნახჭევანის და ახტის ხეობა, ხუნძახი, დიდოეთი, ქისტეთი, ოსეთი, ჩერქეზეთი და აფხაზეთი გერჩამდე. რომ დაღესტნის ხალხები ემორჩილებოდნენ თამარს, ამას ამტკი-ცებს ქართლის ცხოვრებაცა და თეიმურაზ ბატონიშვილიც. ისი-ნი იყვნენ მორჩილნი ჭერეთის მთავრისა ჯერ ასათ გრიგოლის ძისა, მერმე გრიგოლისა [3]). ამასვე ამტკიცებენ აგრეთვე აქაუ-რი ქრისტიანული ეკლესიის ნაშთებიც.

უეჭველია, რომ ამოდენა სამეფოს მოვლას დიდი ძალი ჯარები უნდოდა. თამარს რამდენი ჯარი ჰყვანდა, „ქართლის ცხოვრება“ არ ამბობს; მაგრამ პლ. იოსელიანი საქართველოს ეკლესიის ისტორიაში სწერს, რომ მის ჯარის რიცხვს 300,000 კაცი შეადგენდა. საიდგან ამოუღია ამას ეს ცნობა, არ ვი-

[1]) იხ. Природа и Люди. соч. Надеждпна, стр. 337.

[2]) იხ. Ист. Груз. Баратова, тетрадь IV, გვ. 81.

[3]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 245 და 273.

ვერებს. მაგრამ იქნება ის არც სტყუოდეს. თამარის მერმე არ გასულა 30 წელიწადი, მონგოლები შემოვიდნენ საქართველოში და თუმცა დიდ-მალი ხალხი გასწყვიტეს და ააოხრეს ქვეყანა, მაგრამ კომლზე ერთი კაცი რომ ჯარში გაიყვანეს, ქართველთაგან შესდგა 90,000 ათასი კაცი; თამარს კი, როცა გაუჭირდებოდა, ქუდზე კაცი გაჰყავდა საომარს ველზე. მას რომ 300,000 ჯარი არ ჰყოლოდა, ვერც სამეფოს მოუვლიდა, ვერც მტერს გასცემდა პასუხს. მით უფრო უმეტეს უნდა დავიჯეროთ იოსელიანის სიტყვა, რომ ხალხის გადმონაცემი გვეუბნება, რომ თამარს დედა-კაცთაგანაც ჰყავდა შემდგარი ლაშქარიო.

ამ გადმონაცემს ამტკიცებს, ვგონებ, ქართლის ცხოვრების შემდეგი სიტყვებიცა: „ჰქნეს მრავალთა დედათა ძლიერება»[1]. ამ ფაქტს ამტკიცებენ უცხო ქვეყნის მწერლებიცა. ერთი ვინმეცა ბართლომე-დე-სალინიაკი ამბობს: «როდესაც ქართველები მიდიან იერუსალიმში სალოცავად, ეგვიპტის სულთანს არავითარს ხარჯს არ აძლევენ. მოგზაურობის დროს ისინი სხედან ერთ კუზიან აქლემებზე და თეხ-მარდ ცხენებზე. იერუსალიმში შესვლის დროს იმათ გაშლილი აქვთ ალამი (штандартъ). მგზავრობაში დედა-კაცები და მამა-კაცებიც შეიარაღებულნი არიან. თურქების დედა-კაცებსავით, ამ ქართველ დედა-კაცებსაც თავზე ქუდი ჰხურავთ. სულთანსა და თათრების დედა-კაცებს ძლიერ უშინიანთ იმათი». ვინცენტი ბელვაცენზი, მწერალი 1260 წლისა ამბობს: «ქართველნი მალიან მამაცნი არიან. იმათი დედა-კაცები ისე შეჩვეულნი არიან ლაშქრიანობას, რომ ცხენ-და-ცხენ ეომებიან

---

[1]) იხ. გვ. 324.

მტერსა ამასვე სწერს ნემენცი, ბაუმგარტენ მოგზაური 1525 წელს. ამ ცნობებს თუ მივიღებთ მხედველობაში, მაშინ უნდა მივიღოთ ის აზრი, რომ თამარის ჯარში ერივა ცხედათა ლაშქარიცა. ამ ლაშქრიდამ 60 ათასი კაცი შეადგენდა მის მცველ ჯარს, რომელსაც ეძახდნენ სეფე-წულთ [1]. ვახუშტი თავის გეოგრაფიაში ამბობს: «მეფეთა ჰყვანდათ როქითა რაოდენ მალ-ედვა სპანი, ცვალად თავისად თვისად, ვითარცა მირიანსა და დავით აღმაშენებელსა, სამოცი ათასი; . . . . ხოლო სხვანი სპანი იყვნენ ქვეყანათაგან და ერისთავთა ქვეშე დაწესებულნი, რომელთაც მოუწოდიან საჭირო დროს» [2]) ამ ჯარებში ყამითი-ყამად ერეოდნენ აგრეთვე კავკასიის მთიური ხალხებიცა, და ყივჩაყის თათრებიცა, რომელნიც (უკანასკნელნი) დავით აღმაშენებელმა ცოლ-შვილიანათ გადმოასახლა ორმოც ათასამდე საქართველოში და მრავალს მათგანს მიაღებინა ქრისტიანობა [3]. ბერათაშვილი ამბობს, რომ ყივჩაყელთაგან თამარის მამას გიორგის ორმოც-და-ათი ათასი კაცი ჰყვანდა [4]. თუ ასეა, მაშ თამარსაც უნდა ჰყოლოდა.

ამდენი ლაშქარის მყოლი თამარი, რასაკვირველია, რომ ძლიერიც იქნებოდა და საშიშარიც მტერთათვის. მტერი მართლაც დამშვიდდა და ველარ უბედავდა საქართველოს აკლებას. მაგრამ აქ საქმე ის არის, რით ინახავდა თამარი ამოდენა ჯარს? ჰქონდა მის სამეფოს რამე შემოსავალი თუ არა? როგორც სჩანს ვახუშტის შემდეგის სიტყვებიდგან: «დავითის დროიდ-

1) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 309 და მოსე ქორენელი, მე 2 წიგ.
2) იხ. გვ. 14.
3) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 427.
4) იხ. რვეული IV, გვ. 48.

გან არღარა განიყოფოდა საჭურჭლე (ხაზინა) სპათა ზედა და მატივი ამათი (სეფე-წულებისა) იყო სხვა»—ამტკიცებს, რომ რაც ხაზინაში სიმდიდრე შემოდიოდა დავით აღმაშენებლის წინად მეფეები ამით თავის მცველს ჯარს (სამოცი ათასს) ინახავდნენ და ჯამაგირს (როქს) აძლევდნენ; ამის მერმე კი ხაზინიდამ ჯარს არას აძლევდნენ და სახელმწიფო სიმდიდრეს ქვეყნის საკეთილ-დღეო საქმეებს ახმარებდნენ. სამეფო ხაზინის შემოსავლის წყარო იყო: 1) ზარაფ-ხანა, სადაც თამარი ფულს აჭრევინებდა. რამდენი ათასი იჭრებოდა, ეს არ ვიცით, მაგრამ დამტკიცებულია, რომ თამარიცა, და იმის წინანდელი და შემდეგი მეფეებიც თავის სახელზე ფულს აჭრევინებდნენ. არიან მაგალითად ნაპოვნი ფულები: ვახტანგ გორგასლანისა, სტეფანოს მეორისა, ჯუანშერისა, დავით მეორისა, ბაგრატ მესამისა, გიორგი პირველის, მეორის და მესამისა, დავით მესამისა-აღმაშენებელისა, დიმიტრი პირველისა, თამარ მეფისა, ლაშა-გიორგისა მეოთხისა, ირაკლი მეორისა და გიორგი მეცამეტისა [1]). თამარის ფულზე ერთ მხარეს აწერია ქართულად: «თამარ—დავით»; მეორეს — არაბულად ზედ წარწერილი აქვს შემდეგი სიტყვები: «დიდებული მაღალ-ხარისხოვანი, დიდება სოფლისა და სარწმუნოებისა, თამარ ასული გიორგისა შემდეგი მესიისა, ღმერთმან ადიდოს ძლევანი მისნი.» არაბულად აწერია იმისათვის, რომ ამ გვარს ფულს გასავალი ჰქონოდა მუსულმან ხალხებშიაცა. 2) ხარჯი, რომელიც ხალხს ედვა. ამას აგროვებდნენ ერისთავები თავიანთ მაზრებში და უგზავნიდნენ ხაზინას. კომლზე რამდენი გადასახადი იყო დადებუ-

---

[1]) იხ. Нумизматическіе факты Грузинскаго Царства, сочин. Барагаева, 1844 г.

ლი, ისტორია არ იხსენიებს; ამბობს მხოლოდ, რომ ამ ხარჯს აგროვებდნენ ერისთავებიო[1]) და ის იწერებოდა შემოსავლის წიგნშიო[2]). ეს ხარჯის ფული მოჰქონდათ და აძლევდნენ საჯა-სალარს, რომელიც შეჰკრებდა ლაშქართა და ხარკსა სამეფო-სა[3]); ამას კიდევ თავის მხრით ხაზინაში შეჰქონდა. ამავე სპასპეტის მოვალეობა იყო, თუ რომელიმე ერისთავი ხარჯის შემოტანის უარს იტყოდა, ჯარით შესულიყო იმის სამფლო-ბელოში და ზეკუცეიით გამოერთვა ის[4]). 3) თუმცა მტრის დარბევა არ შეადგენდა სახელმწიფო შემოსავლის ნამდვილ წყა-როს, მაგრამ რადგან ამ დროს საქართველოს მუსულმანი ხალ-ხები ეხვივნენ და მუდამ ემტერებოდნენ და ებრძოდნენ, ამი-სათვის მტრის დამარცხება ხაზინას დიდს სიმდიდრეს აძლევდა. ნაშოვრის რამოდენიმე ნაწილი ჯარს ეძლეოდა, სხვა ხაზინას რჩებოდა. 4) თუ რომელიმე თავადიშვილი ან მოკვდებოდა უშვილოდ, ან ღალატობდა მეფეს, ან სარწმუნოებას ჰყ სჯულს აიღებდა, იმისი მამულ-დედული სახელმწიფოდ ირიცხებოდა, როგორც მამული ბეითალმანი. გარეთზე სახელმწიფოს ეკუთ-ვნოდა ერისთავის ცხენი, როცა ის მოკვდებოდა[5]).

მე არ ვიცი, ეს ხაზინის შემოსავალი რამდენ ფულს შე-ადგენდა, მაგრამ ისტორიკოსი ბარათაშვილი ამბობს, რომ მე-

---

1) იხ. გეოგრ. ვახუშ. გვ. 12.

2) იხ. იქვე გვ. 22.

3) იხ. იქვე გვ. 18.

4) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 298 და 326.

5) იხ. Истор. Груз. Бpатова, тет. IV, стр. 5 და გეოგრ. ვახუშ., გვ. 38.

თორმეტე საუკუნეში საქართველოს შემოსავალი ჰქონდა, ცოტა რომ ვსთქვათ, ევროპის მილიონამდე მანეთი [1]. ეს ფული მაშინ, რასაკვირველია, დიდ სიმდიდრეს შე ადგენდა. ამ ფულით შე-იძლებოდა დიდ-ძალი ჯარების შენახვაც და სხვა-და-სხვა შე-ნობათა აგებაცა.

როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ძველად ალმაშენებლის შემ-დეგ ხაზინას აღარ ახმარებდნენ მეფის მცველ ჯარებს (ამალას) და შემდეგ საქართველოს სამეფო გვარეულობისა აღარც ინახავდნენ მეფეები «რქმით სპას, პირველ ჰყვანდათ სახასონი აზნაურნი და მსახურნი გლეხნი, როგორც ამბობს ვახუშტი თავის გე-ოგრაფიაში მოუცდელს მეთექვსმეტე ეკვრდნი. მაშ რას უშვრებოდა თამარი ამდენს ხაზინას? ეგეთ ნახავთ. ჩვენ ვახუშტი იქვე სწერს (გვ. 22), რომ მეფეებს ჰყვანდათ მოხელენი მორიგე «სუფრით-მოძღვარიო», ამის ხელქვეითნი ყოფილან ყვ ლა ხელოსანნი კაცნი. მოვალეობა ამისი ყოფილა «შენება სასახ-ლეთა და ეკლესიათა, აბანოსა [2]), ხიდთა და ფუნდუკთა» [3]) (СТАНЦІЯ). აი ამ გვარს შენობებზე ისარჯებოდა ხაზინის ფუ-ლი. მტრის დამარცხების შემდეგ თამარი აშენებდა მთამომავ-ლობის სასაფლაოდ მონასტრებს და ეკლესიებს, და რადგან საქართველოში არ იყო ისეთი მონასტერი, რომ თან სკოლაც არა ჰქონოდა გახსნილი, ვგონებთ, რომ მაშ ამ შენობის-თანავე სკოლებიც იხსნებოდა სამეფო ხარჯით. მრავალი ეკლესიე-ბი და მონასტრები, აშენებული ქვაკირით კლდეებში და უდაბურს ტყეებში, კასპიისა და შავ ზღვის ნაპირებზე, აქ-იქ

1) იხ. რვეული IV. გვ. 35.
2) იხ. იქვე 260 გვ.
3) იხ. იქვე გვ. 156.

თვით შუა დაღესტანშიაცა, ოსეთში და ჩერქეზეთში დღესაც ხმა მაღლა ღაღადებენ თამარის დიდებას, ძლევა-შემოსილებას და მაღალს ჭკუას. შიგ შუა-გულ საქართველოში ეკლესიებს აშენებდა იგი ღვთის-მშობლის სახელზე, რადგან ეს ზეციური დედოფალი არის საქართველოს პატრონი, მფარველი და მეოხი წინაშე ღვთისა. საქართველოს მონაპირე ქვეყნებში კი, საცა იმას ქრისტიანობა გაუვრცელებია, უშენებია ეკლესიები სამების სახელზე. ისეა მოფენილი ალაზნის მარცხენა მხარე (კახეთში) ნურის ქალაქამდე მონასტრებითა და ეკლესიებითა, მის მიერ აშენებულითა, როგორც ამბობს გადმოცემა, რომ განცვიფრებაში მოდის მოგზაური მათის სიმრავლით. ეს ოცის ვერსის სიგრძეზე კავკასიის მთების მწვერვალები და ფერდობები, რომელნიც გადმოჰყურებენ კახეთს, სავსეა მონასტრებით და ეკლესიებით. მაგრამ ყველაზე უფრო შესანიშნავია ვარძიის ღვთის-მშობლის დედათა მონასტერი. ის დაიწყო თამარის მამამ გიორგიმ, მაგრამ ვერ დაასრულა. ახლა ამან უფრო გაადიდა. გამოკვეთილს კლდისაგან ეკლესია და მონაზონთა საყოფელი სენაკები. ამისი ხელოვნება ახლაც აკვირვებს მნახველებს. ამბობენ, რომ ამის გამოკვეთაზე ხელმწიფის მოღალატენი და სხვა ტუსაღები მუშაობდნენო. ამავე დროს უფლისციხეში ვიღაცა შავთელი კლდესა ჰკვეთავდა საეკლესიოდ. საქმეს რომ მოჩხომილა, ამას კედელზე გამოუჭრია შემდეგი წარწერა: მე შავთელმა ერთი წერაქვი შვიდ დღეს ვისმარე ამას კვეთაში და ერთხელ არ გამილესია ისაო [1]).

---

[1]) საინტერესოა ვიცოდეთ, ვინ შავთელია ეს კაცი? იქნება ეს შავთელი ბერად შემდგარი პოეტი არის? ქორონიკონად ამ ნაწერს აქვს 110 (იხ. Грузія и Арменія, соч. Муравьева, часть I стр. 1.)

თუმცა თამარზე ლაპარაკი ჩვენ უნებურად გაგვიგრძელდა და თუმცა ჩვენც მოხარულნი ვიქნებოდით, რომ გრძელი სიტყვა მოკლედ და მძლავრად მოგვეჭრა, ცოტა გვეთქვა და ამ ცოტაში ბევრი გამოგვეხატნა, მაგრამ, რა ვქნათ, რომ ამ გვარს საქმეს იშვიათი ნიჭი უნდა, რომლითაც ჩვენ ვერ დავიტრაბახებთ: მაინც იმედი გვაქვს, შეცოდებათ არავინ ჩაგვითვლის სიტყვის გაგრძელებას თამარზე, რადგან იგი იყო გვირგვინი საქართველოს დიდებისა, გვირგვინი დედა-კაცებისა და გვირგვინი პატიოსნებისა. თუ ასეა, მაშ მის ცხოვრებაზე და ხასიათზე სიტყვის გაგრძელება საჭიროც არის და გვეპატიება კიდეც.

თუმცა თბილისი შეადგენდა საქართველოს დედა-ქალაქს, მაგრამ მეფეები აქ არ სცხოვრებდნენ მთელ წლის განმავლობაში. არც ამათ, არც თავადებს არ უყვარდათ ქალაქებში ცხოვრება. აქ ცხოვრებდა განსაკუთრებით ვაჭარი ხალხი, მეფესა და თავადობას უყვარდა ქალაქებს გარეთ მაზრებში ყოფნა [1]. ასე იყო ძველის-ძველადგანვე: ამ ჩვეულებას მისდევდა მეფე თამარიც. მას არა ჰქონდა ერთ ადგილას სამუდამოდ საცხოვრებელი სასახლე. ის ისე დაახლოებული იყო ხალხთან, რომ მთელის წლის განმავლობაში რამოდენიმე ხანი უნდა ეცხოვრნა თავის სამეფოს ყოველს მაზრაში. სიღნაღის მაზრაში იმას ჰქონდა სასახლე ქიზიყის ბოლოს ყარაღაჯში. ამ ადგილს ხალხი ეძახის დედოფლის წყაროს. საინგილოში მისი სასახლე იყო თალის ქვემოთ ველზე, სადაც ახლა მთლად არის შენახული ეკლესია გუმბათიანი. ამ ადგილს უწოდებენ ბაზარს. ამავე მაზრაში არის ყიზ-ყალა (ქალთა-ციხე). სომხეთში სასახ-

---

[1]) იხ. ჟურ. «ივერია», 1879 წ.

ლე იყო დვინს, სამშვილდეში—ყიზყალას, ანუ ნადარბაზევს 1) ის ჰსცხოვრებდა ზაფხულ კოლას და ცქლის-ტბას; ზოგჯერ გადავიდის აფხაზეთს, ბებუთს და ცხუმს 2); ქართლში ჰქონდა სასახლე ნაჭარმაგევს 3); კოჯორის მახლობლად—ტაბახმელას 4); ახალციხის მახლობლად—ვარძიის მონასტერში და სხვასე, თამარი მუდამ ერთ ადგილას არ სცხოვრებდა, როგორც ყველა სხვა ქართველთ მეფეებიცა. ამის მიზეზი ის იყო, რომ იმათ ჰქონდათ ხალხთან ახლოს ყოფნა, მისი საჭიროების ცოდნა და ადგილობრივვე სამართალისა და გამგეობის წარმოება. მეფე ხალხს უყურებდა როგორც შვილებს, და არა როგორც ქორი—წიწილებს. ის სცხოვრებდა თავის სასახლეებში, რომელთაც აშენებდა მეფის ხარჯით ხუროთ-მოძღვარი.

რადგან თამარი ხან ერთ ადგილას სცხოვრებდა, ხან მეორეს, ასე რომ მთელ წლის განმავლობაში მიმოიცვლიდა ხოლმე სამეფოს ყოველს კუთხეს და ყოველგან საკუთარი სასახლე ჰქონდა, ამისათვის ხალხს ეგონა, რომ მეფე მხოლოდ იმათ მაზრაში სცხოვრებდა და აქედამ ჟამითი-ჟამად გადადიოდა სხვა მაზრებშიცა. აი ამით აიხსნება კავკასიის ხალხების შეცილება—არა თამარი ჩვენში სცხოვრებდა,—არა ჩვენშიო.

რას აკეთებდა თამარი მაზრებში ცხოვრების დროს? «ლომი ბრჭყალთაგან საცნაურ არს, და თამარ საქმეთაგანო», ამბობს მატიანე 5). სამეფო საქმეთაგან რომ მოიცლიდა, ის მე-

---

1) იხ. გეოგრაფ. ვახუშ. გვ. 166 და 168.

2) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 337 და 333.

3) იხ. იქვე გვ. 334 და გეოგრაფ. ვახუშ. გვ. 250.

4) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 308.

5) იხ. გვ. 291.

შინვე დედა-კაცურად ხელ-საქმობდა. ის ართავდა ალექსანდრიით მოტანილს კაჭრებისაგან მატყლს, ჰკერავდა ეკლესიებისათვის შესამოსლებსა და სხვა საკერავებსა და «თავის ხელითვე განუყოფდა ხუცესთა, გლახაკთა და ღარიბთა.» ხაზინიდგან ის არას აძლევდა ღარიბს ხალხს. ყოველს დღეს იმდენს ხელ-საქმობდა, რამდენსაც თავის საჭმელზე ჰხარჯავდა სასლში. ამ ხელ-საქმარს ის ჰყიდდა და მის ფასს ღარიბებს აძლევდა [1]. «მე ვარ მამა და დედა ობოლთა და მსაჯული ქვრივთაო» ამბობდა თამარი. იმას თვითონ არავინ დაუჩაგრავს უსამართლოდ, არც სხვისთვის მიუცია ნება მძლავრობისა. სომხები და მუსულმანები, რომელიც იმან დაიმორჩილა, ყველანი კმაყოფილნი იყვნენ იმისი. იმან დაამშვიდა ამათი ცხოვრება და მასცა ნება ეცხოვრნათ ჭკუიანად და დინჯად, როგორც მათი წესი და რიგი იყო. ამათ სთხოვდა მხოლოდ მორჩილებას, ხარჯს და კეთილად ცხოვრებას. თვითონაც თავის სასახლეში ძალიან წყნარად და ქრისტიანულად სცხოვრებდა. მის კარის ეკლესიაში დღეში სამჯერ ლოცვა იყო: «მწუხრი, დილეულ და სამხრის.» სეფე-წულთაგან ვერავინ დააკლდებოდა ამ ღვთის ვედრებას, თუ ვინმე რასმეს დააშავებდა, ის მოქმედებდა მათზე სიტყვით, დარიგებით და ჩაგონებით. ერთის სიტყვით ის იყო ტაძარი სიმართლისა, გვირგვინი პატიოსნებისა და წყარო კაცობრივის ღირსებისა. ამისათვის უზომოდ უყვარდა ის ხალხს. მისი სახელი ქართველ კაცს ენაზე დაწებებული ჰქონდა. ყველანი იმას მეცადინეობდნენ რამე ქება ეთქვათ თამარისათვის ლექსად. ბეჭედზე, ხმალზე, დანებზე, და მოხუცებულნი ჯოხებზე თამარის სახელს აწერდნენ; დარბაზებზე აგროსტიხურად

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 311, 312 და 337.

თამარის ქებას აჭრევინებდნენ; ახალ-გაზრდანი ერთმანერთის მუსაიფის დროს თამარის საქებ ლექსებით ეჯიბრებოდნენ. ერთის სიტყვით ის ისეთი ძლიერი, წყნარი, მშვიდი, გონიერი, კაცთ-მოყვარე, მოწყალე და ძვირ-უხსენებელი ყოფილა, რომ ხალხს მასზე მრავალი არაკები შეუდგენია. რადგან ისინი შეადგენენ თამარის ხარაკტერისტიკას, მოვიყვან სამს მათგანს. 1) თამარი ისეთი მშვენიერი, წყნარი და ღმობიერი ადამიანი ყოფილა, რომ მხეცებიც კი მას ემორჩილებოდნენ და თაყვანსა სცემდნენო. შარვანშამ იმას გამოუგზავნა ლომის ბოკვერი. ის ისეთი დიდი და საზარელი შეიქმნა, რომ მისებრი არ ნახულა კაცისაგან არც ველური, არც შინაური. როცა ამას სასახლეში მოიყვანდნენ, თუმცა ორ-გეცი ჯაჭვით ეჭირათ, თამარს დაინახავდა თუ არა, გაიწევდა, გაითრევდა კაცებს, მივიდოდა მასთან, ჩაუდებდა მას კალთაში თავს და ლოშნიდა მას [1]. 2) სვანები ამბობენ, რომ თამარი არ მომკვდარაო; ის ცხოვრებს უშკულში ეკლესიის ქვეშ სარდაფშიო. თუ ეს ადგილი გახსნეს და თამარი ამოვიდა, დიდი უბედურება შეემთხვევა ქვეყნიერებასო [2]. 3) ერთ დღესასწაულს დღეს თამარი გელათში წირვაზე წასვლას ემზადებოდა. ამ დროს შემოვიდნენ მასთან და მოახსენეს: გლახაკი დედა-კაცი მოწყალებას გთხოვსო. მომიცადოს ცოტა ხანსაო, უბძანა თამარმა; მაგრამ ვიდრე ის თავს დაიხურავდა და ლეჩაქზე ლალებს გაიკეთებდა, გლახაკმა აღარ მოიცადა. თამარი გამოვიდა მოწყალების მისაცემად, მაგრამ ის ვეღარ ნახა, და ისე შერცხვა და ეწყინა, რომ მოიხა-

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 301, 312, 336.

[2]) იხ. Природа и Люди на Кав. и Закав., соч. Надеж., стр. 100.

და ლეჩაქი, თვალ-მარგალიტითა და ლალებით შემკობილი, რომლის თავზე დახურვაც იყო მიზეზი მისი დავვიანებისა, გადაახურა თავზე ხახულის ღვთის-მშობელს და სთქვა: «მე აღარა ვარ ღირსი, რომ ეს ლეჩაქი თავზე კიდევ მეხუროსო» [1]).

ასეთი საყვარელი მეფე იყო თავის ერისა თამარი. ის გამეფდა 17 წლისა, იმეფა 28 წელიწადი. ის ავად გახდა «დედობრივის უძლურებით» ნაჭარმაგევში, რომელსაც ახლა ქართლში კარალეთს ეძახიან. ძლიერ რომ დასნეულდა, ის თბილისში ჩამოიყვანეს ბალდახინით, მაგრამ ექიმებმა რომ ვერა უშველეს-რა, უკანვე წაიყვანეს ნაჭარმაგევს და აქ «დაიძინა თამარ ძილი იგი მართალთა» 18 იანვარს, 1212 წელს. მან ასახელა და გააძლიერა საქართველო და დაიმარხა მამათა თანა გელათში [1]).

თამარის სახელმა და დიდებამ აღამაღლა ჩვენში ქალის ღირსება და მნიშვნელობა; მიეცა მას სრული თავისუფლება მოქმედებისა; მაგრამ სამწუხაროდ იმათ ვერ ისარგებლეს კეთილად მინიჭებულის უფლებით: ისინი ძალიან თავს გავიდნენ, გაამაყდნენ, გაუტკბათ ცხოვრება იმ ზომამდე, რომ დედობრივი სირცხვილი, ნამუსი, უმანკოება და ერისთვის გულშემატკივრობა დაასუსტეს თავიანთ გულში. აღმოჩნდნენ «დედანი უწესონი, რომელთა-თანა აღრევითა» გაირყვნა დიდებულის თამარ მეფის შვილი ლაშა-გიორგი, «რომელი შეაცდუნეს დედათა.» მაღალ-წოდებას შემოეპარა რაინდული ცხოვრება, „რათა განიძლონ სიბილწე თვისი.“ მემატიანე აქ შემდეგ ნაირად მწუხარ-მეტყველებს: ვითარცა ერთ დროს ებრაელნი გაჭ-

[1]) იხ. იქვე გვ. 337 და соч. Муравьева «Грузія.»

[1]) იხ. მატიანე, გვ. 326, 334 და 338.

ძლნენ, განსხვავდნენ, გასუქდნენ და დაუტევეს გზა ძველ-მოქ-მედებისა, პატიოსნებისა და კეთილ-სინიდისიანობისა, სწორედ ეგრე იქმნა ქართველთ საზოგადოებაშიაც: „განძღეს და იმკვებ-დეს, და მიდრკეს უწესოებად სიმკვათა შინა“ [1]). მაგრამ ამ შექ-ცევასა, სმასა და ჭამას დიდ-ხანს არ აცალა სიკვდილმა. ლაშა-გიორგი მოკვდა უზომოდ ფუფუნებითი და განცხრომითი ცხოვრებისაგან. გამეფდა მისი და რუსუდანი. მიჰყო ამანაც ხელი თავის ძმის საქციელს. ის დედასავით მალიან ლამაზი ქალი იყო. ასაკში რომ მოვიდა მცირე-აზიის სულთანი მელი-ქი და შირვან-შაჰი ეხვეწებოდნენ ქმრობას, მაგრამ იმან უარი უთხრა და ჯვარი გადაიწერა იკონიის სულთნის ყილიჯ-არსა-ლანის III-ს შვილზე მოგით-ედდინ-თოღრულ-შაჰზე, რო-მელმაც ქრისტიანობა მიიღო ამ მიზეზით. მაგრამ იმან უღა-ლატა ქმარს და ეს უკანასკნელი რომ გაუწყრა, მაშინ დაიჭი-რა ის და ჩასვა ციხეში. იმოდენად უნამუსო შეიქნა, რომ არ მოერიდა ქვეყნის განკიცხვას და სრულიად მიეცა თავის გუ-ლის თქმათა დაკმაყოფილებას. ტყუილად ხომ არ არის ნა-თქვამი: «ადამიანის პირის-კანი ხახვის შუა გარსზე უფრო თხე-ლია და თუ ერთხელ გაიხა, კამბეჩის ტყავზედ უფრო გას-ქელდება და შეიქნება ურცხვი.» ასე დაემართა რუსუდანსა. ქმრის დატუსაღების შემდეგ დაიბარა ოსეთიდგან ორი წარ-ჩინებული გვარის კაცი და მიჰყო ხელი იმათთან უწესოებასა, ვიდრე მათთანაც ყოფნით გული არ გაუქსუვდა. მერმე ესენიც გარეკა და დაიბარა განჯის მთავრის შვილი და ახლა იმასთან შეურაცხ-ჰყო საწოლი თვისი. იმ ზომამდე დაჰკარგა მან გრძნო-ბა ზნეობრივი, რომ ამ უცხო თათარს ეხვეწებოდა ქრისტი-

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვრ. გვ. 341 და 342.

ნოზა შეულდ და კანონიერი ჯვარი დაეწერა, მაგრამ იმან უა-რი უთხრა.

მონგოლებისაგან გამოდევნილმა საქართველოსკენ ჯალალ-ედდინმა რომ შეიტყო ასეთი ქცევა რუსუდან დედოფლისა, მოინდომა მისი ქმრობა და ამ მიზეზით საქართველოს მეფედ გახდომა, რომ რა არის შეერთებულის ჯარებით შეებრძოლე-ბი ჩინგიზ-ხანის ჯარებსაო; მაგრამ იმან ცივა უარი შეუთვა-ლა სახელოვანს გმირს. ამისათვის ეს კაცი შემოესია თავის-ის სამოცი ათასის კაცით 1227 წელს სამეფოს და სრულიად გააოხრა მისი აღმოსავლეთის მაზრები. ამისა გამო საქართვე-ლო ძლიერ დასუსტდა და დაუძლურდა. ამ გარემოებამ, ჯა-ლალ-ედდინის შემდეგ, ძლიერ გაათამამა ხვარაზმიისა და იკო-ნიის სულთნები: იმათ მოიწადინეს საქართველოზე გამოლაშ-ქრება. რუსუდანი შეშინდა, და 1233 წელს სთხოვა პაპას გრიგორი მეცხრეს შემწეობა ჯარით და ამ შემწეობისათვის მადლობის გადასახდელად ის დაჰპირდა საქართველოს ეკლესიის შეერთებას ლათინთ ეკლესიასთან. მაგრამ პაპასაგან პასუხმა დაიგვიანა. მაშინ ცბიერმა რუსუდანმა იხმარა პოლიტიკური ხე-ლოვნება. იმან დაუყოვნებლივ სთხოვა იკონიის სულთანს კაი-კაბადს მოყვრობა. ეს თანახმა გახდა და ამანაც დანიშნა თა-ვისი ასული თამარი, რომელიც თოღრულ შაჰისაგან ჰყვანდა, მის შვილზე ყიასდინზე, და რომ შეიჯეროს მტრის გული, გაუგზავნა მას მცირე-აზიაში მძევლად თავისი ძმის-წული, ტახ-ტის მემკვიდრე დავით სოსლანი. ეს უკანასკნელი საქმე იმ მიზეზით მოიმოქმედა, რომ თავის შემდეგ საქართველოს ტახ-ტის გადაცემა თავის შვილის დავით-ნარინისათვის ეწადა. ამ სურვილმა შემდეგში გაჰყო საქართველო ორ სამეფოდ. მემ-კვიდრის საქართველოდგან გაშორების შემდეგ, იმან გამოაცხ-

ხადა თავისი შვილი ტახტის მემკვიდრედ; იმას ეგონა ამის შემდეგ დავითიც უარს იტყვის თავის ნებით ტახტზედაო; მაგრამ ის სცხოვრებდა დიდის პატივით მცირე-აზიაში და სრულიადაც არა ჰქონდა განზრახვა ხელი აეღო სამეფოზე. ამასობაში გადის რამდენიმე ხანი. რუსუდანი ათხოვებს თავის ასულს თამარსაც და მზითევში აძლევს აწყვერის ქპარწიას [1]). ეს ამასა და დავითს უყვარდათ ერთმანერთი და-ძმურათა, როგორც ნათესავებს და უზიარებენ ერთი-ერთს დარდსა და სიხარულს უცხოეთში. ამისათვის დავითი არ ნაღვლობს. ეს სწყინს მამიდას. ემდურის თავის ასულს და სთხოვს სიძეს მოჰკლას დავითი [2]); მაგრამ თამარი ესარჩლება ბიძა-შვილს. ამაზე რუსუდანი ცოფიანდება და სწერს სიძეს: «ჩემის ძმის-წულის სიკვდილი ამისათვის მსურსო, რომ ქრისტეს სჯულის კანონს არღვევს და ჩემს ასულს და შენს საყვარელს ცოლს ჰყვარობსო, რისა გამო ისიც მას ესარჩლებაო [3]). მაშინ ბარბაროსი მოტყუვდა და აღძვინდა: დაიჭირა ცოლი და ისე სცემა წიხლითა, რომ სრულიად დაასოსა და დაალურჯა, დაულეწა ხატი და ჯვარი და უბრძანა ქრისტიანულად აღარ ელოცნა და მიეღო მაჰმადიანობა. მერმე დაიჭირა დავით სოსლანი და ზღვაში ჩააგდებინა, მაგრამ სიმართლე მიუძღოდა მას წინ და ამისათვის არ დაიღუპა, რისა გამო ის ახლა ორმოში ჩააგდეს, რომელშიაც მრავლად ბუდობდნენ გველები.

ამის შემდეგ რუსუდანი დამშვიდდა, და ნაცვლად იმისა, რომ მიექცია ყურადღება აოხრებულ სამეფოს გამაგრებას,

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 352.

[2]) იხ. იქვე გვ. 356.

[3]) იხ. იქვე გვ. 367.

ხალხის განათლებას და გამდიდრებას ვაჭრობითა და სხვა-და-სხვა ხელობის სწავლითა, მოიწადინა ევროპის ხალხების ჯვაროსნულ ლაშქრიანობაში მონაწილეობის მიღება. აი რასა სწერს ის პაპას: «ჩემი ძმა, საქართველოს მეფე გარდაიცვალა და მას შემდეგ მე გავმეფდი. ახლა გთხოვთ მაკურთხოთ და დამლოცოთ მეცა და ჩემნი ქვეშევრდომნიცა. ჩვენ მივიღეთ თხოვნა თქვენის მოადგილესი, რომელიც იმყოფება დამიეტაში, რომ ჩემი ძმა მიეშველებოდა იქ ქრისტიანებს. ის კიდევაც მოემზადა აესრულებინა თქვენი თხოვნა, მაგრამ წყეულნი თათარნი შემოესივნენ ჩვენს ქვეყანას, დიდი ვნება მისცეს ხალხსა და მოკლეს ექვსი ათასი კაცი, ჩვენ იმათ არ ვერიდებოდით: გვეგონა, ისინი ქრისტიანენი იყვნენ; მაგრამ როცა შევიტყეთ, რომ ისინი ქრისტიანნი არ არიან, შევყარეთ ჯარები, თავს დავესხით მათ, ამოვწყვიტეთ ოც-და-ხუთი ათასი, მრავალნიც დავატყვევეთ და განვდევნეთ ჩვენის ქვეყნიდგან. აი ამან დაგვიმალა და ვერ აღვასრულეთ თქვენის ლეგატის თხოვნა. ჩვენდა სასიხარულოდ ახლა შევიტყეთ, რომ თქვენის ჩაგონებით იმპერატორი უნდა მოვიდეს სირიაში, რომ განათავისუფლოს წმინდა ადგილები. უბრძანეთ ჩვენც შეგვატყობინონ, როდის უნდა წამოვიდეს ის, და დანიშნეთ დრო და ადგილი, როდის და სად გამოვგზავნოთ ჩვენი სპასალარი იოანე ჩვენის ჯარებითა, რომ უშველოს ქრისტიანებს და გაათავისუფლონ წმინდა საფლავი ურჯულოთ ხელიდგან. უთუოდ გეცოდინებათ, რომ სპასალარმა იოანემ და სხვათა მრავალთა თავად-აზნაურთაც ჯვრით დაიდამღეს თავი და უცდიან ჯვაროსანთ მოსვლას. ამისათვის ჩვენ გთხოვთ, გამოგვიგზავნოთ საკუთრივ ჩვენ, აღმოსავლეთის ქრისტიანებს, ცალკე წერილი თქვენის ლოცვა-კურთხევითა.» ამ წერილზე პაპამაც უპასუხა და აქო-

წერილში რუსუდანისა და ქართველების სარწმუნოებრივი სიმტკიცე; აგრეთვე შეატყობინა, რომ ფრიდერიკოს იმპერატორი ერთ წლის შემდეგ გამოილაშქრებს თათრებისათვის წმინდა ადგილის წასართმევათო. მაგრამ ეს არ მოხდა 1228 წლამდე და ამ წლებს კიდე რუსუდანს აღარ სცალოდა. 1227 წელს საქართველოს ჯერ ჯალალ-ედდინმა ააოხრა, მერმე მას მოჰყვნენ მონგოლები, რომელთაც დაიპყრეს აღმოსავლეთი საქართველო და სრულიად გაანადგურეს. რუსუდანი გაიქცა იმერეთში. «რუსუდანი ყოვლადვე დაემკვიდრა ლიხთ იქით და ვერღარა გადმოვიდეს ლიხთ აქეთ» [1]. ამისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ყურს აღარ უგდებდა. ამასობაში მონგოლები დასეირნობდნენ საქართველოში და არბევდნენ ხალხს. ისინი არ წყნარდებოდნენ, რადგან რუსუდანი არ ურიგდებოდა იმათ. რადგან თავად-აზნაურობას არ ეწადა მისი შვილის გამეფება, ის ჯიბრზე არ ისმენდა მის ვედრებას შეჰრიგებოდა მტერს, და ვიდრე მისი შვილი არ აღიარა თავადობამ ტახტის მემკვიდრედ, არ დაემორჩილა მას. ამის შემდეგ სთხოვა რუსუდანმა მონგოლებსაც, რომ მისი შვილი მეფედ აღიარებინათ. ისინი თანახმა გახდნენ, და დაიბარეს თავისთან დავით-ნარინი; მაგრამ მონგოლებმა ის აღარ გამოუშვეს. რუსუდანს ეს ეწყინა, და «ტკბილისა შვილისა თვისისა ნაღვლითა მწარედ ილეოდა, დასნეულებული გარდაიცვალა თბილისს [2]).

ამის შემდეგ შეიყარნენ თავადნი: სარგის თმოგველი

---

1) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 360.

2) ქორონიკონი არის ნაჩვენები 451, რომელიც უდრის 1233 წელს, მაგრამ ის გარდაიცვალა უფრო გვიან. ჩვენის აზრით 1239 წელს.

ათაბაგი შანშე, ვარამ გაგელი, ყვარყვარე ჯაყელი, და სხვანი, სთხოვეს ნოინებს დაეხსნათ დავით სოსლანი პატიმრობიდგან და გაემეფებინათ. ვარამ გაგელმა და სარგის თმოგველმა ის მოიყვანეს მცირე აზიიდგან საქართველოში, მაგრამ ნოინებმა გაგზავნეს ყაენთან ჩინეთში, სადაც იმყოფებოდა რუსუდანის შვილი დავით-ნარინიცა. იქ ისინი დიდ ხანს დარჩნენ, რადგან მონგოლებმა არ იცოდნენ, რომელი მათგანი გაემეფებინათ. ბოლოს ორივეს დაუმტკიცეს მეფობა, რადგან იმერეთის თავად-აზნაურობას უყვარდა დავით-ნარინი, აღმოსავლეთის—საქართველოისას—დავით სოსლანი. ესენი პირველ ხანებში თანხმობით მეფობდნენ; მაგრამ გავიდა დრო, აეშალნენ ერთმანერთს. მაშინ ნარინი გადავიდა იმერეთში, გამეფდა იქ და გაცალკევდა საქართველოსაგან. ამას შეუდგა მტერობა და ყლიტეს ერთმანერთი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქართველებმა, და ამან ისე მოაბეზრა ხალხი, რომ სიგელის შედგენით გაჰყვეს საქართველო ორ სამეფოდ [1]).

აი ასეთი შედეგი ჰქონდა რუსუდანის მოფობასა და მოქმედებას. ამის შემდეგ ნელ-ნელა ჩაესვენა საქართველოს პოლიტიკური თავისუფლების ვარსკვლავი სამარეში. მართალს ამბობენ ნასწავლნი კაცნი: «დედა-კაცთაგან სამეფონი კიდეც აღყვავდებიან და კიდეც დაემხობიანო.» ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ ქართველთ ერთობა და სამხედრო დიდება მათ აღაშენეს და ახლა ვხედავთ, რომ იგი ერთობა მათვე დააქციეს.

ამის შემდეგ საქართველოს ბედიც და უბედობაც ქალების ხელშია. მეფეებს ისე ატრიალებენ, როგორც ენებებათ. მათ გაიტაცეს თავიანთ მწვალითით მონგოლთ ქალებიცა. აი რაებ-ის სჩადის ჯიგდახათუნი, ცოლი დავით-სოსლანისა.

---

1) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 393.

სამეფოს ორად გაყოფის შემდეგ მეფე თავის ჯარებით ყაენთან წავიდა, რადგან დაებარებინა. სამეფოს გამგეობა მან ჩააბარა თავის ცოლს და პირველს ვეზირს ჯიქურს. ეს კაცი მეფის ძლიერ ერთგული იყო და ქვეყნის კარგად გამგეც. მის დროს ქურდი და ავაზაკი არ მოიპოვებოდა სამეფოშიო, ამბობს მატიანე. ამანვე აღუშენა მეფეს „ისანთა პალატი," რადგან სამეფოს დიდი შემოსავალი ჰქონდა მისივე (ჯიქურისა) მეცადინეობით. მაგრამ ვერც ეს კაცი გადურჩა დედა-კაცის გავლენას. ჯიგდა-ხათუნის [1]) ბძანებით იმან დაიჭირა კახეთის გაღმა მხრის მთავარი თორღუა, გატეხა ფიცი, წააყვანინა კლდეკარს და კლდეზე გადააჩეხინა თვინიერ მეფის ცნობისა. დედოფალი ათამაშებს მეფეს, როგორც ენებება. იმას შვილი არა ჰყავს, ამ მიზეზისა გამო ის მეფეს ძალას ატანს მეორე ცოლიც შეირთოს. ის ასრულებს მის სურვილს. მოიყვანს ხასადოსის ქალი ალთუნ, ამისგან იშვა გიორგი. ჯიგდა-ხათუნმა მაშინვე წაართვა დედას შვილი და თვითონ იშვილა. ამის მერე მე[illegible] ალთუნისაგან იშვა ასული თამარ. ჯიგდა დედოფალმა ესეც წაართვა დედას და მერმე ქმარს დაათხოვნინა სახლიდგან [2]); მაგრამ ამის შემდეგ ის მალე მოკვდა. მეფემ შეირთო ცოლად ახლა გვანცა, ქვრივი ავაგ ათაბაგისა, რომელიც იყო ცოლ-ყოფილი ივანე ათაბაგის შვილისა. ეს დედა-კაცი რაჭის ერისთვის კახაბერის ქალი იყო. ჯიქური ეწინააღმდეგებოდა მეფეს ამის შერთვისთვის. ამისათვის გვანცა და ის გადაეკიდნენ ერთმანერთს, მაგრამ ჯიქურს მკვდრად დაუჯდა მასთან მტერობა.

---

[1]) ის იყო მონგოლი, მაგრამ ქრისტიანობდა, როგორც ამბობს ქართ. ცხოვ. გვ. 384.

[2]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 388.

ემან მიიმხრო სუმბატ ორბელიანი და მეფის ღალატობა შასწამა. მალე დამჯერებელმა მეფემ აღარ გამოიკითხა ჯიქურის სამტყუნე და სიმართლე, დააჭერინა შუაღამისას ეს სახელოვანი კაცი, მოაყვანინა სასახლეში, რომელიც მტკვარს გადაჰყურებდა, გაალებინა ფანჯარა და გადააგდებინა მტკვარში; თვითონ იჯდა მეორე ფანჯარასთან და აღტაცებული უყურებდა თავის მსხვერპლს. მაგრამ ვერ გადურჩა განცდას სამართლის განსჯას. რა საწყაულითაც იმან ჯიქურს მიუწყო სიმართლე, იმავე საწყაულით მიეწყო მასაც სამართალი თავისივე ასულისაგან. აი რაშია საქმე:

ამ ხანებში მეფე დავითი აემალა მონღოლებს. მოუვიდათ ჩხუბი. მეფე დამარცხდა. გვანცა და მის მიერ ნაშობი შვილი მეფისაგან, დიმიტრი, წოდებული შემდეგში თავ-დადებულად, მონღოლებმა ტყვედ წაიყვანეს. ამ დროს ხელში ჰყვანდათ იმათ მეფის პირველი შვილი გიორგიც, რომელიც ალთუნისაგან იყო შობილი. რადგან მეფე აღარ ემორჩილებოდა იმათ, ამისათვის მოიდომეს მეფის ოჯახის მთლად გაწყვეტა. მაშინ შეშინებულმა გვანცამ თავისი შვილი დიმიტრი ერთ სახელოვან ნოინის ცოლს, რომელიც უშვილო იყო, კალთაში ჩაუგდო და სთხოვა გადაერჩინა სიკვდილისაგან, და უთხრა, რომ ეს არის დავით წინასწარმეტყველის ჩამომავალი. თხოვნას შეუსმინა ნოინის ცოლმა, წაესარჩლა დიმიტრის და გადაარჩინა დინასტია სიკვდილს. მაგრამ გვანცა კი, არ ვიცით, რა მიზეზით, ყველამ მოიძულეს. მისვე საკუთარს ასულს ხვაშაკს, რომელიც მას პირველ ქმრისაგანა ჰყვანდა, ისე შეეჯავრა დედა, რომ საწამლავი მისცა და მოჰკლა [1]. ასე, გვანცამ დინას-

---

[2]) იხ. ქართ. ცხოვ., გვ. 398.

ტია გადაარჩინა სიკვდილს, და თავისი თავი კი მის სიცოცხლეს ზედ-წააკლა.

მეფე დავითმა ახლა მესამე ცოლი შეირთო. ამას ერქვა ქსუქან. ის იყო «დიდის ყარმაღონ ნოინის ასული.» არც ეს დედოფალი იყო კეთილის სულისა და სინიდისისა. მაგრამ რა-და მარტო ამაზე ვამბობ: მთელს საზოგადოებას გაუჯდა ძვალ-რბილში ბიწიერება. აღიხოცა ღვთის შიში და მსახურება; გა-ირყვნა ზნეობა და სინიდისი. ამ დროს გარყვნილია მეფეც, დედოფალიც, ბერიც და ერიც. დედოფალი ჰყვარობს ბასილი უჯარმოელს. ბერი ჯერ მეფის საწოლს შეეხება, მერმე ხელს იდებს თავის ხარისხზე და ერისთაობას იჩემებს. მეფე უწყრება მას და სიკვდილით სჯის, დედოფალს ესა სწყინს და ქმარს საწამლავს აძლევს და ჰკლავს: როგორ თუ შენ გამიბედე და საყვარელი მომიკალიო [1]).

თუ გვანცა დედოფალი ორჯელ გათხოვდა, არც მისმა ასულმა ხვაშაგმა დააკლო რამე. ის იყო მამის ერთა შვილი[2]). როცა მისი დედა გათხოვდა მეფესთან, მაშინ მანკაბერდელმა, როგორც მზრუნველმა [3]), ის მიათხოვა მონგოლს, რომელ-საც ერქვა ხოჯა-შამშადდინი [4]). მაგრამ ეს ქმარი რომ მოუკვდა და შვილი არ დარჩა მისგან, მაშინ ის დაბრუნდა თავის მამის სამკვიდრებელში, და რამდენიმე ხნის შემდეგ თავის მზრუნ-ველზე მანკაბერდელზე ჯვარი გადაიწერა [5]). ამ გარემოებას არ

---

[1]) იხ. იქვე გვ. 399, 409.

[2]) იხ. იქვე გვ. 388.

[3]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 388.

[4]) იხ. იქვე გვ. 398.

[5]) იხ. იქვე გვ. 412.

ჰქონდა საქართველოსთვის კეთილი შედეგი. მანკაბერდელი უამისოთაც ძლიერ აღზევებული [1]) იყო და ამ ქორწინებამ ის უფრო გააძლიერა. ხვაშაგმა თავისი მამის სამკვიდრებელიც ამას დაუმტკიცა საშვილის-შვილოდ. ამისა გამო მეფემაც თავის მხრით მისცა მას სიბდივნობა (президентъ государственнаго совѣта), რადგან ეს თანამდებობა სიცოცხლეში იმის სიმამრს ავაგს ეჭირა და ახლა მისი ასულისა და ქონების მემკვიდრე გახდა. ამ გვარს შემთხვევაში ქალებს ისეთი უფლება ჰქონდათ, როგორც მამა-კაცებს. თუ მამას ვაჟი-შვილი არ ჰყვანდა, მამულები მთლად ასულს ეძლეოდა. ასე მოხდა ახლაცა. ამ კანონის წყალობით მანკაბერდელმა დიდი მამულები შეიძინა. რადგან ქალებს ჰქონდათ მართლიერება მამის უძრავი და მოძრავი ქონებისაგან წილი მიეღოთ გათხოვების დროს, ამისათვის მოინდომა მეორე ცოლის შერთვაცა, და წადილი კიდევაც აღისრულა. იმან შეირთო ახალ-ციხელის ასული, და მზითევში მიიღო «ყარსის მიმდგომი ქვეყანანი.» ახლა ის უფრო გამდიდრდა და გაძლიერდა. ის შეიქმნა ახლა ამირ-სპასალარიც, სიბდივანიც და ქვეყნის გამგებელიც. საქართველოს შესახებ მონგოლები ყველაფერს იმას ეკითხებიან. თვით მეფეც იმას პატივსა სცემს და ერიდება მის წყენას. მაგრამ მისი ხარბი თვალი ჯერ კიდევ არ არის გამძღარი. იმას უნდა იშოვოს თელავი და ბელაქანიც; მაგრამ მეფე არ აძლევს. მაშინ იმან განიზრახა მეფე დიმიტრის დაზე ჯვარის დაწერა, რომ რა არის ამ გზით შეიძინოს თელავიცა და ბელაქანიც. მაგრამ მეფის და თამარი არღუნ მონგოლის შვილსა ჰყვანდა ცოლად. მის სასიხარულოდ ქალს არ უყვარდა თავისი ქმარი,

[1]) იხ. იქვე გვ.

და სცხოვრებდა იმასთან მხოლოდ იმისათვის, რომ ის საქართველოში იმყოფებოდა; არც თხოვდებოდა იმაზედ, თუ მას პირობა არ მიეცა, რომ აქ იცხოვრებდა. მაგრამ მონგოლს მამა არღუნი რომ მოუკვდა, ცოლი დასტოვა თბილისში, თვითონ წავიდა მამის სამამამულზე მონგოლეთში. რამდენიმე ხნის შემდეგ დააპირა თამარის წაყვანაცა; მაგრამ ქალი უარზე შედგა, რადგანაც «ჰმაგდა მისი სარწმუნოებაო», და არ უყვარდა. ის გაიქცა მთიულეთში. ასტყდა ამაზე საჩივრები ყაენთან. ბევრს ეცადნენ წაყვანას, მაგრამ თამარი ვერ დაითანხმეს. მაშინ მანკაზრდელმა შეატყობინა ყაენს და სთხოვა: მეფის დას ქმარი, არღუნის შვილი აღარ სწადიანო. ყაენი დათანხმდა ამ ცოლქმართ გაყრაზე, რადგან მონგოლებს ასეთი ჩვეულება ჰქონდათ: «როცა ქალი და ვაჟი ცოლ-ქმრობაზე დათანხმდებოდნენ, მაშინ ქალი გაიქცეოდა რომელსამე ნათესავთან და იქ დაიმალებოდა. სიძე მოვიდოდა და სთხოვდა საცოლოს, მაშინ სიმამრი ეუბნებოდა მას: ჩემი ქალი შენ გეკუთვნის, წადი მოძებნე, სადაც იპოვი, წაიყვანეო» [1]. არღუნის შვილმა თამარი ეძება და რომ ვერ იპოვა ეს ამბავი შეუდგა. თამარი გამოცხადდეს, და მანკაზრდელმა შეირთო ცოლად. მაშინ მეფემ მისცა მას თელავიცა და ბელაქანიც. მაგრამ როცა ჰადუნი მანკაზრდელი მოკვდა, დიმიტრისავე თხოვნით მის შვილს ხუტლუ-შას ანუ ხუტლუ-ბუღას მონგოლებმა ჩამოართვეს ავაგ-ათაბაგის მამულები და მისცეს მასვე დიმიტრის. ეს სწყინა ხუტლუ-შამ და მოაკვლევინა შემდეგში მონგოლებს მეფე დიმიტრი თავ-დადებული [2].

---

[1] იხ. Начало цивилизацiи Леббока-გვ. 81

[2] იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 420, 423 424.

სამი ცოლი, რასაკვირველია, მარტო სადუნ მანკაბერდელს არა ჰყვანდა. ამაში მონაწილე იყო დიმიტრი მეფეცა. ამასაც სამი ცოლი ჰყვანდა ერთად. პირველი იყო ტრაპიზონის იმპერატორის ასული, მეორე იყო თათრის ქალი სოლღალა, მესამე ბექა დიდის ჯაყელის ასული ნათელა. როცა დიმიტრი მოჰკლეს მონგოლებმა, ესენი სამივენი თანა ჰყვანდა თავის შვილებით. ამათ დამალეს თავიანთი შვილები და თვითონაც დაიმალნენ, რადგან უაენს იმათი დახოცვაც ეწადა [1]. ასე ამ სახით დედა-კაცებმა კიდევ გადაარჩინეს დინასტია სიკვდილს.

მაგრამ შესანიშნავია, რომ მატიანეს დამწერი საქართველოს ამ დროს ზნე-გარყვნილობას დედა-კაცებს აბრალებს. რათ იყო მეფე ლაშა-გიორგი და მის დროინდელი საზოგადოება გარყვნილიო?—ამისათვის რომ ის შეაცდინეს უწესო და უზნეო დედა-კაცებმა, «რათა განიმდორნ სიბილწე თვისი» [2]. რად შეირთეს დიმიტრი მეფემ და სხვებმა სამ-სამი ცოლიო?—ამისათვის რომ „დედათა შეაცდინეს სოლომონისაებრ, და ურიცხვითა კეთილითა აღვსებული სიბოროტედ მიდრკა" [3]. მაგრამ განა მართალს ამბობს მატიანე? განა დედა-კაცები ატანდნენ ძალას მამა-კაცებს; არ იქნება თუ თითომ სამ-სამი არ შეგვირთეთო? მამა-კაცს ჰსურს სამი ცოლი ჰყვანდეს ერთად, და შეძლებაც ამის ნებას აძლევს, და აბა დედა-კაცი აქ რაშია დამნაშავე!? საზოგადოებაში გარყვნილების გამავრცელებელნი ისინი კი არ არიან, არამედ მოცალეობა, უხობა პურისა და ღვინისა. აი რას ამბობს ამის თაობაზე ქართლის ცხოვრება ერთ ადგილას: «ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველიდ-

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 425.

[2]) იხ. იქვე გვ. 341. [3]) იხ. იქვე გვ. 418.

განვე თვისთა უფალთა, რამეთუ რა-ჟამს განდიდნეს, განსუქნეს, და დიდება ჰპოონ და განსვენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა, ვითარცა მოგვითხრობს ძველი მატიანე ქართლისა და საქმენი აწ ხილულნი“ [1]. რასაკვირველია, ამით ჩვენ ის არა გვსურს ვსთქვათ, რომ ქალები უცოდველნი არიან ამ შემთხვევაში, მაგრამ მაინც თამამად ვაღვიარებთ, რომ ჩვენში ისინი ჰსჯობნებიან მამა-კაცებს. იმათი ლეჩაქი ისე დასაძრახისი არ არის, როგორც რომ მამა-კაცის ქუდი. ამ მოხსენებულს ზნეობა გარყვნილს, დაცემულს და ბნელით შემოსილს დროს ქართველთ საზოგადოებაში ისევ იმათი ლეჩაქი ბრწყინავს, ისევ ისევ ისინი მეცადინეობენ მოიპოვონ მალამო საზოგადო სნეულების მოსასპობლად და ხდებიან, როგორც ერის ზნეობის დამცველად, აგრეთვე ერთობისა და პოლიტიკურის თავისუფლების აღმადგენლად. აი ფაქტები მათის მოღვაწეობისა:

1289 და 1318 წლებს შუა 29 წლის განმავლობაში მოქმედებენ საქართველოს სასარგებლოდ სამცხე-კლარჯეთის მთავარი ბექა დიდი და ამისი ცოლი ვახახი. ამ ბედნიერ ცოლ-ქმართ ბატონობის დროს მტერმა არც თავის-თავს მისცა მოსვენება, არც ქართლ-კახეთის ერი მოასვენა. მშვიდობიანობა იყო მხოლოდ ამათ სამფლობელოში. აწიოკებულ-დაწიოკებულმა ხალხმა რამდენიმე წლის განმავლობაში ვერც მოხნა, ვერც მოთესა. ამისათვის ქართლში და კახეთში პური არსად მოიპოვებოდა, რა გინდ ფასი შეეძლიათ, ისე გაძლიერდა სიმშილი, რომ არა წმინდის ლეშს დაურიდებლად სჭამდნენ. აი ამ გვარს ულმობელს დროს ბექა და მისი ცოლი ვახახი მათ იწვევენ ქართლის ხალხს სამცხეში, აძლევენ პურს ზოგს ფა-

[1] იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 260.

სით, ზოგს უფასოდ; ვინც სრულიად ღარიბი და უსახლ-კა-როა, ასაზრდოებენ თავისვე სამფლობელოში. «ფრიადსა და უზომოსა მოწყალებასა აძლევდა მეუღლე ბექასი ვახახი, რომელიც იყო ყოვლითურთ შემკობილი, ამბობს ქართ. ცხოვრება [1]). «იგი იყო აგრეთვე ობოლთა და უღონოთა აღმზრდელი» [2]). აქ სიტყვა «აღმზრდელი» ნიშნავს იმასა, რომ სახელოვანნი ცოლ-ქმარნი ობლებსა და ღარიბებს საჭმლითაც ასაზრდოებდნენ და წერა-კითხვასაც ასწავლიდნენ. ამ განზრახვით იმათ მიიწვიეს სასახლეში საქართველოს ყოველს კუთხიდგან განსწავლულნი მღვდელნი, ბერნი და ეპისკოპოსნი და ასწავლიდნენ ერს ღვთის ჰსჯულსა და კანონს. ამ სასარგებლო მოქმედებას ვახახმა მაშინ უფრო მოუმატა, როცა მოუკვდა ქმარი. გაღარიბებული მტრისაგან მონასტრები იმან გაამდიდრა სასმელ-საკვებჲვითა, რასაკვირველია, ამას იქმოდა იმ განზრახვით, რომ დაეცვა სამშობლო ქვეყნის არსებობა, დიდება და სალოცავნი. ამავე დროს იმანა და მისმა ასულმა ნათელამ დაუწყეს აღზრდა ტახტის მემკვიდრეს გიორგი ბრწყინვალეს (მეხუთეს). იმას ისეთი აზრები და ფიქრები გაუხსნეს და ისეთი მიმართულება მისცეს, რომ შემდეგში, როცა მეფედ გახდა, შეაერთა მთელი საქართველო თავის სკიპტრის ქვეშ, განათავისუფლა მონგოლთაგან, და ამისთვის იწოდა «გიორგი ბრწყინვალედ.» აი რას ამბობს ამ მეფეზე ვახუშტი: «იყო ივერია დაფანტული, სამეფოდ, სამთავროდ და საერისთაოდ—დაყოფილი. ამან სიბრძნე-გონიერებითა და ძლიერებითა თვისითა კვალად შემოკრიბნა და დაიმორჩილა; ვითარცა აღმაშე-

---

[1]) იხ. იქვე გვ. 437

[2]) იხ. იქვე გვ. 413.

ნებელმან აღაშენა ქვეყანანი, სჯული და სამოქალაქო წესნი გააბრწყინა, ეკლესიანი დარღვეულნი და მოოხრებულნი აღაშენა და განაახლა; რანი, მოვაკანი და შირვანი მოხარკე ჰყო თვისად; სძლო ყოველთა, სადა ჯერ იყო, ბრძოლითა და ძლიერებითა, და სადა საჭირო იყო, სიბრძნე-გონიერებითა და მეცნიერებითა თვისითა დაამშვიდა» [1]). აი ამას გამოელოდნენ ბექა დიდი და მისი ცოლი ვახახი სამეფო ტახტის მემკვიდრის რიგიანად აღზრდისაგან: ეს ეწადათ, ესა ჰქონდათ გულში, როცა ისინი მეცადინეობდნენ ყაენთა წინაშე, რომ ჯერ მცირე-წლოვანი გიორგი საქართველოს ტახტის მემკვიდრედ ეცნოთ და ვიდრე ყრმა იყო ის, ბექა «მოძღვრად და საქმისა მოუჭრავად» დაეყენებინათ. ამათ არ უნდათ, რომ უცოდინარი, გამოუცდელი და უსწავლელი კაცი მეფედ გახდეს. ამისათვის ზრდიან იმას, როგორც რიგია, შთააგონებენ აზრს, რომ საქართველოს გაძლიერებისა და კეთილ-დღეობისათვის საჭიროა ერის გაერთება და თანხმობა. და აი როცა ეხსნება მას ჭკუა-გონება, ეფურჩქნება ფიზიკური ძალანი, მაშინ მას ემორჩილებიან ბექას შვილებიცა და გამოჰყავთ მოქმედების ასპარეზზე, როგორც მეფე საქართველოსი. ამ სახით, საქართველოს გაერთება ერთ მეფის გამგეობას ქვეშ ისევ დედა-კაცების მეცადინეობით მოხდა, და მათმა ლეჩაქმა, მათმა ოსტატობამ, მზრუნველობამ კიდევ აღადგინა სამშობლო ქვეყნის პოლიტიკური ერთობა და ძლიერება.

ამის შემდეგ სამშობლომ იწყო მოშენება, მოკეთება და აღყვავება. ის ჩადგა კეთილად აღორძინების კვალში. ამის მერმე ერთ-ხნობით მეფენიც კარგნი იყვნენ. მაგრამ აქ კიდევ

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 450.

მძლავრი მტერი შემოეჯახა საქართველოს და წინ გადაეღობა ცხოვრების გზაზე. მოვიდა ლენგათემური. შვიდჯერ აიარა და ჩაიარა საქართველო სიგრძეზე და სიგანეზე, და რადგან დაუძინებელი მტერი იყო ქრისტიანის ხალხებისა, საცა კი შემოჰხვდა რამე შენობა, დააქცია და ქვა-ქვაზე აღარ დასტოვა. ქვაბთა-ხევის მონასტერში შეხიზნული თავად-აზნაურთ ცოლენი და მონოზნები დაატყვევა და მოიწადინა მათი გამაჰმადიანება, მაგრამ ქალებმა უარი უთხრეს,—მამა-პაპურს ქრისტიანულს სარწმუნოებაზე ხელს არ ავიღებთო. ამაზე თემური დაემუქრა—ყველას დაგხოცავთო, მაგრამ ქართველთა დედათა სიმტკიცე ხასიათისა ვერ გასტეხა. განრისხდა ბარბაროსი: შეჰყარა ყველანი ერთად, შეაბა ეჟვნები ტანზე და სამასხაროდ გამოიყვანა ჯარში; ეგონა ამით გასტეხდა მათს სიმტკიცეს. ამ დროს ერთმა დედა-კაცმა სთქვა: „ვაი ჩვენ დედა-ბრობასა! ეს რა გვეჟღარუნებიანო." ამითაც რომ ვერას გახდა მტერი, მერმე შეუკრა ყველას ხელ-ფეხი, დააწყობინა ზედიზედ ეკლესიის შუა ადაგას, წაუკიდა ღვთის ტაძარს ცეცხლი და ქრისტეს მოსავნი ყველანი დასწვა [1]. მართალია, ქართველებმაც იმას მაგიერი გადაუხადეს: ერთ დღეს ბაგრატ მეფემ იმას 12 ათასი რჩეული ჯარის კაცი ამოუწყვიტა, მაგრამ მაინც ამ ღვთის-რისხვა კაცმა ისე გალეწა სამეფო, რომ ვერანად გაჰხადა; დაირღვა სამეფო წესი, მოისპო ერთობა, მთავრებმა დაიპყრეს ქვეყნები და მოიწადინეს თავ-თავისად ცხოვრება და მართვა ქვეყნისა. აი ახლა იყო კიდევ საჭირო ჭკუიანი და გამჭრიახი მეფე, რომ მოესპო მიზეზნი ერის განყოფისა და გაცალკევებისა. ამ აზრს მიჰხვდნენ დედაკაცები და

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 454.

შეუდგნენ მეფე გიორგის შვილის მცირე-წლოვანის ალექსანდრეს აღზრდას. ის აღზარდა «მრავალის ჭირნახულითა» ბებიამ, ქუცნა ამირეჯიბის მეუღლემ[1] და გაუხსნა სამეფოსთვის საჭირო ჭკუა-გონება, რისა გამო საქართველო ერთხელ კიდევ შეერთდა. ამავე დედა-კაცმა დაიწყო მოშენება მცხეთის ეკლესიისა, რომელიც თემურ-ლენგს დაექცია, მაგრამ ვერ დაასრულა— ავად გახდა და სიკვდილის დღეს მიანდო მისი დასრულება და შეკაზმა სამკაულითა მეფე ალექსანდრე პირველს. შესანიშნავია, რომ შემდეგშიაც ეს ეკლესია დედა-კაცებმა განაახლეს, როცა ის კიდევ მტერმა დააქცია. შესანიშნავია აგრეთვე, რომ სიონთა ღვთის-შობლის ეკლესიის აღშენება სულ პირველად დაიწყო მეფემ გურამმა, მერმე განაგრძო ერთმა ქვრივმა დედა-კაცმა და, როცა ესეც მოკვდა, შეასრულა მთელმა ერმა[2]) და მთავარმა ადარნასემ[3]). ასე ამ მხრით დედაკაცის მეოხებით ერის ცხოვრება დაადგა ისევ კეთილ აღორძინების გზას. ბებიასაგან აღზრდილი მეფე ალექსანდრე მხნე და ქვეყნის კეთილდღეობისთვის მზრუნველ კაცად გამოდგა. მან აღაშენა დაქცეული ეკლესიები, შეამკო სამკაულითა, «შეკრიბა მრავალნი წმინდანი და პატიოსანნი მონაზონნი და მოწესენი», განუახლა ეკლესიებს სიგელები, მოაშენა გაოხრებული სოფლები, ციხეები და ყოველნი ქრისტიანენი ფრიადსა მშვიდობასა და მყუდროებასა შინა ამყოფა»[4]) თავის ბებიის ქუცნა ამირეჯიბის

---

[1]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 473.

[2]) იხ. იქვე გვ. 164.

[3]) იხ. გეოგრ. ვახუშ. გვ. 188.

[4]) იხ. ქართ. ცხოვ. გვ. 473 და 474.

მეუღლის ჩაგონებით, აღზრდით და მის მიერ სამეფო საქმეებში გაწვრთნით და განსწავლით.

აი ასეთნი ჭკვიანნი, მცოდნენი, გამჭრიახნი და ქვეყნის მარგებელნი იყვნენ ქალები. მათ მიერ იყვნენ აღზრდილნი და გაწვრთნილნი საქვეყნო საქმეებში საქართველოს თითქმის ყველა უდიდესნი მეფენი. ისინი იღებდნენ მონაწილეობას პოლიტიკურს საქმეებში, ერის განათლებაში და იცავდნენ ხალხის ერთობას და მშვიდობიანობას. ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი ანდაზად: «დედა-კაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარის უმძლავრესიაო»; დედა-კაცს მაშინ ქმარი ჰყავს ამირანია, და როცა ქმარი მოუკვდება, ამირანთ ამირანიაო.» დიაღ! ჩვენში კაცს არა ჰქონდა იმდენი მნიშვნელობა ერის განათლებაში, რამოდენიც რომ ქალსა. ქალი იყო ოჯახში ზნეობის დამამყარებელი, ხალხის აღმზრდელი და კეთილ-დღეობის გზაზე დამყენებელი. ასეთ მნიშვნელობას აძლევენ იმას ოჯახში და კაცობრიობის საზოგადო ცხოვრებაში ყოველგან პედაგოგიის კარგად მცოდნე პირნიცა. პესტალოცის აზრით საზოგადოება ისე კეთილად ვერა ზრდის და ვერ სწრთვნის კეთილ-ცხოვრებისათვის ადამიანს, როგორც ოჯახში დედა-კაცი. ხალხს საზოგადო ზრდილობას და გაწვრთნილობას დედა-კაცი აძლევს ოჯახში. მაგრამ ეს აზრი ამის მოწაფემ ფრებელმა უფრო გარკვევით ახსნა და დაამტკიცა. მისი აზრით დედა და დედა-კაცი არიან ნამდვილნი ხალხის მწვრთნელნი და განმანათლებელნი; იმათ მოჰყავთ ხალხის ცხოვრება მოძრაობაში; იმათ ხელშია ყმაწვილობაში კაცის ბედი და უბედობა, და მისი მომავალი. სწორედ ასეთი იყო ქართველ ქალების ისტორიული მნიშვნელობა წარსულში, მისი მოქმედება, ვიდრე საქართველო სამ სამეფოდ გაიყოფებოდა. რანი იყვნენ დედა-კაცნი მეთხუთ-

მეტე საუკუნიდგან, რა მონაწილეობას იღებდნენ ქრის ისტორიულ ცხოვრებაში, ამას კიდე ამ ისტორიულის სურათების გაგრძელება გვეტყვის.

მღ. დიმ. ჯანაშვილი.

(შემდეგი იქნება).

# ციხე შიგნიდამ გატეხილი.

(შემდეგი *).

## თავი მეცხრე.

დონ-კანდიდო როდრიგეცი და დონ ხუან-მანუელ როზასი ერთმანერთს ჰგვანან.

იმ დილას, როდესაც ანგლიის რეზიდენტი მანდევილი სიმინდს უნაყავდა როზასს, ჩვენი ძველი მეგობარი დონ-კანდიდო როდრიგეცი თავის სახლის ეზოში დასეირნობდა ყავის-ფერი სერთუკით მორთული.

სახეზედ ეტყობოდა, რომ იმ ღამეს იმას არა სძინებოდა. დონ-კანდიდო დადიოდა და თავის-თავს ელაპარაკებოდა.

კარების დარახუნებაზედ შესდგა, მივიდა კარებთან და გაიხედა ჭუჭუტანიდამ, მაგრამ კაცის გულის მეტი ვერაფერი დაინახა, მერე მღელვარეს ხმით დაუძახა:

— ვინა ხარ?

— მე ვარ ჩემო საყვარელო მასწავლებელო.

— დანიელი?

---

*) «ივერია» №№ 7—8, 1882 წ.

— დიაღ, დანიელი, გამიღე კარები.

— გაგიღო?

— ხომ არ დაყრუებულხარ, გამიღე მეთქი გეუბნები.

— სწორედ დანიელი კი ხარ?

— გეუბნები დანიელი ვარ, გამიღე და ნახავ.

— გამიგონე: მაშ აბა შენი პირისახე ამ კარების ჭუჭუტანასთან მოიტანე, რომ ნამდვილად გავარჩიო.

დანიელს უნდოდა წიხლი ეკრა კარებისათვის და შეემტვრია. მაგრამ თავი შეიმაგრა და დაემორჩილა თავის მასწავლებლის განკარგულებას.

— ჰო, ეხლა კი გხედავ, რომ დანიელი ხარ! უთხრა დონ-კანდინომ და გაუღო კარები.

— დიაღ, მე გახლავარ ბატონო, რომელსაც ასე მტანჯავ.

— მოიცა, დანიელ, ადგილიდამ ნუ დაიძვრი! დაიყვირა დონ-კანდინომ და დაუჭირა დანიელს ხელები.

— რას მიედებ-მოედები, ბატონო დონ-კანდინო? რისთვის არ უნდა დავიძრა?

— მე მინდა, რომ ჯერ აქ, ნიკოლასის ოთახში შეხვიდე, მიუგო დონ-კანდინომ და უჩვენა კარები.

— ჯერ ეს მითხარ, ხომ არა მომხდარა-რა?

— არა, არაფერი, მაგრამ ჯერ ნიკოლასის ოთახში შედი.

— შენ იქ გინდა მელაპარაკო?

— დიაღ, სწორედ ეგ მინდა.

— თანახმა ვარ, მაგრამ იმ პირობით კი, რომ ლაპარაკი ორს-სამს წამზედ მეტს არ გაგრძელდეს.

დანიელი და კანდინო ნიკოლასის ოთახში შევიდნენ. დონ-კანდინომ დანიელს ხელი გაუშვირა და უთხრა:

— დანიელ, აბა მაჯა მინახე.

— მე გინახო მაგა?

— დიაღ, დიაღ.

— მერე რისთვის?

— ამითი შეიტყობ, რომ სიცხე გუშინდელს აქეთა მაქვს. რა გინდა დანიელ, ჩემგან, რას მიშვრები ამას?.. ეს რა კაცი შემოიყვანე ჩემს სახლში?...

— გეთაყვა ტყუილ-უბრალოდ ნუ ლაპარაკობ: განა არ იცი, რა კაციც არის?...

— მე მაშინ ვიცნობდი მაგას, როდესაც ისევ ბავშვი იყო და წუთი-სოფლისა არა გაეგებოდა-რა. მაგრამ ეხლა კი აღარ ვიცი რა აზრისაა, როგორც ცხოვრებას ატარებს, ან დანაშაული ხომ არა მიუძღვის-რა სახელმწიფოს წინაშე. თუ დამნაშავე არ არის, მაშ რად მოიყვანე ღამე და რად მეუბნები, რომ ამაზედ არავისთან არა წამოსცდეს-რა. როგორ ვიფიქრო, რომ ის მთავრობის ერთგულია, როდესაც მას არც ერთი ფე-დერაციის ნიშანი არა აქვს? არა, დანიელ, აქ რაღაც საიდუმლოება იმალება, მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულობა. რისთვის მირღვევ მყუდრო ცხოვრებას? ნუ თუ შენა გგონია...

— მე მგონია, ბატონო დონ-კანდიდო, რომ შენ ჭკუაზედ შემცდარხარ, და რადგანაც ტყუილ-უბრალოდ დროს დაკარგვა არ მინდა, არ შეიძლება შესწყვიტო ეს ლაპარაკი და დროით შემიყვანო ედუარდოსთან?

— რამდენს ხანს დარჩება ედუარდო ჩემს სახლში?

— ეგ ერთმა ღმერთმა იცის.

— მე ვერ მოვითმენ, რომ...

— ძლიერ კარგად მოითმენთ.

— დანიელ!

— ბატონო დონ-კანდიდო, ჩემო საყვარელო მასწავლებე-

ლო, არ შეიძლება რამდენიმე სიტყვით გამოვხატოთ თვითეულის ჩვენგანის მდგომარეობა.

— ბძანეთ.

— მაშ გამიგონე: რომ გადამერჩინე ყოველს განსაცდელს, მე გიშოვეთ არანასთან სეკრეტრობის ადგილი,— მართალია თუ არა?

— მართალი გახლავს.

— მერე, თუ დღეს არა—ხვალ მაინც ბატონს არანას, თავის სეკრეტრებით აჯანყებული ხალხი ჩამოაღრჩობს.

— ვაი-ვაი-ვაი-ვაი!... დაიკვნესა დონ-კანდინომ.

— დიაღ, ბატონო, ჩამოაღრჩობენ გაუმეორა დანიელმა.

— სეკრეტრებსაც?

— სეკრეტრებსაც.

— გაურჩევლად?

— გაურჩევლად.

— საშინელებაა!

— დიაღ, სეკრეტრებს თავეთის მინისტრით ჩამოჰკიდებენ.

— მაშ ასე გამოდის: თუ სეკრეტრობას დავანებე თავი— როზასის მომხრეები მომკლავენ და თუ ისევ სეკრეტრად დავრჩი, მაშინ ხალხი ჩამომაღრჩობს!...

— აი ეგრე ილაპარაკო! ეგ სწორედ აგრე იქნება.

— ეს შენის წყალობით ჩავარდი ორს წყალს შუა, დანიელ.

— ნუ გეშინიან, ხელსაც ვერავინ გახლებს, თუ მე გამიგონებ.

— მაშ რა უნდა ვქნა? მითხარი.

— აბა ახლა ესეც გაიგონე: ჩვენ ეხლა ხომ იმისთანა დროში ვართ, როდესაც ან როზასმა ლავალე უნდა დაამარცხოს და ან ლავალემ როზასი?

— ეგ მართალია.

— თუ როზასმა გაიმარჯვა, მაშინ არანა იქნება შენი მფარ-ველი და თუ ლავალემ გაიმარჯვა, მაშინ ედუარდო დაგიხსნის ყოველის განსაცდელისაგან.

— ედუარდო?

— დიაღ, ედუარდო; რაღა საჭიროა ტყუილ-უბრალოდ ყბე-დობა.

— მაშ...

— მაშ ისა, რომ ედუარდო შენს სახლში დარჩება, სინამ ჩემი ნება იქნება.

— მაინც...

— სხვა უჩემო კაცი პირდაპირ გეტყოდა: ბატონო დონ-კანდინო, მე დიდის კმაყოფილებით წავიკითხე ლავალეს ბძა-ნება ჯარების შესახებ, რომელიც თქვენ გადაგეწერათ და მო-მეცით დღეს საღამოზედ; მხოლოდ ნუ კი გეწყინებათ დონ-კანდინო, თუ ამ ქაღალდს როზას ჩაუგდებ ხელში თქვენის ქცევით მოთმინებიდამ გამოსული...

— კმარა, კმარა, დანიელ!

— განა რომ ეხლა კმარა. მაშ ხელი დაჰკარ.

— ღმერთო დიდებულო! მე არც ჰოს და არც არას თქმა არ შემიძლიან. მე პატარა როზასი ვარ. ჩვენი სტომაქები სა-შინლათ ჰგვანან ერთი-ერთმანერთს: შეჰყვირა დონ-კანდინომ, რომელიც აღელვებული დადიოდა ოთახში.

— რაო, რაო, — შენ ორგანიზმით როზასსა ჰგევხარ?..

— როგორც გაჭრილი ვაშლი, დანიელ.

— აი დასწყევლა ღმერთმა, აი ტყუპები სადა ყოფილან! თუ ღმერთი გწამს დონ-კანდინო, ამიხსენ რაში ჰგევხართ შენა დ

როზასი ერთმანერთს? თუ ეს მართალია, მე და ედუარდო ამ წამშივე დიდს ღვაწლს დავსდებთ ქვეყანას.

— მე არა ვსტყუი, დანიელ, მე და როზასი ისე ვგევართ ერთმანერთს, როგორც ტყუპები, სთქვა დონ-კანდიდომ, რომელიც დანიელის ხუმრობას ვერ მიხვდა.

— რაშია, რაში ეგ მსგავსება?

— იმაშია, დანიელ, რომ მეც სუყველასი მეშინიან.

— რათა გგონია, რომ ბატონს გუბერნატორს ეშინოდეს?

— მე ვიცი რათაც. გუშინ სასამართლოში შენთვის დოკუმენტების კოპიოებს ვსწერდი, როგორც ნათქვამი გაქვს. ამ დროს ბატონი მინისტრი რაღასაც ეჩურჩულებოდა ბატონს გარრიგორს და... და... როგორ გგონია, რას ეუბნებოდა ბატონი დონ-ფილიპე?

— მე ვერ გამოვიცნობ, ისევ სჯობიან შენ მითხრა.

— ის ეუბნებოდა, ვითომც ბატონს გუბერნატორს ორი ბოჩკა ოქრო გაეგზავნოს გემით და ვითომც თვითონ გუბერნატორიც დღეს თუ ხვალ, სამზღვარს-გარედ წასვლას აპირებდეს, ამისთვის რომ ეხლანდელის ცუდის მდგომარეობისა ეშინიანო.

— მართალია?

— ასე კი სთქვა ბატონმა მინისტრმა და.

— უყურე ერთი და!

— მეც სწორედ მაგასა ვგრძნობ; ის მდგომარეობა, რომელშიაც ეხლა მე ვიმყოფები, ძლიერ მაშინებს.

— შენცა?

— მეცა, მეგობარო, მეცა; აი სწორედ ამაში ვგევართ მე და როზასი ერთმანერთს.

— იქნება აგრე იყოს, უთხრა დანიელმა, რომელიც ისევ დონ-კანდინოს წინანდელს სიტყვებზედ ფიქრობდა.

— ეს ასე არ იქნებოდა, თუ მე და როზასს ერთ-გვარი აგებულება არა გვქონდეს.

— მაშ ოთხი ბიჭა ოქრო გაგზავნეს გემით, ჰა?

— ოთხი, დანიელ, ოთხი.

— და თვითონაც ეშინიან?

— ეშინიან, მეგობარო, ეშინიან: ასე სთქვა ბატონმა მინისტრმა.

— ამის შესახებ ბატონს არასას სხვა არაფერი ულაპარაკნია?

— როგორ არა, ილაპარაკა. «ჩემო მეგობარო, უთხრა იმან გარრიგორს, ჩვენს თავზედაც უნდა ვიფიქროთ. მართალია, ჩვენ არავისთვის ბოროტი არ გვიქნია, პირიქით, რაც კი შეგვეძლო, სიკეთესა ვშვრებოდით, მაგრამ მაინც ურიგო არ იქნება, რომ როცა ბატონი გუბერნატორი გაიქცეს, ჩვენც თან გავყვეთო.» სწორე გითხრა, დანიელ, მეც თვითონ ასე ვიზამ.

— გარრიგორმა რაღა უთხრა?

— ის უფრო სხვა ნაირად ფიქრობს.

— დარჩენა უნდა.

— არა, არც იმას უნდა დარჩენა; ის ამტკიცებდა, რომ ჩვენ გუბერნატორს არ უნდა მოუცადოთო, რა წამსაც საქმე გაჭირდეს, ჩვენ თვითონ გავიქცეთო. მერე ისე ჩუმად დაიწყეს ლაპარაკი, რომ ვერაფერი გავიგე.

— ურიგო არ იქნებოდა ყურები კარგად გამოგეწმინდა.

— ჩემზედ ჯავრობ, ჩემო საყვარელო დანიელ?

— არა, ბატონო, სულაც არა ვჯავრობ. რაკი ესლაცა და შემდეგშიაც მე შენ დაგიფარავ ყოველ განსაცდელისაგან, ამისათვის შენც ერთგულად უნდა მემსახურო.

— განა ერთგულად არ გემსახურებით, დანიელ?.., და განა ამ ერთგული სამსახურით ჩემს თავს განსაცდელში არ ვაგდებ?

— სრულიადაც არა; ეხლა კი წავიდეთ ედუარდოსთან, ბატონო დონ-კანდინო.

— წავიდეთ, წავიდეთ, ჩემო საყვარელო დანიელ, — ედუარდო ჩემს კაბინეთშია.

მეგობრებმა ერთმანეთი ნახეს. ედუარდოს მოსწყენოდა შინ ჯდომა და უნდოდა წასულიყო თავის მვიროვას ამალიასთან, მაგრამ დანიელმა რის ვაგი-ვაგლახით დაარწმუნა, რომ არ წასულიყო. ამ ლაპარაკის დროს, ერთგულმა ფერმინმა, რომელიც დანიელმა ამალიასთან დასტოვა, მოუტანა ამალიას წერილი, რომელშიაც სწერდა დანიელს დროით მიშველებოდა მას, რადგანაც ერთის საათის უკან პოლიცია იმის სახლის გაჩხრეკას აპირებდა...

## თავი მეათე.

### პოლიცია ამალიას სახლში.

დანიელი მაშინვე თავის სახლში წავიდა, მოახტა თავის ქურანს ცხენს და გაექანა ამალიასკენ.

ამალიამ ყველაფერი მიალაგ-მოალაგა და დაიწყო ზალაში სიარული. უეცრად იმის სახლის წინ ცხენები შედგნენ. ეს ხუთი თუ ექვსი წამის შემდეგ მოხდა, როდესაც ამალიამ ფერმინი გაგზავნა დანიელთან.

მარტოდ-მარტო, თავის-თავის ამარად, დარჩენილმა ამა-

ლიამ ჟულიენ-ტექმაზურმა გული, ისე გულმოდგინედ და მეხსიერებში მოსწყვიდა ისე, რომ გულმოწყალეობით მიუჩვევინა კრესლოში, მაგრამ ყოველსავე ღონისძიებს ხმარობდა, რომ შიში არ შეეტყობოდა.

პედრომ შემოიყვანა ზალაში დონ-ბერნარდო ვიქტორიკა, პოლიციის კომისარი და ნიკოლოზ მერინო.

ვიქტორიკამ თავი დაუკრა ამალიას და უთხრა:

— ქალ-ბატონო, მე პოლიციის უფროსი გახლავართ და ვალად მაქვს გავჩხრიკო ეს სახლი: ასეთია გუბერნატორის ბრძანება.

— ეს ბატონებიც ჩემი სახლის გასაჩხრეკად მოსულან? ჰკითხა ამალიამ მერინოზედ და პოლიციის კომისარზედ.

— ეს ბატონი მაგ განზრახვით არ მოსულა; ეს კი პოლიციის კომისარია.

— შეიძლება შევიტყო, რას ანუ ვის ბრძანდებით მოსძებნოთ ამ სახლში?

— მაგას ერთი წამის შემდეგ გეტყვით, მიუგო ვიქტორიკამ.

ამალიამ დარეკა ზარი და უთხრა ლუიზას, რომელიც იმავწამს მოვიდა.

— გაუძეხი ამ ბატონს და გაუღე ყველა ოთახების კარები, რომლებიც კი მოინდომოს.

ვიქტორიკამ ამალიას თავი დაუკრა და გაჰყვა ლუიზას ოთახების გასაშინჯად.

ვიქტორიკამ და კომისარმა დაიარეს ყველა ოთახები, მაგრამ საეჭვო ვერაფერი-რა ნახეს; ეს კი შენიშნეს, რომ გამშვენიერებულის ოთახების მოწყობილობაც ამტკიცებდა ამალიას ფედერაციის ერთგულებას.

— შეიძლება დავუჯეროთ მარინოს, რომ აქ დამალული არაფერია, ფიქრობდა ვიქტორია,—მაგრამ ეს კია, რომ ამ სახლში უნიტარებს დამშლელი არავინ ჰყავთ.

ვიქტორია ამალიას მოსართავს ოთახში შევიდა, რომლის მორთულობამაც ძლიერ გააკვირვა.

— შენ, კი, ქალო, აბა ეს შკაფები გააღე, უთხრა მან ლუიზას.

— თქვენ რა ხელი გაქვსთ ტანისამოსის შკაფებთან, ბატონებო? უთხრა ლუიზამ და დააშტერდა ვიქტორიას თავის ლამაზის თვალებით.

— ბევრს ნუ ლაპარაკობ!.., რასაც გიბძანებ გააკეთე.

— ხედავთ, რა ცნობის-მოყვარულნი ყოფილხართ! ჰა, ნახეთ, უთხრა ლუიზამ და გაუღო შკაფის კარები.

— კარგი, მიხურე.

— აბა ახლა ეს კარები გააღე.

— ეს?

— დიახ, ეს.

— ეგ ჩემი ოთახის კარებია.

— იყოს, გააღე.

— იქ არავინ არის.

— შენ გეუბნებიან, გააღე მეთქი!

— არა, ბატონო; უკაცრავად, მე ვერ გავაღებთ; თუ გნებავთ, თქვენ თვითონ გააღეთ.

ვიქტორია მრისხანის თვალებით დააშტერდა ამ ათის წლის გოგონას, რომელიც ასე მკვახე-მკვახედ ელაპარაკებოდა, და მერე თვითონ გააღო კარები და შევიდა ლუიზას ოთახში.

— შენც შემოდი, ქალო, უთხრა მან ლუიზას, რომელიც ამალიას მოსართავს ოთახში დარჩა.

— შემოვალ, თუ ამ ბატონსაც უბძანებთ რომ შემოვიდეს, მიუგო ლუიზამ და უჩვენა კამმისარზედ, რომელიც ოთახის მორთულობას შინჯავდა.

კამმისარმა მრისხანედ შეხედა ლუიზას, მერე თავი დაანება ოთახის შინჯვას და შეჰყვა ვიქტორიკას.

— გეთაყვა ლოგინს ნუ მიწეწავთ, უთხრა ლუიზამ ვიქტორიკას, რომელმაც ლუიზას ნაალი ააბრუნა.

— ეს კარები სადღა გადის?

— ეზოში.

— აბა გააღე.

— გამოსწიეთ და თვითონ გაიღება.

ვიქტორიკამ უბძანა კამმისარს დაეთვალიერებინა ეზო, თვითონ კი ლუიზასთან წავიდა იმ ფლიგელისაკენ, სადაც წინად ედუარდო იწვა.

— ეს ოთახი ვიღას უჭირავს?

— ბატონს დონ-დანიელს, როდესაც ღამე აქ რჩება, მიუგო ლუიზამ.

— კვირაში რამდენჯერა რჩება აქა?

— ქალ-ბატონმა მიბძანა ოთახი გიჩვენოთ და არა გიამბოთ, რაცა ხდება აქა.

ვიქტორიკამ ენაზედ იკბინა, მაგრამ ვერა გაწყო-რა. მერე დაიარა სხვა ოთახებიც, მაგრამ ვერსად ვერაფერი იპოვნა.

ამ ოთახების გაჩხრეკის დროს, ზალაში სრულიად სხვა ამბავი ხდებოდა.

როგორც კი ვიქტორიკა და კამმისარი წავიდნენ ოთახების გასაშინჯად, ამალიამ უთხრა მარინოს: შეგიძლიანთ დაჯდეთ, თუ ვიქტორიკას ელით.

ამ დროს ამალია გაწითლებული იყო, მარინო კი გაუგით-

ღუპული, რადგანაც ამალიას მშვენიერება მას ჭკუიდამ შლიდა და ვერაფერი კი ვერ გაბედნა ამ დროს ამ ამპარტავანის ქალისათვის.

— ჩემი განზრახვა, უთხრა მარინომ და დაჯდა, ამალიაზედ მოშორებით, — ჩემი განზრახვა ის არის, რომ დაგეხმაროთ ამ გაჭირვების დროს.

— გმადლობ, მიუგო ცივად ამალიამ.

— ჩემი წერილი ხომ მოგართვათ დღეს დილას?

— მე რაღაც ქაღალდი მივიღე, ვიღაც ნიკოლოზ მარინოსაგან ხელ-მოწერილი, რომელიც იქნება თქვენც იცნობთ.

— დიაღ, მე გახლავართ, უთხრა მარინომ, ჩემ წერილში, ანუ როგორც თქვენა ბძანებთ, იმ ქაღალდში მე თქვენ გატყობინებდით ამ განსაცდელს.

— არ შეიძლება შევიტყო, რისთვისა სწუხდებოდით ჩემთვის?

— მე მსურდა მიგეღოთ ყოველგვარი ზომები ამ განსაცდელის თავიდამ ასაცილებლად.

— მაგითი ჩემს შესახებ ერთგულობას აჩვენებ, მაგრამ თქვენ პოლიტიკურ მეგობრებს კი ორგულად ექცევით, ამისთვის რომ მაგ ნაირი თქვენი ქცევა ღალატობაა.

— ღალატობა!

— დიახ, მე ასრე ვფიქრობ.

— ეგ მეტის-მეტია, ქალ-ბატონო!

— მაგისთანა ქცევას სხვა სახელი არა აქვს.

— მე ვცდილობ ჩემს ნაცნობებს სიკეთე ვუყო. ამასთანავე ვიცოდი, რომ გუშინის შემდეგ, საეჭვო კაცი ამ სახლში აღარ დადგებოდა. დონია მარია-ხოსეფა ესკურიას მაინც სდევნიდა ამ სახლს ისე, როგორც მე ვცდილობ დაიცვას. დღეს

დილით მარია-ხოზეფამ შეატყობინა გუბერნატორს, რომ ამ სახლში იმალება სამართლისაგან დევნილი კაცი, რისა გამოც გუბერნატორმაც უბძანა ვიქტორიკას გაჩხრიკა ეს სახლი. მე ეს გავიგე და თან გამოვყევ ვიქტორიკას, რომ დავხმარებოდი ამ შემთხვევაში, აი ჩემი საქციელი ამ საქმეში, და თუ ჩემს მეგობრებს ვღალატობ, ამის გასამართლებელი მიზეზებიც მაქვს. ეს მიზეზები პატივსაცემნი არიან. რაღა გითხრათ იმაზედ, რომ მას აქეთ, რაც თქვენ გნახეთ, ჩემი გული მე აღარ მეკუთვნის! მას აქეთია ვცდილობ დავუახლოვდე ამ სახლს და ჩემი შეძლება, გავლენა...

— თქვენი შეუსაბამო ლაპარაკი მაიძულებს მე მოგშორდეთ, რადგანაც თქვენი აქ ყოფნა ჩემთვის სასიამოვნო არ არის, უთხრა ამალიამ და გავიდა თავის საწოლს ოთახში, სადაც იგი დაჯდა დივანზედ გაბრწყინებული თავის დიდებულის სიტურფით.

— მაშ დამაცადე, მე ამაყო უნიტარების სიტურფის ღმერთავ! დაიღრიალა მარინომ და სიბრაზისაგან გაყვითლდა.

ამალია იქამდის იჯდა მარტო, სინამ ვიქტორიკა და ლუიზა არ დაბრუნდნენ უკან.

— ქალ-ბატონო, უთხრა ვიქტორიკამ, მე აგასრულე პირველი ნაწილი ჩემის მონდობილობისა და თქვენს საბედნიეროდ შემიძლიან მოვახსენო გუბერნატორს, რომ ამ სახლში ვერ ვიპოვე ის კაცი, რომლისთვისაც გავჩხრიკეთ ეს სახლი.

— შეიძლება შევიტყო, ბატონო პოლიციის უფროსო, რა კაცია ის კაცი? და ან რა მიზეზით გაჩხრიკეთ ჩემი სახლი.

— არ შეიძლება, ქალ-ბატონო, ეს თქვენი მოახლე აქედამ დაითხოვოთ?

ამალიამ ანიშნა ლუიზას, და ისიც წავიდა.

— მე მინდა თქვენ ცოტაოდენი რამ გკითხოთ.

— თქვენი ნებაა, ბატონო, ბძანეთ.

— თქვენ იცნობთ დონ-ედუარდო ბელგრანოს?

— დიახ, ვიცნობ.

— როდის აქეთ?

— ეს ორი თუ სამი კვირაა, რაც გავიცანი, მიუგო ამალიამ და ყურებამდის გაწითლდა, რაკი სიცრუე უნდა ეთქვა.

— არა, უფრო წინადაც უნახავთ ის თქვენს სახლში.

— მე სწორე პასუხი მოგახსენეთ.

— შეგიძლიანთ დაამტკიცოთ, რომ დონ-ედუარდო ბელგრანო მაისიდამ დაწყებული აქამდის თქვენს სახლში არ იმალებოდა?

— მე საჭიროდ არა ვრაცხავ მაგის დამტკიცებას.

— მაშასადამე, მართალია.

— არც ეგ მითქვამს.

— მაშ რისთვის არ გინდათ დაამტკიცოთ, რომ ის აქ არა ყოფილა?

— ამისთვის რომ ეგ თქვენი ვალია, ბატონო.

— არ იცით ეხლა ის სად არის?

— ვინა?

— ბელგრანო.

— არა, ბატონო, არ ვიცი, და თუ გინდ ვიდეც მცოდნოდა, არ გეტყოდით, მიუგო ამალიამ წყნარად და მართებულად.

— თქვენ იცით, რომ მე გუბერნატორის სასტიკს ბძანებას ვასრულებ? უთხრა ვიქტორიკამ და შეინახა რომ რბილად ეპყრობოდა ამალიას.

— ეგ აგი წეღან შემატყობინეთ.

— მაშ თუ შეიტყეთ, რიგიანი პასუხი უნდა მომცეთ ბატონო.

— კარგად ვიცი, ბატონო, როგორის მართებლობით უნდა მოვექცე სხვას და ისიც ვიცი სხვაც როგორ უნდა მომექცეს. თუ ბატონი გუბერნატორი ანუ ბატონი ვიქტორიკა ჯამუშებში საჭიროებენ, ტყუილ-უბრალოდ თავს ნუ შეიწუხებენ.— იმათ ამ სახლში ვერ იპოვიან.

— თქვენ სხვას კი არა, თქვენს თავს აბეზღებთ.

— ეგ როგორ?

— თქვენ გავიწყდებათ, რომ პოლიციის უფროსს ელაპარაკებით და ამ ლაპარაკში უნიტარების თანაგრძნობას იჩენთ.

— ეგ ცოდვა არ არის, ბატონო, იმ ქვეყანაში, სადაც უნიტარები ათასობით სცხოვრობენ.

— სამშობლოს და თავის-თავის დასადუპველად, უთხრა ვიქტორიკამ და შეიშმუხვნა წარბები,— მოვა დრო, როდესაც მათი რიცხვი შემცირდება.

— თუ გაბევრდება?

— ქალ-ბატონო!

— რა გნებავთ, ბატონო.

— თქვენ თქვენის სქესისამებრ არ იქცევით.

— არც თქვენ იქცევით, როგორც შეჰფერებათ.

— თქვენ თქვენის სიტყვებისა არ გეშინიათ ქალ-ბატონო?

— არა, ბატონო. ბუენოს-აირესში მხოლოდ კაცებს ეშინიათ, თორემ ჩვენ, ქალებს, არ გვეშინიან და შევიძლებთ ჩვენის ღირსების დაცვას, რომლისაგანაც კაცებს ხელი აუღიათ...

— ამ ქალებთან ლაპარაკი სათაბალოა! იფიქრა ვიქტორიკამ. —ეხლა კი გავათავოთ, უთხრა მან ამალიას,— აბა ამ საწერი სტოლის უჯრას გამოსწიე.

— ეგ რისთვის, ბატონო?

— მე უკანასკნელი ჩემი მოვალეობა უნდა ავასრულო.

— რა მოვალეობა?

— თქვენი ქაღალდების გაშინჯვის შესახებ.

— ეგ მეტის-მეტია, ბატონო, თქვენ აქ კაცის საძებრად მოხველით; როგორც ხედავთ ის აქ არ არის და მე სხვას არას-ფერს გაგაშინჯებთ ამ სახლში.

ვიქტორიკამ გაიღიმა და უთხრა:

— გააღეთ, ქალ-ბატონო, თუ შეიძლება.

— არა, არ შეიძლება.

— მაშ არ გინდათ გააღოთ?

— არა.

ვიქტორიკა მივიდა საწერ სტოლთან, რომელშიაც ქაღალ-დები იყო გაკეთებული, მაგრამ ამ დროს მარინო, რომელსაც ეს ლაპარაკი ეყურებოდა, გაექანა და შეჰკრდა იმათთან, რომ ქვემ ეხლა მაინც მიეზიდა ამალიას გული.

— ჩემო მეგობარო, უთხრა იმან ვიქტორიკას, მე დარწმუ-ნებული ვარ, რომ ქალ-ბატონის ქაღალდებში ისეთი არა იქ-ნება-რა, რომელიც სავნებელი იყოს ჩვენის წმინდა საქმისა-თვის.

ვიქტორიკამ მაშინვე თავი დაანება უჯრას და მარინოსაც ეგონა, რომ ეს-ეს იყო მოინადირა ამალიას გული; მაგრამ მალის მივარდა სტოლთან, გამოიღო ოთხივე უჯრები, რომ-ლებშიაც წერილები, ფულები და სამკაულები ეწყო და უთხრა ვიქტორიკას:

— აი ამ სტოლში რებიბა დამალული, გაშინჯეთ. მარინომ ტუჩზე იკბინა.

ვიქტორიკამ გადაათვალიერა უჯრები, მაგრამ ხელი ვერაფერისთვის უხლია, მერე უთხრა ამალიას:

— მე გავათავე ქალ-ბატონო.

ამალიამ თავი დაუქნია და ჩამოჯდა დივანზედ აღელვებული.

ვიქტორიკამ და მარინომ დაუკრეს თავი და გავიდნენ გარეთ, სადაც კომმისარი ელოდათ.

იმ დროს, როდესაც ყველანი ცხენებზედ სხდებოდნენ, დანიელი მოვიდა და გადმოხტა ცხენიდამ. ვიქტორიკას და მარინოს ზრდილობიანად დაუკრა თავი და წავიდა ამალიასკენ, თანაც ფიქრობდა:

— ეს ქვრივია... მე დავიგვიანე, ეს... ცუდი ნიშანია.

მარინომ უთხრა ვიქტორიკას დანიელზედ.

— ამას ყველაფერი ეცოდინება, ეს ნამდვილი უნიტარია, თუმცა გარეგანის მორთულობით კი ფედერაციის ერთგულებას ამტკიცებს.

— მეც აგრე მგონია, მსედველობაში უნდა ვიქონიოთ,

— და ხანჯალიც არ დავიშუროთ, — დაუმატა მარინომ, — და მოსამსახურენი წავიდნენ ქალაქისკენ.

## თავი მეთერთმეტე

### ყველანი ეჭვ-ქვეშ არიან.

ერთი საათის შემდეგ დანიელი ისევ მოახტა თავის ქურანს ცხენს და გაქანა ქალაქისკენ. მაგრამ ისე ამპარტავნად აღარ მიდიოდა, როგორც ამაყად მოვიდა ამალიას სახლში.

ის ახლა თავ-ჩაღუნული და დაღონებული მიდიოდა. იგი სულ იმაზედ ფიქრობდა, თუ როგორ დაეხსნა ამ მდგომარეობიდამ თავის გულის საყვარლები, რომელთა ბედიც იმაზედ იყო დამოკიდებული.

თუმცა ასე იყო, მაგრამ, როცა ამალიას ელაპარაკებოდა, ცდილობდა მოწყენილის სახით არა ეჩვენებოდა. დანიელი ამშვიდებდა ამალიას ედუარდოს შესახებ. ბოლოს, იმდენი ელაპარაკა, რომ ამალია გააცინა.

ამ ფიქრებში იყო დანიელი შთანთქმული, როდესაც ქალბატონ დი-უპასკეს სახლთან მივიდა, რომ თავის ფლორენსიასთან დამტკბარიყო სიყვარულით და ბედნიერებით.

როდესაც ზალაში შევიდა, დანიელმა ფლორენსიას დედა გულ-წასული დაინახა, ფლორენსიას კი მარცხენა ხელით დედის თავი ეჭირა და მარჯვენათი ოდეკოლონს უსვამდა საფეთქელზედ.

— ახ, დანიელ, მოდი, მოდი დროით! დაუძახა დანიელს შეშინებულმა ფლორენსიამ.

— რა მოხდა, რა, მითხარ დროით! უთხრა დანიელმა და მიუახლოვდა მათ.

— ჩუმად ილაპარაკე: დედას გული წაუვიდა.

დანიელმა დაიჩოქა ფლორენსიას დედის წინ და დაუჭირა გაცივებული ხელი.

— ეს არაფერია, მობრუნდება, უთხრა დანიელმა, როდესაც მაჯა გაუსინჯა.

— ჰო, აი სუნთქვაც დაიწყო. შედი საწოლ ოთახში და ხელსახოცი, მანტია ან სხვა რამ გამოიტანე.

ყმაწვილმა კაცმა შეასრულა თხოვნა, ფეხათით მოახვია მანტია თავის მომავალს სიდედრს, რის შემდეგაც ფლორენ-

სამ და დანიელმა აქეთ-იქიდამ დაუჩოქეს და შესცქეროდნენ თვალებში. ბოლოს დანიელმა ჰკითხა ფლორენსიას:

— რა იყო, რა მოხდა? ამას გული მაშინ მისდის, როდესაც დიდ უსიამოვნებას გამოსცდის ხოლმე.

— დიაღ, და გამოსცადა კიდეც ეგ უსიამოვნება.

— როდის? დღეს?

— აი ეს არის ეხლა. გზაზე ვიქტორიკა არ შეგხვედრია?

— არა,

— ის ეს-ეს არის აქედამ გავიდა.

— ამ სახლიდამ?

— დიაღ, ის აქ კამმისარით და ორის სალდათით იყო, სახლის გასაშინჯად.

— ვის დაეძებდა აქა?

— არ უთქვამს კი, მაგრამ, ვგონებ, ედუარდოს, ამისთვის რომ იმის შესახებ ჰკითხავდა დედა-ჩემს.

— მერე?

— დედამ უარი განაცხადა პასუხის მიცემაზედ.

— ძლიერ კარგი უქნია.

— არც ოთახების კარებები გაუღო, რისა გამოც ვიქტორიკამ კარების გატეხა უბძანა.

— რისთვის არ გაუღეთ მერე კარები?

— დედამ პირველადვე გამოუცხადა ვიქტორიკას, რომ არც ერთს ოთახს ჩემის ნებით არ გაჩვენებო, თუ გნებავთ თქვენ თვითონა ნახევით თქვენის ძალითაო. დედა თავისებურად გულადად მოიქცა. მაგრამ როდესაც მარტო დარჩა, ბევრი ილაპარაკა ჩვენს ბედზედ და იმაზედ, რომ ამ ქვეყნიდამ უნდა წავიდეთო. მე ვიყავ მოწამე ყველა იმის ტანჯვისა და ჩემს ხელში წაუვიდა მას გული. მაგრამ უყურე... ვგონებ ბრუნდება...

დიახ, დიახ,—და ფლორენსია მოეხვია თავის დედას და დაუკოცნა თვალები.

ქალ-ბატონი დიუპასკე მობრუნდა.

ქალ-ბატონი დიუპასკე ერთი ჩაუქცეველი დედა-კაცთაგანი იყო ბუენოს-აირესის ქალებში. ეს იმ ქალთაგანი იყო, რომელსაც დიქტატორის მტარვალობა უფრო ძლიერ აწუხებდა, სინამ კაცებს, და რომელიც კაცებზედ უფრო გულადად წინ უდგებოდა როზასის უსამართლობას.

— დანიელ! უთხრა ქალ-ბატონმა დიუპასკემ,—ჩვენ აქედამ უნდა წავიდეთ, ამ უბედურის ქვეყნიდამ; შენა და ედუარდო, თუ შეიძლება, ჩქარვე წადით, მე და ფლორენსიაც მალე გამოგყვებით უკან.

— კარგი, კარგი, ქალ-ბატონო. ეხლა მაგაზედ ლაპარაკის დრო არ არის. შენ ჯერ დამშვიდება გეჭირვება.

— განა შემიძლიან აქ დამშვიდებული ვიყო? ნუ თუ თქვენა გგონიათ, რომ ყოველთვის თქვენს ბედზედ არა ვფიქრობ? ამასთანავე, რაკი ერთხელ ეჭვი შემოიტანეს, აღარ მოგვასვენებენ და ისიც, ვინც ამას იქით ჩვენთან ივლის, ეჭვს ქვეშ ჩავარდება.

— ერთი კვირის უკან იქნება გამოვიდეთ ამ მდგომარეობიდამ.

— არა, დანიელ, იმედი ნუ გაქვს. ღმერთმა დიდი ხანია ჩვენს ქვეყანას თვალი მოაშორა და ჩვენ უბედურების მეტს არას უნდა მოველოდეთ. მე ისიც არ მინდა, რომ ამას იქით ამალიამ კიდევ იაროს ჩვენთან.

— ამალიამაც, ამ დღე გამოიარა, რაც თქვენ.

— ამასაც ეწვივნენ?

— დიახ, ამ ორი საათის წინად.

— ეს სულ დონია მარია-ხოზეფას ბრალია, ჯელდ!

ფლორენსიას დედა შეიჭმუხნა ამ დედაკაცის ხსენებაზედ.

მერე დანიელმა დაწვრილებით უამბო, რაც მომხდარიყო ამალიას სახლში.

— მაგრამ მაინც საშიშარი არაფერია, განაგრძო დანიელმა: ედუარდოს ვერავინ იპოვნის. ეხლა ვეცდები დავარწმუნო ვიქტორიკა მარია-ხოზეფას უსაფუძვლო შეშინებაში. თუ ეს მოვახერხე, პოლიცია ისე აღარ გამოგვკიდებს, როგორც ეხლა: მაშასადამე თქვენც და ამალიაც დამშვიდებული იქნებით. ხოლო რაც მე შემეხება, სრულიად არაფრისა არ მეშინიან, დაუმატა დანიელმა, რომ მით თავის დანიშნული და ამის დედა დაემშვიდებინა, თუმცა ეს გულის სიმშვიდე თვითონ მასაც აკლდებოდა.

— დედაჩემს, სთქვა ფლორენსიამ, — რადგანაც ჩვენ და ამალიას ერთს ტაფაში ვიწვით, კარგი იქნება იმას სადილად ჩვენთან დავუძახოთ; დანიელიც აქ დარჩება და დღეს კარგ დროს გავატარებთ.

— დიაღ, დიაღ, უთხრა დანიელმა, — მე გულით მინდა, რომ სუყველანი ერთად ვიყვნეთ და არას დროს აღარ გავშორდეთ.

— კარგი, მაშ მოიწვიე ამალია, უთხრა დედამ ფლორენსიას.

ფლორენსია მაშინვე გაქრიალდა მეორე ოთახში, დასწერა წერილი და უბძანა ეკიპაჟი შეებათ, რომლითაც ამალია უნდა მოსულიყო.

ფლორენსია დაბრუნდა თუ არა უკან, ზალის კარების კაკუნი მოისმა.

ყველანი გაჩუმდნენ.

დანიელმა გააღო კარები და სთქვა:

— ფერმინია, რა გინდა? ჰკითხა მსახურს და ზალაში კი არ შემოუშვა, რომ ქალებს იმათი ლაპარაკი არ გაეგონათ, თუ უსიამოვნო ამბავი იქნებოდა.

— ბატონი დონ-კანდინო გკითხულობთ, მიუგო ფერმინმა.

— სად არის?

— აქ არის.

დანიელი ერთი წამის შემდეგ თავის მასწავლებელს ელაპარაკებოდა.

— ედუარდოს ხომ არაფერი შეემთხვა? ჰკითხა დანიელმა დონ-კანდინოს.

— არა, არაფერი.

დანიელმა თავისუფლად ამოისუნთქა.

— იმას კი არაფერი შეემთხვა, განაგრძო დონ-კანდინომ, — ის თავისთვის კარგად არის, მაგრამ შენი საქმე კი ვერ არის კარგად.

— ჩემი?

— დიაღ, შენი, თავ-ხედო ყმაწვილო კაცო...

— რაშია საქმე?

— გამიგონე.

— თუ ღმერთი გწამს, დროითა.

— ჩუმად, ჩუმად, დანიელ. ვიქტორიკა მარინოს ელაპარაკებოდა.

— მერე?

— მარინო ბელაუსტეგს.

— მერე, მერე?

— ბელაუსტეგი არანას.

— მერე, სთქვი რაღა.

— მე გავიგონე ბელაუსტეგზე და არანა რუსაც ლაპარაკობდნენ.

— მერე მაგით რა გინდა სთქვა?

— ისა რომ გიქტორიკუსს უთქვამს მარინოსთვის, რომ იმან, გიქტორიკამ, უბძანა პოლიციის კამმისარს, რომ ამ დღიდგან შენ თვალ-ყური გადევნონ, ამისათვის რომ შენს ქცევაში ეჭვი შე-მოუტანიათ.

— დახე რა ყოფილა! სხვა კიდევ რა?

— კიდევ რაღა? განა ეს განსაცდელი არ გეყოფა? შენ ხომ ამას იქით განსაცდელში იმყოფები, და მაშასადამე მეც, რადგა-ნაც მე და შენი მეგობრობა ყველამ იცის, ნუ თუ შენ გინდა...

— მე მინდა რომ შენ ერთს წამს მომიცადო; დანარჩენს ამ ეკიპაჟში ვილაპარაკებთ, რომელიც ჩვენს კარებთან დადგა და რომელიც ჩემს სახლში წაგვიყვანს.

— მე შენს სახლში წამოვიდე?

— ერთს წამს მომიცადე, უთხრა დანიელმა დონ-კანდიო-ნოს.

— ჩემს ცხენზე შეჯექი, ფერმინ, და წადი სახლში.

— იქ რა ამბავია? ჰკითხეს დედამ და ქალმა, რომელსაც და-ნიელი ზალაში შებრუნდა.

— ბევრი არაფერი, ედუარდოს ამბავი მომიტანე. საწყალი თურმე სწუხს მარტოობას და განუზრახავს ამალიასთან წას-ვლა. ეხლა მე მინდა შინ წავიდე და იქიდამ წიგნი მივწერო, რომ არამცა და არამც შინიდამ ფეხი არ გამოდგას.

— შენ თვითონ ნუ კი წახვალ იქამ, უთხრა ფლორენსიას დედამ.

— პირობას მაძლევ მაგაში დანიელ? ეხვეწებოდა ფლო-რენსია თავის საქმროს.

— გაძლევთ, უთხრა დანიელმა ფლორენსას და ხელ-ზედ-ხელი მოუჭირა.

— მაშ მიდიხარ?

— დიახ, და ამ შემთხვევაში იმ ეკიპაჟით ვისარგებლებ, რომელსაც ამაღამ უგზავნით; რადგანაც ჩემი ცხენი მოიწყენს გზავნა.

— როდის დაბრუნდები?

— სამს საათზედ.

— კარგი, — სამ საათზედ გელით, უთხრა ფლორენსამ და მოუჭირა ხელზე ხელი.

დანიელი გამოეთხოვა და გავიდა ზალიდამ ვითომ დამშვიდებული, მაგრამ ნამდვილად დამშვიდებული კი არ იყო.

— იცი რას გეტყვი, დანიელ? უთხრა დონ-კანდიდომ ზა-ლის ტალანში.

— მერე, მერე. ჯერ ეკიპაჟში ჩავსხდეთ.

დანიელი ისე სწრაფად გავიდა გარეთ, რომ გასვლისას ვიღაც კაცს დაეჯახა და კინაღამ არ წააქცია.

— უკაცრავად, ბატონო, უთხრა დანიელმა უცნობ კაცს. მე-რე გააღო ეკიპაჟის კარები და უთხრა:

— ჩემი სახლისაკენ!

— აჰ, ჰო, ჰო, — ხმა მეცნობა! — სთქვა უცნობმა კაცმა და დააშტერდა დანიელს.

— მოწყალეო ხელმწიფევ, ნება მიბოძეთ ერთი სიტყვა მო-გახსენოთ, უთხრა უცნობმა კაცმა დანიელს.

— თუნდ ოცი ბრძანეთ, ბატონო, უთხრა დანიელმა, რო-მელსაც ჯერ არ ეცნო ეს უცნობი კაცი, მაგრამ დონ-კანდი-დომ კი მაშინვე იცნო და გაოცებული მისჩერებოდა ეკიპაჟის კუთხეში.

— თქვენ მე მიცნობთ?

— დიაღ, დიაღ; ვგონებ თქვენ დაგეჯასვით მღვდელო გაეტე! უკაცრავად ბატონო, უკაცრავად

— მე კი მგონია, რომ თქვენი ხმა სხვა არის. იმ დროს აქეთია მახსოვს... ეგეც, ბატონო, ეკიპაჟში რომ ზის, ვგონებ ის არის.. როგორა ბრძანდებით, ბატონო?

დონ-კანდინომ სამჯერ თუ ოთხჯერ დაუქნია თავი. მაგრამ მაინც დამალვას ცდილობდა

— სწორედ ის არის, — განაგრძო მღვდელმა.

— რა გნებავთ ბატონო, გაეტე?

— მე ძლიერ მინდა შენი ხმის გაგონება... არ შეიძლება მითხრათ...

— მე უხლე არა მცალია, ბატონო, — უთხრა დანიელმა, ჩაჯდა ეკიპაჟში და წავიდა. მღვდელს გაეტეს კი რაღაც უხაროდა და უცქეროდა ფლორენციას დედის სახლის ნომერს.

(შემდეგი იქნება)

## წისქვილი.

(აზრი რუსულიდგან).

წყალი მოშხუის ღარშია, გაძალებული მოიგდებს,
ქვავი დუღს, სწინწკლავს, ბორბალი მიბრუტიანთ ტრიალებს!
წისქვილი მოქუხს, დოლაბი ბრუნავს და ბრუნავს მალათა,
გარცლი ზანზარებს, ხორბალი კრიჭაში მოცურს წყნარათა.
აქ სარეკელიც ტაშს უკრავს, ერთი მაჯხულით კუნტსა!—
წისქვილიც მათი ამყოლი, ცეკვავს და უკრის ბუქნასა.
თეთრი მტვერის უკულგანა, არა ჩანს მზისა შუქიც.
სპეტაქს ფქვილს ისვრის დოლაბი, გამდგარა ხრილის ბუქია!..

თ. რაფ. ერისთავი.

## წერილი ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ

(დასასრული *).

თქვენი მოქმედება, ბატონებო, ძლიერ პატივ საცემია, თქვენი ღვაწლი ყველასათვის ცხადია. ჩვენც თანაუგრძნობთ მას, მაგრამ ამასთანავე ჩვენის მხრით დიდი უზდელობა იქნებოდა თქვენის წმინდა განზრახვათა წინაშე—დაგვემალა თქვენთვის, რომ ის კითხვები და საგნები, რომელთაც თქვენ ეხლა სულით და გულით მისცემიხართ, ჩვენ უსაჭიროეს და არსებით საგნებად არ მიგვაჩნია; ლაღადება სკოლებში ქართულის ენის შემოღებაზედ, სახალხო სკოლების დაფუძნებაზედ, ქართულის თეატრის გამართვაზედ, სასარგებლო წიგნების გამოცემაზედ, ჩვენი ენის განვითარებასა და გამშვენიერებაზედ და სხვა და სხვ. და ყოველივე ესენი ძლიერ საჭირონი და თანაგრძნობის ღირსნი საგნები არიან. მაგრამ ამ საგნებზედ გაჩერება, მათ გარეშემო ტრიალი და მასთანავე კმაყოფილებით ძახილი, რომ მხოლოდ ამაებზედ არის დამყარებული ჩვენი ქვეყნის ბედნიერება, იმასა ნიშნავს, რომ თქვენ მოქმედების პროგრამა ჯერ კიდევ არა გქონიათ შემუშავებული და მტკიცე ნიადაგზედ დამყარებული. ეს მოუტევებელი ცოდვა გახლავთ თქვენთვის. არც ერთ წრეს ხალხის ბელადთა, რომელსაც კი სურს

*) «ივერია» № № 7—8, 1882 წ.

შექმნეს ჭეშმარიტი გამომეტყველი და წარმომადგენელი თავის ქვეყნის ინტერესებისა, არ ექნება მომავალი, თუ რომ იგი განზრახ ან გაუგებლობით უქცევს გზას ეკონომიურის საგნების ახსნას და გადაწყვეტას, რომლებისაც გამოსარკვევლადაც იბრძვის ეხლა ყველა თანამედროვე პარტიები, მთელი კაცობრიობა. მე ცოტა არ არის მრცხვენიან, რომ ამისთანა ანბანურ ჭეშმარიტებათა დასამტკიცებლად ამდენს ხანს გებაასებით, რადგან მათ უცოდინრობას მე თქვენ ვერ დაგწამებთ. მე კარგად ვიცი, რომ ბევრი თქვენგანი იმდენად განათლებულია და იმდენად მცოდნეა საზოგადოობრივ საგნებისა, და ვალდებულიც არის ჩემზე მცოდნე, რომ ადვილად დაეთანხმება ჩემს დედა-აზრზე.

აი ამისათვის მუდამ გვაოცებდა და გვაკვირვებდა ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენ ჟურნალ-გაზეთობაში სრული და ვერა ვპოულობდით პოლიტიკო-ეკონომიურს სტატიებს. ჩვენ ხშირად შევხვედრილვართ ჩვენს მწერლობაში სამეცნიერო სტატიებს და პოლიტიკურის ხასიათის წერილებს, რომელთ საგნად ყოფილა გარეგანი პოლიტიკური ცხოვრება და ლიტერატურა ევროპისა და რუსეთისა, მაგრამ სრულებით არ გვინახავს არამც თუ მსჯელობანი ეკონომიურს საგნებზე, არამედ ზოგად ფილოსოფიურს *) სტატიებსაც არ შევხვე-

*) ფილოსოფიურით ჩვენ იმ აზრით კი არ ვამბობთ, რა აზრითაც ამ სიტყვას ხმარობენ, როცა სასკოლო ფილოსოფიაზეა ლაპარაკი, არამედ იმ აზრით, რომ სტატიაში ხელმძღვანელნი დედა-აზრნი და პრინციპნი განისაზღვრებოდეს და განიმარტებოდეს, რომ ამით, ცოტა მაინც გაადვილდეს დომხალივით არეული და აწეწილ-დაწეწილი საზოგადოობრივ მოვლენათა შეგნება და შემეცნება.

დროვართ ცხოვრების რომელისამე სათვალ-ჩინო მოვლენაზედ. და ეს გარემოება მაშინ შეინიშნება, როდესაც, ჩვენის აზრით, ყველაზედ მომეტებული. ახლაგი ჩვენს ჟურნალ-გაზეთობაში უნდა ეჭიროს ნიმანდობლივ ამგვარ სტატიებს. თქვენ თით-ქო განზრახ სტატიებზე უყურადღებოდ ეკიდებით გულ-გრი-ლად ვრცელს ნაწილს და სფეროს ხალხის ცხოვრებისას და გაქ-ყოლიახართ მსჯელობას უნაყოფო პოლიტიკურ საგნების შე-სახებ ერთისა და იგივე შეცვლებად თემაზე: ევროპიულ მი-ნისტრების ცვლილებაზედ და დაუსრულებელს ლიტონ დება-ტებზედ იქაურ სახელმწიფოთა კონსტიტუციურს პალატებთა შინა. ის კი არა თუ ეკონომიურ ტკივილების მოშორებაზე და ეკონომიურ სენთაგან განთავისუფლებაზეა დამოკიდებული ჩვენის ხალხის კეთილ-დღეობა და დოვლათი.

მაგრამ, ცხადია, რომ არ შეიძლება განკარგებაში და გაუ-გეთესობაში შევიყვანოთ ის, რაც გვაკლია და ცნობა არა გვ აქვს, არ შეიძლება რეფორმა მოახდინო რომელსამე საზო-გადოობრივ ცხოვრების ნაწილისა, თუ იგი უცნობია და გა-მოუკვლეველი. ამისათვის არის საჭირო სპეციალური და ყოველმხრივი შესწავლა ხალხის ეკონომიურის ცხოვრების ყოველ მხარეთა. მხოლოდ ამ გვარს შესწავლაზე დამყარებით შეიძლება დასკვნა ესა თუ ის დედა-აზრი, გამოიკვლიო ხელ-მძღვანელი პრინციპი და გზის მაჩვენებელი ნათელი ჭეშმარი-ტი, რომლის შემწეობით შესაძლებელ-იქმნება მოიპოვოს გაცმა ზომანი და ღონისძიებანი საჭიროებათა დასაკმაყოფი-ლებლად, დამაშვრალ და ტანჯულ მშრომელთა გაჭირების და ულაჯობის ცრემლების მოსაწმენდად. მართლაც, ვიცით განა, ცოტად მაინც წესიერად, ეხლანდელი მდგომარეობა ხალხისა? შეგვიძლიან ვუჩვენოთ უახლოესნი მიზეზნი ხალხის წუხილი-

სა, გაჭირვებისა და გაღარიბებისა? მეტის-მეტი უპრიანობაა ჩვენში შესახებ იმ გვარ წყაროთა და მასალათა, რომელთა შემწეობით შეიძლებოდეს მტკიცედ-მეცნიერულად აღიარებულ და დადგენილ იქმნას, რომ აი, ასეთი და ასეთია თანამედროვე მდგომარეობა ჩვენის ეკონომიურის ცხოვრებისა. ჩვენში არ არსებობს არც კერძო ადგილობრივი გამოკვლევანი, არც სტატისტიკური შრომანი და, დასასრულ, არც ოფიციალურნი, მმართველობის მიერ გამოქვეყნებულნი ცნობანი, — და მაინც და მაინც ჩვენ ამაყად და დარბაისლურად გამოვდივართ სასაპარეზოდ საზოგადოობრივის მოღვაწეობის სარბიელზე, და ვგონებთ რომ საქმეს იოლათ წავიყვანთ, დიდი ცოდნაც რომ არა გვქონდეს, რომ საკმარისია მხოლოდ კეთილ-შობილური წადილი და ახირებული თავ-გამოდება! ვინც როგორც უნდა ჰფიქრობდეს ეკონომიურის საგნების მნიშვნელობის შესახებ, მაინც უეჭველია ყველა დამეთანხმება, რომ ამ გვარ თუნდ სრულიად შეუმუშავებულ მასალის გარეშე, ყოველი ჩვენი დაწყობილობა და მეცადინეობა, ჩვენი განზრახულება და იმედები ფუჭად ჩაივლის, უნაყოფოდ გაქრება და ნამდვილს ნიადაგზე არ იქმნება დამყარებული. ბოლოსა და ბოლოს მაინც საჭიროა რამეზედ დაამყაროს, დააფუძნოს კაცმა თავისი მოსაზრებანი, თორემ ხელში არა დაგვრჩება რა. მერე რა თავსატეხი და ბრძნული საქმე არის შეგროვება და შეკრეფა შეუმუშავებელ ფაქტებისა, სტატისტიკურს ცნობათა, რომ არ გამოჩნდეს ამ საქმისათვის საკმარისად მოხერხებული და გამოსადეგი კაცები. აქ არ არის საჭირო არც ყოვლად-ღრმა და დიდი ცოდნა, არც განსაკუთრებითი ნიჭი, — საჭიროა მხოლოდ მოთმინებით იშრომოს კაცმა და კეთილ-სვინიდისიერად მოეპყრას საქმეს. პირველად შეიძლებოდა მოგვეხერხებინა და

გვეთხოვნა ოფიციალურად, რომ დაწესებულიყო ჩვენში სტატისტიკური კომიტეტი, რომელიც მიჰყოფდა ხელს საჭირო მასალათა შეკრებას და მათ დალაგებას, რიგიანი წარმატება და მიმართულება სტატისტიკურის კომიტეტის შრომისა, რასაკვირველია, დამოკიდებული იქნება იმ პირთაგან, რომელნიც შეადგენენ კომიტეტს; ამისათვის საქმის კეთილ-მსვლელობის გულისათვის, საჭიროა რომ მასში მოჰყვნენ სრულის წრფელობით და სულითა და გულით მოყვარენი კაცნი სახალხო საქმისა. მეორედ, ქალაქების რჩევათ შეეძლოთ მოეწყოთ და მოვაჭრებისათ შეკრება და გამოქვეყნება ყოველ-გვარ ცნობათა ქალაქის მცხოვრებლების შესახებ. მესამედ, ჩვენს საადგილ-მამულო ბანკებს თავიანთ მხრით შეეძლოთ აგრეთვე მრავალის სასარგებლო და ძვირფასის მასალის შეკრება და გამოქვეყნება ცნობათა მამულებზედ და სამიწა-წყლო ურთიერთობაზედ, თუ მოხერხებით და ენერგიულად მოეკიდებოდნენ საქმეს. კერძოობით რომ ვილაპარაკოთ, მათ შეეძლოთ გაეგოთ რაოდენი მიწაა თავად-აზნაურთა მფლობელობაში, აგრეთვე სხვა წოდებათა ხელში, გარეშე გლეხთა წოდებისა, რომელთანაც მათ ვგონებთ, არავითარი პირ-და-პირი კავშირი არა აქვთ; მათ შეეძლოთ შეეკრიბათ ძრიელ საჭირო ცნობანი მებატონეთ მეურნეობაზე და ხვნა-მთესველობაზე გლეხთა ჩვეულობის შემდეგ აგრეთვე ცნობანი საადგილ-მამულო ურთიერთობაზედ გლეხთა და მათ ნაბატონართა შორის და სხვა მრავალი ამ გვარი, თუ კი მათი ნება და სურვილი იქნებოდა. მეოთხედ, კერძო პირთ და დაწესებულებათ, «დამზოგველ ამხანაგობის» მაგვარათ, რომელნიც ვინ იცის რისთვის და ვისთვის ფუძნდებიან ჩვენში, შეეძლოთ აგრეთვე არა მცირედი დახმარება აღმოეჩინათ ამ გვარ საქმისათვის. ამასთანავე სოფლის მასწავ-

დებულთ, სამაზრო და საგუბერნიო ადვოკატებს, განათლებულ მებატონეებს, რომელნიც სოფლად სცხოვრობენ და საზოგადოთ ქალებს, ვინც ასე თუ ისე ხალხთან დაახლოვებულია, შეეძლო დიდის მოხერხებით მოეყო ხელი თუნდ ნაწყვეტ-ნაწყვეტის და არა სრულის ცნობების შეკრებისთვის ხალხის ცხოვრების სხვა-და-სხვა [illegible] საგნების შესახებ.

ჩვენ არ უნდა შეგვაშინოს საქმის სიძნელემ. მართალია პირველ-ხანობით და ერთბაშად საქმე კარგად არ წავა, — საჭირო იქნება დიდი ცდილობა, დიდი შრომა, მაგრამ თუ მედგრად და გულს-მოდგინეთ გამოვეკიდებით ერთხელვე წინ-წამოყენებულს საგანს, უთუოდ ჩვენ ჩვენსას გავიტანთ. პირველად ჩვენი ცდა უეჭველია, მოუხერხებელი ცდა იქნება, ჩვენი ნამუშაკარი არა-დალაგებული, მაგრამ ყოველს საქმეში დაწყე-ბაა საძნელო. ამასთან უნდა ვსთქვათ, რომ მსურველთ შეეძლიათ მრავალი სასარგებლო ჩვენება და საგულისხმიერო ხელმძღვანელობა ჰპოვონ რუსულ სტატისტიკურს გამოკვლევათა გადათვალიერებით (მშვენიერი გამოკვლევანია ორლოვ-სკის იანსონის გამოკვლევანი) და უფრო მომეტებულად რუსულ თემობის და ერობის სხვა-და-სხვა სტატისტიკურს განყოფილებათა ნამუშევარის გადაშინჯვით. მაგ. ნაშრომი და ნალვაწი მოსკოვისა და ჩერნიგოვის ერობის სტატისტიკურ განყოფილებათა ჩაითვლება სწორედ სამაგალითო ნიმუშად ცნობათა შეკრებისათვის. მათვე გადათვალიერებით მოიპოვებს კაცი საჭირო თეორეთიკულ და ხელ-მძღვანელ აზრებს სტა-ტისტიკურის მუშაობის მეტოდების შესახებ. შემდეგ შეიძლე-ბა ისარგებლოს კაცმა ამ საქმის ტეხნიკურის მხარის გასა-ცნობად და ნიმუშად იქონიოს დაწვრილებით შედგენილი პროგრამები ცნობათა შესაკრებად რუსულს ობშჩინაზე, გამო-

ც. მუქი რუსეთის „თავისუფალ ეკონომიურ საზოგადოებისაგან“ და სხვა ჭკვიან პირთაგან (მაგ. ქალის ეფიმენკოვისაგან, ბ. ტრიროგოვისგან). მაგრამ უფრო მეტადვასის და განსაკუთრებულის ყურადღების ღირსი ბ. ტრიროგოვის მეტოდი გამოკვლევისათვის ეკონომიურ ცხოვრების მოვლენათა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ იგი იღებს თავის დაკვირვებათა და მოსაზრებათა საფუძვლად განკერძოებულს და დამოუკიდებელს მეურნეობას გლეხისას და ჭკვიანს გლეხობას რამდენსამე კატეგორიად და ჯგუფად მეურნეობრივის მდგომარეობის და შეძლებულობის მიხედვით. ერთის მხრით იგი უყურებს თავს ერთს ჯამში ყოველს შემოსავალს, ხოლო მეორეს მხრით ერთად გამოჰყავს ყოველი და აუცილებელი ხარჯი და ამ სახით ზედმიწევნით დაახლოვებულად და საგულის-ხმიერო თვალ და თვალობით აჩვენებს მკითხველს მეურნეობრივის შემოსავლის და დანახარჯის სიას (ბიუჯეტს) გლეხის ოჯახისას. ხოლო ამ გარემოებას ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი უადვილებს კაცს ცხადად და გარკვევით წარმოიდგინოს და შეიგნოს, რა მეურნეობრივი ძალა აქვს ხალხს და რა გვარად აწარმოებს მას (იხ. მრავალი სტატიები ამ საგანზედ Отечеств. Зап. და სხვა ჟურნალებში). მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ საჭიროა მხოლოდ თანხმობით დ კეთილ-სვინდისიერად მოვკიდოთ საქმეს ხელი თორემ მის აღსრულებისათვის გზა გამოჩნდება, დ დაწვრილებითნი კერძოობანიც შემუშავდება ცნობათა შეკრების პროგრამისა. ხოლო მე ჩემის მხრით ამ წერილში ერთი შემიძლიან მოვახსენო. მე შემიძლიან მხოლოდ აღვნიშნო ის საგნები, რომელნიც, ჩემის ფიქრით, უფრო საყურადღებონი და უფრო ღირსნი არიან გამოკვლევისა. მე ფიქრათაც არ

მამდის, რომ შევიძლებ პროგრამის შედგენას და მის გამოქვეყნებას საყოველთაოთ სახმარებელად: ეს მე არ შემიძლიან მოვახერხო. მე მხოლოდ, ვიმეორებ კიდევ, მართლად ვსახავ იმ უფრო საყურადღებო საგნებს, რომელთაც მხარს ვერ აუქცევენ საზოგადოობრივი მოღვაწენი, უკეთუ მათ ჰსურსთ გამოიკვლიონ და შეიმუშავონ მეცნიერულ საფუძველზედ დამყარებული პროგრამა მოქმედობისა. თუ მე გამოვსტოვე რამ, ან ვერ შევნიშნე და შესაბამი ყურადღება ვერ მივაქციე, თქვენ, ეჭვი არა მაქვს, შეავსებთ ნაკლს, გამისწორებთ შეცდომას. მხოლოდ ამ გზით ურთი-ერთ შეცდომათა გასწორებისა და ურთი-ერთ აზრის შევსებისა და განმარტებისა, შეგვიძლიან სწორედ და სამართლიანად გადავწყვიტოთ ჩვენი სადღეისო და არსებითი საგნები.

პირველი საგანი, რომელსაც სხვა-და სხვა მიზეზისა გამო, ჩვენთვის უაღრესი მნიშვნელობა აქვს, არის შემდეგი.

1. რა ცვლილებანი იქმნენ შემოტანილი რუსეთის მიერ ქართველ ხალხის ეკონომიურს ცხოვრებაში ამ თითქმის ასის წლის დამოკიდებულების დროის განმავლობაში, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ: შემოტანილ იქმნა თუ არა რუსების მიერ ჩვენს ცხოვრებაში რომელიმე ხალხის განმანათლებელი დაწყობილება და წესი (цивилизующее начало)? როგორი ხასიათი ჰქონდა უმთავრესად რუსეთის მთავრობის საეკონომიო და საფინანსო ზომიერებათ შესახებ ჩვენის ქვეყნისა, მის მფლობლობის სხვა-და-სხვა დროის კავკასიაში?

როგორ იმოქმედა ხალხის ეკონომიურს მდგომარეობაზე საგლეხო რეფორმამ? (მეტად საჭიროა შედარებითი შესწავლა ეკონომიურის წეს-წყობილებისა, რომელიც არსებობდა რეფორმამდე და რომელიც ჰსუფევს დღეს) რა გვარი ახალი ეკო-

ნომიე რა ურთიერთობა დამყარდა რეფორმის გავლენის ქვეშ? როგორ აღსრულდა და ხორც-შესხმულ იქმნა რეფორმა ფაქტიკურად? რა მიმართულებისა და ხასიათისა იყო სხვა-და-სხვა მთავრობის ზომიერება, გამოცხადებული დასამტკიცებლად და შესავსებლად რეფორმისა? რამდენი მიწა აქვს ეხლა გლეხს ნამდვილად? თითოს სულზე რამდენი შეხვდება?

რამდენად გაცუდდა მებატონეთ და საზოგადოთ თავად-აზნაურთ მეურნეობა რეფორმის გამო? როგორი ურთი-ერთობა დაარსდა გლეხთა და ჩაბატონართა შორის ამ უკანასკნელს დროს? რითი სჩანს, რომ ასეთი და არა სხვა ასეთი მათ შორის ურთიერთობა? რადგან მებატონეს მოაკლდა მუქთა შრომა გლეხისა, შემცირდა თუ არა მისი ხვნა-თესვა და მამულები და არა მისი მარტო, არამედ საზოგადოთ თავად-აზნაურობისა? თუ თავად-აზნაურობა ცდილობს მიწად-მოქმედობაში გამოიყენოს საუკეთესო სამეურნეო იარაღები და შეიტანოს რიგიანი წესები? ვის ხელში გადადის თავად-აზნაურობისაგან გასყიდული მიწა და მამულები — მხვნელ-მთესველ გლეხებისა, თუ სხვა წოდების ხალხთა ხელში? რას უშვრებიან მიწებს იმისთანა მყიდველნი, მაგ., როგორც ვაჭრები და ხალხის სხვა-და-სხვა მცოვრელნი არიან — (რა ტომს ეკუთვნიან მომეტებულად ეს უკანასკნელნი)? თავათ მისდევენ ხვნა-თესვას და დაუმოკიდებელ მიწად-მოქმედებას, თუ მიწას გლეხებს აძლევენ იჯარით და საღალოდ. უკანასკნელს შემთხვევაში რამოდენია ხოლმე ღალა? ფულით ისდიან ამ ღალას, თუ პირ-და-პირ მოსავლითაც? —

ამ საზოგადო საგნებიდამ გადავიდეთ ახლა კერძო საგნებზე, რომელნიც პირველთაგან მომდინარეობენ. —

მაგრამ რომ არ დავიბნეთ და გზა არ დავკარგოთ, სხვა-

დასხვა და მრავალ-გვარ ეკონომიურ მოვლენათა შორის, საჭიროა გამოკვლეულ იქმნას მთავარი საფუძველი, რომელზედაც შეიძლებოდეს მტკიცედ დამყარება. ჩვენის აზრით, უფრო გამოსადეგი და მოხერხებული გზა გამოკვლევათათვის არის ის გზა, ანუ მეთოდი, რომელსაც მისდევს თვით ხალხი, ე. ი. იგი ჯერ მარტივს იკვლევს და მერე რთულს, ჯერ კერძოს და მერე საზოგადოს. ჩვენ უნდა ავიღოთ გამოკვლევისათვის დამოუკიდებელი კერძო მეურნეობა წვრილ-მოქმედისა, უკეთუ საშუალ-მოქმედთა წარმოების ანგარიში და მდგომარეობა გვსურს შევიტყოთ, ან და ცალკე ხელოსნის მუშაობის ანგარიში უნდა შევიტყოთ და გამოვიკვლიოთ, თუ გვსურს მრეწველობის ვითარების შეტყობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნიმუშად უნდა იქმნას აღებული ტიპიური დამოუკიდებელი მეურნეობა და აღიწეროს ვრცლად და წვრილებით ყოვლ-მხრივ. 1-ლად, ცნობაში უნდა იქმნას მოყვანილი, რამდენი მიწა აქვს გლეხს, 2) მუშა საქონელი რამდენი ჰყავს, 3) სამეურნეო იარაღების ნაკლებულობას ხომ არა გრძნობს, 4) რამდენი კაცი წარმართობს ამ მეურნეობაში, გუთნის დედა თუ მეხრე. და სხვ. შემდეგ უნდა დამტკიცდეს, რა თვისებისა და ნაყოფიერებისაა მიწა და რა მოსავალს იძლევა. მერე სრული შემოსავალი უნდა იქმნას გამოანგარიშებული და ფულის რაოდენობით გამოიხატოს ეს შემოსავალი. უნდა იქმნას ნაჩვენები: რა წილი მიდის ამ ფულისა სახელმწიფო ხარჯის გასასტუმრებლად, რა წილი ეძლევა ვალში, რამდენს ჰყიდის ნაღდ ფულზე და რამდენი რჩება შემოსავლიდამ თვით მხვნელ-მთესველს თავის საკუთარის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ამ დარჩენილს შემოსავალს უნდა მოაკლდეს კიდევ მის შრომის ფასი და გამოირიცხოს აგრეთვე სათესლე. რაც დარ-

ჩება, რომ იქნება ვ?ეკის წმინდა შემოსავალი და ცალკე გა-მოიხატება შეიძლება მისი არც არა დარჩეს რა, ან მოგების მაგივრად წაგება ქისხოს და ვალში თავს დაიდებოდეს. ესეც აღინიშნება და ცალკე გამოიხატება, რასაკვირველია ამ გვა-რად შევიძლებთ ცხადათ დავინახოთ, რამდენად ის რგებლობს გლეხისთვის დამოკიდებლის მეურნეობას და ხვნა-თესვის წარმოება, ან რა მისი ყოფნის ითხოვს მისგან მისი სურვილი, რომ ურთიერთოდ აწარმოებდეს ამ საქმეს დამოკიდებლად! ამ გვარისავე გამოანგარიშების გზას უნდა ვადგეთ დამოკიდე-ბულის მეურნისის შრომის გამოსაკვლევად. მაგრამ, რასაკვირ-ველია არც ვერ მოვიქცევით ქარხნის მუშის შესახებ, იმიტომ რომ იგი წარმოადგენს არის დამოკიდებულს პატრონს საქმი-ანს, არამედ დაქირავებულია ქარხნის მეპატრონესაგან, ან მის ნებაზეა დამოკიდებული, ან და მის ნებაზედაც და იმაზედაც, თუ როგორ ფასობს მუშა კაცი დღიურად *)

---

*) უკანასკნელი მოვლენა მდგომარეობს შემდეგში: ვთქვათ მუ-შა ხალხი ბევრია და მათთვის სამუშაო კი ცოტა. მაშინ მათი ფასიც დღიურის მუშაობისა ნაკლებ ა. პირ იქით, უკეთუ სამუშაო ბევრია ქარ-ხნებში, თუ ფაბრიკებში და მუშები კი ცოტანი არიან, მაშინ მათი ფა-სიც მატულობს. ხოლო სამუშაოს მომატებულობა და ნაკლებულობა წარმოსდგება სავაჭრო ადგილების მდგომარეობიდამ, ვაჭრობაში თუ ბლომათ არის მაგ. მაუდი, სავაჭრო ადგილები თუ სავსეა იმით, მაშინ მაუდის ქარხანაში ცოტა მუშები იქმნება საჭირო და მათი ფასიც დაიკლებს. წინააღმდეგს შემთხვევაში, წინააღმდეგი მოვლენა შეინიშნება, რასკვირ-ველია. ერთის სიტყვით, აქ ერთი ეკონომიური კანონი არსებობს, რო-მელსაც რუსულად ჰქვიან спросъ и предложенiе და ეს კანონი მოქმედობს ქარხნის მუშის ეკონომიურს მდგომარეობაზედაც. ხანასწევს მის შრომის ფასს და გაუადვილებს ცხოვრებას რამდენსამე დროს გან-მავალობაში, ხან დასწევს მას და სიღარიბეში აგდებს ქარხნის მუშა კაცს, ან სრულებით უსპობს სამუშაოს და მასთან ლუკმა პურსაც.

რედ.

გადავიდეთ ახლა სხვა საგანსა და კითხვებზედ. ჯერ პირველად კი ჩვენში მიწის მფლობელობის სხვა-და-სხვა ფორმებს უნდა მივაქციოთ ყურადღება.

II. რომელი ფორმა მიწად მფლობელობისა უფრო გავრცელებული ქართველ ხალხში? არსებობს თუ არა საერთო მამულის მფლობელობა? რაში გამოიხატება იგი? რა-და-რა ალაგას, რომელს მხარეში უფრო იგი აღორძინებული და მომეტებულად გავრცელებული? უკეთუ საერთოდ მიწის მფლობელობა არ დაცულა და არ შენახულა წმინდათ, რომელი მისი კერძო მხარე მაინც გადარჩენილა, არ დარღვეულა და არსებობს კიდევ? ჰქონობენ გლეხნი საერთოდ საძოვრებს, საბალახეებს, სათიბებს და ტყეს, თუ განაწილებული აქვთ ესენი კომლობრივ? თუ სადმე არსებობს საერთოდ მამულის მფლობელობა, რა გვარად და რა ხერხით ანაწილებენ მიწას ერთიერთ შორის გლეხნი? (უნდა აღიწეროს ვრცლად და ნათლად, როგორ სწარმოობს ეს განაწილება). მთლად მიწა იყოფა რამდენსამე ნაწილად ნაყოფიერობის მიხედვით და ყოველს გლეხს ეძლევა სხვა-და-სხვა ნაჭრის ნაწილი, თუ სხვაფრივ? ხშირია განაწილებანი მიწისა, თუ ერთხელ განაწილებული რამდენსამე ხნისა და ოცს წელიწადს გრძელდება და მერე ისევ ხელმეორედ ანაწილებენ? საზოგადოდ, რაში მდგომარეობს გარჩევა და მსგავსება ქართველის ხალხისა და რუსეთის ხალხის საერთოდ მიწად მფლობელობას შორის, ან ჩვენსა და რუსულს ობშჩინას შუა? ვინ და როგორ მოარიგებს ქონებრივის უთანხმოებას და დავის დროს მიწის ერთად მფლობელთა? როგორი ურთიერთობა არის დამყარებული საერთოდ მიწად-მფლობელთ თემებს შორის, ანუ ობშჩინებს შორის. აქვთ სადმე თუ არა ორს და სამს თემს ერთად საერთო მფლობელობაში ან სათიბი, ან ტყე?

არსებობს თუ არა ერთობრივი შრომა, ანუ არის ხოლმე შემთხვევა, რომ საერთოდ მოხნას თემმა ან რამე მოინადიროს საერთოდ მოსახმარებლადვე? ანუ სხვა სიტყვით: ხომ არ მოს-დებს ხოლმე, რომ სათემო ეკლესიებმა ერთად გასთიბონ, დათქვან, სათივე და მერე გაინაწილონ მათვე, როგორც შრომაში მო-წილეებმა? განაწილების საფუძვლად რა მიაჩნიათ? თუკი არა-ფერი ესეები არ არსებობს, მაშინ როგორ უცქერის გლეხო-ბა ამ გვარს წესებს? არა მოსწონთ და ეჯავრებათ ამ გვარი წესები, როგორც წინააღმდეგნი მათ ზნისა და ცნებათა წარმო-დგენისა, თუ მოსწონთ, მაგრამ ჰგონიათ მაგგვარი წესებს ვერ გაწარმოებთო?

III. დიდი და მძიმე ხალხის ხარჯი და გადასახადი? შეუძლიან თუ არა გლეხის მიწის შემოსავალს გაასტუმროს ყოველი ხარჯი გლეხის მეურნეობისა და ოჯახისა, ამ ხარჯში რომ სახელმწიფო გადასახადიც შედის? თუკი გლეხს თა-ვისი საკუთარი მიწა არ ჰყოფნის, სად შოულობს მას და რა პირობით? რა გვარ დამოკიდებულებაში ვარდება გლეხი მიწის ნაკლებულობისა გამო თავის ნაბატონარის თუ მიწად-მფლო-ბელის მიმართ? უფრო განვითარდა და მაღალს ხარისხზედ ავიდა მიწად-მოქმედების და ხვნა-თესვის წარმოებაში გლე-ხებში, თუ უფრო დაეცა ეს უკანასკნელი წინად დროსთან შე-დარებით?

IV. ხშირად ჰყიდიან გლეხები თავიანთ მიწებს და ვის ხელში გადადიან ეს მიწები? რა მიზეზები აიძულებს გლეხებს მამულების გაყიდვას? რა გავლენას ახდენს გლეხობაზე ყიდვა ვაჭრების მიერ გლეხების და თავადაზნაურების მამულებისა?

V. რამდენათ ფასობს გლეხობაში დღიური სამიწად-მოქ-მედო შრომა? ხშირად შოულობს იგი ამ გვარს სამუშაოს,

თუ არა? რომელნი გლეხნი უფრო ჰკიდებენ ხელს ამ შრომას: მარტო ისინი, რომელთაც მიწა ხელიდგან გამოეცალათ, თუ ისინიც, რომელნიც გრძნობენ მიწის ნაკლებულობას? გავრცელებულია, თუ არა გლეხის გადასვლა სხვაგან სამუშაოდ და რა მსგავსებაა ამ მხრივ რუსისა და ჩვენს გლეხს შორის?

VI. რა გვარ შრომას მისდევს კიდევ ჩვენი გლეხი, სამიწად-მოქმედო შრომის გარდა, თავის საჭიროების და მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და სახელმწიფო ხარჯის და გადასახადის გასასტუმრებლად? მისდევს თუ არა ჩვენში გლეხობა სოფლად ხელოსნობას (кустарная промышленность)? რამდენად შველის ჩვენს გლეხობას ეს ხელოსნობა, რომელსაც იგი ახმარებს თავის თავისუფალ დროს, თუ არიან სოფელში ისეთი ხელოსნები, რომელნიც საკუთრად ამ ხელოსნობით ცხოვრობენ? თუ არსებობს ეს ხელოსნობა—სად უფრო გავრცელებულია: სოფლად თუ ქალაქში? აქვთ თუ არა ამ ხელოსნებს საჭირო თანხა, საკუთარი იარაღები წარმოებისა, თავიანთ საკუთარ ფულით ჰყიდულობენ საჭირო მასალას თავის ხელობისათვის, თუ წვრილ-ვაჭრებთან იჭერენ საქმეს და იგინი ყველა ამ მასალით ხელს უმართავენ? ამ უკანასკნელ შემთხვევაში, რა პირობით შეეკვრიან ხოლმე ერთმანერთს? როგორ ასაღებენ ხელოსნები თავიანთ ნაწარმოებს: პირ-და-პირ ჰყიდიან მომხმარებელთ, თუ ისევ ის წვრილ-ვაჭრები შუამავლობენ მწარმოებელთ და მომხმარებელთ შორის? თუ არსებობს ეს შუამავლობა, რამდენად საზარალოა ან სასარგებლო ხელოსნისათვის? რამდენად ძლიერია ეკონომიური დამოკიდებულობა ხელოსნისა ვაჭრისაგან და როგორ გამოიხატება იგი? აქვს ხელოსანს იმოდენა შემოსავალი, რომ გასწვდეს თავის საჭიროებას?

VII როგორი მოწყობილობა აქვს ჯამქრობას ქალაქებში? როგორ შეიცვალა ეს მოწყობილობა ცხოვრების ახალ ვითარებათა გავლენის ქვეშ? რაოდენობა ხელოსნებისა, რომელნიც შეადგენენ სხვა-და-სხვა ჯამქრობას. რა-და-რა გვარი შრომისა და წარმოებისათვის მოუკიდნიათ ხელი ჯამქრებს? სდგებიან თუ არა ახალი ჯამქრობანი ეხლა? თუ სდგებიან—რა წესით? რა გავლენა აქვთ მათ ხელოსნობის მდგომარეობაზედ?

VIII არსებობს თუ არა ჩვენში საფაბრიკო და საქარხნო მრეწველობა? რიცხვი ფაბრიკებისა და ქარხნებისა. მათ მიერ წარმოების რაოდენობა. რომელი ნაწილი მრეწველობისა უფრო სწარმოებს ამ ფაბრიკებში და ქარხნებში? როგორის თანდა-თანობით განვითარდა სხვა-და-სხვა ნაწილი მრეწველობისა ფაბრიკებში და ქარხნებში? სად უფრო გავრცელებულია ჩვენში საფაბრიკო და საქარხნო მრეწველობა და ვის ხელშია იგი? სად საღდება განსაკუთრებით ამათი ნაწარმოებნი. საღდება თუ არა იგინი გლეხობაში? საღდება თუ არა ეს ნაწარმოებნი სამზღვარს გარეშე?

რა სახით უფრო სწარმოებს მუშაობა ფაბრიკებში—ხელით თუ მაშინით? რომელ ფაბრიკებში მუშაობენ მაშინით?

ვისგან შესდგება მუშა ხალხი ფაბრიკებში—ქალაქისა თუ სოფლის მცხოვრებთაგან შესდგება იგი? თუ ზოგი ნაწილი მუშებისა სოფლელები არიან—სახელდობრ, რომელნი გლეხნი მიდიან მუშათ: ისინი რომელთაც მამული არა აქვთ, თუ ისინი, რომელთაც თუმც მამული აქვთ, მაგრამ სამუდამოდ მუშათ კი არ რჩებიან, მხოლოდ დროებით სარგებლობენ ფაბრიკით ხელის მოსანაცვლებლად? რამდენი არიან რიცხვით ფაბრიკის მუშები? დიდს მოთხოვნილებას და ძლიერ უჭირთ თუ არა ფაბრიკისა და ქარხნის პატრონებს შრომა? ბევრნი არიან მოკლებულნი სამუშაოს?

რა ფასი ეძლევა ფაბრიკის მუშებს დღეში? რამდენს ხანს მუშაობენ დღეში? მუშაობენ თუ არა დედა-კაცები და ბავშვები ამ ადგილებში? რამდენად ნაკლებია ამათი შრომის ფასი კაცისაზე? რამდენად წესიერად არის მოწყობილი ფაბრიკა და ქარხანა ჯან-მრთელობისათვის? არსებობს თუ არა თანხმობა და კეთილი ურთი-ერთობა მუშებსა და პატრონებს შორის? მოხდება ხოლმე მათ შორის უთანხმოება და რა მიზეზით?

IX არსებობს ჩვენში უბინაო და უსახლ-კარო ხალხი (პლორეტარიატი) და თუ არსებობს სად უფრო მოიძებნება იგი, სოფლად თუ ქალაქებში? საიდგან იკრეფავს თავს ეს ბოგანო ხალხი? რა მიზეზია პროლეტარიატის არსებობისა? დიდია თუ არა რიცხვი ამ გვარის ხალხისა? რამდენ პროცენტს შეადგენს იგი სრულიად მცხოვრებლებისასა? რა გვარ მუშაობას მისდევს.

X. დიდი აღებ-მიცემობა აქვს თუ არა ქვეყანასა საზოგადოთ? უფრო რა გვარს აღებ-მიცემობას მისდევენ მცხოვრებელნი? გადის თუ არა სამზღვრებს გარეთ საქონელი, რომელი და რამდენისა, სახელდობრ? საითკენ უფრო გააქვთ? ვის ხელშია შინაგანი და გარეშე აღებ-მიცემობა? რაში გამოიხატება ეკონომიური როლი და მნიშვნელობა სომხებისა და ურიებისა?— სად უფრო მომეტებულად მოქმედობენ ესენი, სოფლად თუ ქალაქ ადგილს? როგორ უყურებს მათ ქართველი ხალხი და რა ურთიერთობაშია მათთან?

XI. რა გვარი საშუალებანი და საღსრები არსებობენ გაცვლა-გამოცვლისა და აღებ-მიცემობისა ჩვენს ქვეყანაში?— ბევრია თუ არა საკრედიტო დაწესებულებანი?—რაში გამოიხატება მომეტებულად და უმთავრესად მათი მოქმედობა და რაოდენ სესხს და ფულს აწარმოვებს (размѣръ оборотовъ). ვის

უფრო ეხმარებიან და აღმოუჩენენ თავიანთ შემწეობას ეს დაწესებულებანი? — არსებობს თუ არა გლეხობისათვის კრედიტი და სესხი. ან შესაძლებლად მიაჩნია მას ისარგებლოს ეხლანდელ საკრედიტო დაწესებულებათა სესხით? რა ზედ-მოქმედებას იჩენენ საზოგადოთ საკრედიტო დაწესებულებანი ქვეყნის ეკონომიურს ცხოვრებაზე?

ეკონომიურ მოვლენათა გამოკვლევასთან ერთად ძლიერ საჭიროა, როგორც მეცნიერულის მხრივ, აგრეთვე პრაკტიკულის მხრითაც, შესწავლა ხალხის ყოფა-ცხოვრებათა.

**XII.** რა ხასიათი აქვს ხალხის საოჯახო ურთიერთობას? —წევრნი ოჯახისა ყველანი თანასწორის უფლების მქონენი არიან, თუ რომელიმე წევრთაგანი, უხუცესია და უმფროსია იგი თუ არა, მაინც ბატონობს ოჯახში, თავობს და იმორჩილებს ოჯახის სხვა წევრთ? როგორ და რაში გამოიხატება უფლება მემკვიდრეობისა, რა გვარია როლი დედა-კაცისა ანუ ქალისა ოჯახობაში და მეურნეობაში?

**XIII.** ხალხის იურიდიკული შეხედულებანი რაში მდგომარეობენ? რამდენად ემზგავსებიან ან განირჩევიან იგინი განათლებულ და კულტურულ წოდებათა იურიდიკულ შეხედულებათაგან? იყო რამე გარჩევა უწინ, საქართველოს დაუმოკიდებლობის დროს, ამ შეხედულებათა შორის ერთის მხრით ხალხისა და მეორეს მხრით მეტის უფლების მქონეთა? რაში სჩანს ეგ გარჩევა ეხლა, როცა ჩვენში შემოღებულ იქმნა ახალი, ხალხისთვის უცნობი იურიდიკული დაწესებულებანი?

**XIV.** რა დასაბამი და რა საფუძველი მიაჩნია ხალხს ქვა-კუთხედად თავის ცხოვრების ურთი-ერთობისათვის. ამ დასაბამად და სამირკვლად ყოველისა და ყოვლისავე შრომა ჰგო-

ნია და მიაჩნია ხალხს თუ სხვა რამე? როგორი შეხედულება აქვს ხალხს საკუთრების უფლებაზე *).

XV. როგორ და რაში გამოიხატება საზოგადოებრივი პოლიტიკური და ეროვნული ლტოლვილებანი ხალხისა? რაში მდგომარეობს საზოგადოთ ხალხის გონებრივი ვითარება და სულის წუხილი? — როგორ და რაში იჩენს თავს მისი შფო-თვა და აღბორგება ცხოვრების ვითარებისა წინააღმდეგ? — ხშირად ეძლევა თუ არა აქტიური ხასიათი ამ აღბორგებას და შფოთვას ხალხის წინააღმდეგობისას. ვის წინააღმდეგ არის მიმართული უმთავრესად ხალხის მიერ ყრუ ან პირ-და-პირ და ხმა-მაღლა გამოცხადებული ჩივილი? **).

აი მთელი დასტა კითხვებად დალაგებულ საგნებისა, რომელთ შეუსწავლელად არა ნაირად არ შეიძლება შემუშავება და გამოკვლევა ცოტათ მაინც წესიერის საზოგადოებრივის პროგრამისა. მომატებული ნაწილი ჩვენში გამოცემულის ბროშურებისა და ჟურნალში დაბეჭდილ სტატიებისა ამტკიცებს, რომ ამ მხრივ ჩვენს მწერლობას სრულებით თავი არ შეუწუხებია. მას არა აქვს შემუშავებული, მტკიცედ მოფიქრებული და მოკლედ მოჭრილი პროგრამა; თქვენის ნაწერებით, ბატონებო, თუმცა მგონია, რომ ცოტას არა სწერთ, სრუ-

*) სასურველია, რომ ყოველ ამ საგნების შესახებ გამორკვეულ იქმნას, როგორც ფაქტიკური მდგომარეობა ხალხისა, ისე მისი თეორეტიკული შეხედულებანი, უკეთუ ეს უკანასკნელნი არ ეთანხმებიან ცხოვრების აწინდელს ვითარებას.

**) იხ. სტატიები ქალის ეფიმენკოსი ჩვეულებაზედ დამყარებულ უფლების შესახებ, აგრეთვე იხილე გამოკვლევანი ამ საგნის შესახებ ორშანსკისა.

აგს.

ლიად არ შეიძლება მიხვდეს კაცი, რას მიელტვის თქვენი გული და გონება და რა საგანი გაქვთ წინ-წამოყენებული ქვეყნის საკეთილ-დღეოდ გადასაწყვეტად. ხომ არ შეიძლება, რომ კერძო საგნები, რომელთაც თქვენ გაჰყოლიხართ, შეადგენდეს სრულიადს და მთლიანს საზოგადოობრივს პროგრამას?! თქვენ გეტყობათ, რომ გიყვართ სამშობლო, თქვენი ენა, ხალხი, მაგრამ არ გეტყობათ, რომ თქვენ ცნობიერად მოფიქრებული გქონდეთ პროგრამა საზოგადოობრივის მოქმედებისა. სიყვარული — დიდი საქმე და პატივსაცემი გრძნობაა, ცხადია, მაგრამ ცალიერის სიყვარულით ქვეყანას ვერ აღვაშენებთ და ვერ აღვადგენთ! საჭიროა თანხმობითი, მოფიქრებული ჩვენი მდგომარეობის შესახებ მუშაობა; საჭიროა შემუშავება და გამოკვლევა საზოგადოობრივის იდეალისა ხალხის ცხოვრების ყოველ-მხრივის დაკვირვებისა და შესწავლის შემდეგ; საჭიროა მჴურად, შეწყობილად მისწრაფება ერთხელ შემუშავებულ და წინ-წამოყენებულ იდეალისადმი, და არა მოღვაწეობა ნაწყვეტ-ნაწყვეტი, გაფანტული, რომელსაც თან არა სდევს ხელ-მძღვანელად არავითარი ზოგადი პრინციპი. ავიღოთ საგულის-ხმიერო მაგალითი ჩვენის ლიტერატურიდამ. ზოგი ჩვენი ლიტერატორთაგანი დაადგა საქართველოს ისტორიის შესწავლას. ცხადია, რომ ეს საგანი ძლიერ უსაჭიროესი საგანია და თვით ეს საქმეც ძალიან პატიოსანი და ქების ღირსი უნდა იყოს. მაგრამ როგორ მოჰკიდეთ ხელი თქვენ ჩვენის ისტორიის შემუშავებას? რას ეძებთ თქვენ იქ საინტერესოს, რა საგულის-ხმიერო მაგალითები და მოძღვრებანი უნდა ამოუღოთ იქიდამ ქართველებს, როდესაც თქვენ მოგვითხრობთ საქართველოს სახელმწიფო ცხოვრების გარეგნობაზედ, როდესაც თქვენ აღგვიწერთ სხვა-და-სხვა ლაშქრობას და სამეფო კარის ინტრი-

გებს და მოჭყოლიხართ მეფეებისა და დედოფლების, მათ კუ-
დებისა და ფარეშების ამბავს, ამით განა ვის რა გინდათ ას-
წავლოთ, ვის რა გსურთ შეაგონოთ? რა საზოგადოობრივი
საგანი ამოგიღიათ მიზნად, როცა მხოლოდ გარეგან მხარეს
სწავლობთ სამშობლო ისტორიისას და შინაგანს აზრს კი არ
უღრმავდებით. თქვენი ნამუშავარი ამ მხრივ უაზროა და უნაყო-
ფოა, ამიტომ რომ მის შემწეობით ვერ გავიგებთ დ ვერ შევიგ-
ნებთ ხალხის ცხოვრების აწინდელს ვითარებას. იგი ვერც ცნო-
ბის მოყვარეობას აკმაყოფილებს, ამიტომ რომ მის შემწეო-
ბით ჩვენ წინა-პართა წარსულის ცხოვრების სიღრმესა და სი-
განეს ვერ ვტყობულობთ, მის ნამდვილს სატებას ვერ ვხედავთ.
იმის მაგიერ, რომ დაგვანახოთ ყოფა-ცხოვრება ხალხისა წარ-
სულს დროს; იმის მაგიერ რომ გაგვაცნოთ მაშინდელი უფ-
ლებრივი, იურიდიკული და ეკონომიური ურთიერთობა,
თქვენ სულ სხვას მოგვითხრობთ და სულ სხვა კილოზედ
მოჭყოლიხართ ძველს ამბავს. იმის მაგიერ, მაგ., რომ
მრთელი და სრულიადი სურათი წარმოგვიდგინოთ ხალხის
ტანჯვისა და წამებისა, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ გამოსცადა
შინაურ მოუწყობლობისაგან და გარეშე მტრისაგან; დასას-
რულ, იმის მაგიერ, რომ აგვწეროთ როგორ სცხოვრებდნენ
ჩვენი წინაპარნი, რას აკეთებდნენ, რა ზნესა და ხასიათებს ად-
გნენ შინაურობაში და გარეთ, ერთის სიტყვით, იმის ნაცვ-
ლად, რომ მოგვითხრათ საინტერესო ისტორია ჩვენის ეკო-
ნომიურის და გონებრივის განვითარებისა, — თქვენ, ყველა
ამის ნაცვლად, გაჭყოლიხართ, უკაცრაული ქართულია, რაღაც
ქებასა და დიდებას წარსულისას და თან ამ შესხმისა და ხო-
ტბის წერას დარბაისრულს შრომას ეძახით! მე ამას, რასაკ-
ვირველია, არ ვაბრალებ თქვენს უცოდინარობას. არა! თქვენ

ძალიან კარგად იცით, როგორც უნდა შემუშავება ისტორიას; თქვენ გიკითხავთ და კარგათაც იცნობთ საუკეთესო ევროპიელ ისტორიკოსებს, აღტაცებაში მოდიხართ მათ გამოკვლევათა მეტოდებით, სთვლით თქვენ თავს მათ ნამდვილ მომხრედ, მაგრამ როგორც კი საკუთარს გამოკვლევას დაიწყობთ ჩვენ სამშობლოს შესახებ, მაშინვე უეცრივ ჰქრება თქვენში ისტორიის ფილოსოფიური ცოდნა და გვარწმუნებთ რომ ეს ფილოსოფიური ცოდნა ისტორიისა ჩვენის ქვეყნის შესახებ არ გამოდგებაო.

ჩემის აზრით ეს იმისგან წარმოსდგება, რომ ჩვენ აქამომდე არა გვაქვს მტკიცედ გამორკვეული და მოსაზრებული პროგრამა მოქმედებისა, რომლის მიხედვით შეეძლოს ყოველ საზოგადოებრივ მოღვაწეს (გულ-წრფელს და პატიოსანს, რასაკვირველია) შრომა და მუშაობა. ჩვენ ვმოქმედობთ აქამომდე ცალკ-ცალკე, უსისტემოთ და გაფანტულად. აი ამის გამო ყოველს ჩვენს დაწყებულობას რაღაც უმიზნობის და განცალკევების დაღი აზის *).

ისტორიის შესწავლას და შემუშავებას რომ თავი დავანებოთ და გადავიდეთ ჩვენს ლიტერატურის საზოგადო მდგომარეობაზედ, აქაც ჩვენ ამავე სამწუხარო სანახავს შევხვდებით.

ჩვენს ნორჩს ძ ჯერ ისევ ფრთა-გაუშლელს ლიტერატუ-

---

*) ვჩქარობ მოვიხსენო, რომ მე ამას არ ვამბობ ვისმე სასაყვედუროდ. მე ეს ფიქრათაც არ მომდის. მე მხოლოდ აღვნიშნამ მეტად ცხად ფაქტს. აქ საყვედური ვისიმე სრულიად უსარგებლოა — ჩვენი მოღვაწენი აკეთებენ იმას, რაც შეუძლიანთ და რისაც ნიჭი აქვთ და ამისათვის ჩვენ მადლობის მეტი არა გვეთქმის რა. მაგრამ მეორეს მხრით ყოველი ჩვენგანი მოვალეა სთქვას, უკეთუ სხვა ნაირად სჯის, რომ ეს, მაგ., ასეა და არა ისე. ავტ.

რას აქვს ერთი დაუფასებელი ღირსება, რომელიც განასხვავებს მას სხვა უფრო განათლებულ და განვითარებულ ქვეყნების ლიტერატურათაგან. როგორც ვიცით, აწინდელი ცივილიზაციის ცალ-მხრივი და ცრუ-მიმართულების გამო განათლებულ საზოგადოების ნაწილსა და ხალხს შორის სუფევს ისეთი ზღვარი, რომელიც უშლის ორთავ მხარეს ერთმანერთის გაგებას. ამ განათლებულს ნაწილს საზოგადოებისას აქვს იმ გვარად შემუშავებული ლიტერატურა, რომ იგი სრულიად უცხო და გაუგებარია ხალხისათვის, როგორც ენით, ისე შინაარსით. განცალ-ცალკევდნენ ინტერესები, გაჩნდა სხვა-და-სხვა სურვილი და მოთხოვნილებანი, რომელნიც უფრო უარესად განაშორებს მათ ერთი ერთმანეთისაგან. ხალხი არ კითხულობს და საინტერესოდ არ სთვლის განათლებულ საზოგადოების ლიტერატურას, რომელიც ადგია ხალხისათვის სრულიად უცხო გზას და საგანს. მაშინაც კი, როდესაც რჩეულნი პირნი საზოგადოებისა გამოდიან სასპარეზოდ ხალხის ჭეშმარიტ ინტერესების დასაცველად, საქადაგებლად და თავიანთ აზრებისა და იდეალების გასავრცელებლად მწერლობის შუამავლობით, მაშინაც კი ეს პირნი და მოღვაწენი ვერ პოულობენ მკითხველებს ხალხში. ხალხი აქამდის ფიქრობს, რომ ეს ლიტერატურა სდევნის სრულიად უცხოს და მათთვის არა სასარგებლო ინტერესებს. თუნდ ესეც არ იყოს, კულტურული ლიტერატურის ენა იმდენად განირჩევა ხალხის ენისაგან, რომ უბრალო ხალხისათვის მომეტებულ ნაწილად შეუძლებელია წაკითხულის გაგება, თუნდ რომ სურვილი და შეძლებაც ჰქონდეს კითხვისა. ამისა გამო, თუ გსურს, რომ ხალხისთვის გაუგებარი არ დარჩე, უნდა მიჰმართო სხვა გვარ კილოს, სხვა გვარ ენის მიმოხვრას. ერთის სიტყვით უნდა იხმარო უბრა-

ლო «სახალხო» ენა. ეს სამარცხვინო გარჩევა ენისა, რომელიც უშლის ერთისა და იგივე ერის ორ ნაწილად გაყოფილის დასის ერთმანეთის გაგებას, არის პირ-და-პირი შედეგი ხალხისადმი უგულობისა, რომელსაც მუდამ იჩენს უმრავლესობა განათლებულის საზოგადოებისა. ხალხის ინტერესების უყურადღებოთ დატოვებამ და წოდებრივ ლტოლვილებათა გამოკიდებამ, მისცა ლიტერატურას შეუსაბამო და არა ხალხური ხასიათი. ლიტერატურამ შეიქმნა უმათ და მოსამსახურეთ განათლებულ წოდებათა და ამ სახით განვითარდა ხალხისათვის გაუგებარი ენა. ლიტერატურა, რომელსაც არ შემსჭვალავდა ხალხის ვაება და წუხილი, მიდიოდა თავისთვის წინ შვებით და მასხრობით და უფრო უარესად სწყვეტდა ხალხთან კავშირს.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, ბატონებო, რა სამწუხარო და არა სანეტარო მდგომარეობაში ჩააგდო საზოგადოთ მწერლობა ამ კულტურულ წოდებათა მოუსაზრებელმა თავმოყვარეობამ. მოგეხსენებათ აგრეთვე, რა საზიზღარი შედეგი მოჰყვა მწერლობაში მის წარმომადგენელთა მიერ ლაქუცსა და ყურ-მოჭრილს ყმობას ამა სოფლის მძლიერთა და მეტის უფლებით შეჭურვილთა წინაშე. მეორეს მხრით, თქვენთვის, უეჭველია, საიდუმლოს არ შეადგენს აგრეთვე ის გარემოება, რომ უკეთეს წარმომადგენლით ლიტერატურისას მწარე ვარამი უტრიალებთ გულში და სახმილებრ ცეცხლი ედებათ, რადგან ხალხთან დაახლოვება ჰსურთ და თავის მოწყვლელი სურვილი კი ვერ აუსრულებიათ. ამ პირებმა ქალიან კარგად იციან, რომ მათი არსებობა და სიცოცხლე ხალხის ცხოვრებისა და ინტერესების გარეშე უსარგებლოა და უნაყოფო, რომ ყოველი მათი წერა ამაოა და უსაგნო; იგინი, გულ-დაწყვეტილნი

და დათუთქულნი, გრძნობენ, რომ თვით ხალხი, რომელსაც მათ უნდათ ემსახურონ ყოველ თავის ძალ-ღონით და მტლედ დაედონ მას, თვით იგივე ხალხი მათი უმეცარია და უარ-მყოფელი. იგინი ჰგრძნობენ, რომ ამ საქმეში თავათ უბრალონი და უზაკველნი არიან, რომ მათ თავზედ ტრიალებს წინა-პართა შეცდომილებისა და დანაშაულობის ბორბალი, მაგრამ ძალაც არა აქვთ, რომ აიცილონ ეს უბედურება მთლად და სრულიად გადაუსწორებლად ყოველ საზოგადოობრივ ურთიერთობისა.

სხვა ქვეყნების ამ გვარ მწარე გამოცდილებათა შემდეგ, შემდეგ იმ გამაფრთხილებელ და საგულის-ხმიერო შთაგონებისა ისტორიის მიერ, რომელიც ცხადათ უჩვენებს ნამდვილს გზას ცივილიზაციისას ახლად გაღვიძებულს ქვეყნებს და ერსა,—როგორ მოქმედობენ და მოღვაწეობენ წარმომადგენელნი ჩვენის ლიტერატურისა და მწერლობისა? შეიგნეს მათ ესა, ან უფრო უკეთ რომ ვსთქვათ, გამოიყენეს სასარგებლოდ ეს გაფრთხილება ისტორიისა?

ჩვენი ლიტერატურა ამ მხრივ ჯერ-ჯერობით სწორედ ბედნიერ მდგომარეობაშია. იგი არ განცალკევებულა, არ დაშორებია ხალხს და არ გამხდარა მისთვის გაუგებარი. ლიტერატურული ენა მცირედ განირჩევა ხალხურ ენისაგან, იგი ეყურება და იზიდავს ჩვენს ხალხს. მეორეს მხრით, ყველა იტყვის, რომ ჩვენი ხალხი ცნობის-მოყვარე ხალხია, სწავლისა და ცოდნის შეძენა წყურვილად გადაქცევია და ჯერ-ჯერობით ყურს უგდებს და თვალს ადევნებს ჩვენის მწერლობის განვითარებას. ყველა ეს გარემოება ჩვენს მწერლობას დიდს საშურველ უპირატესობას აძლევს სხვა მწერლობათა წინაშე. სხვა ერნი დიდს მსხვერპლს და სასყიდელს გაიმეტებდენ, ოღონდ კი ამ გვარი ხასიათი მიეცათ თავის ლიტერატურისათვის და ერთ-გვარად გასაგები გა-

ეხადნათ იგი, როგორც ხალხისათვის, ისე მთლად ერისათვის და განათლებულ საზოგადოებისათვის. მაგრამ რა გამოვიდა ყველა აქედამ? სარგებლობენ ჩვენი საზოგადოებრივი მოღვაწენი თავიანთ ლიტერატურის ამ უპირატესობით? არა!.. პირიქით იგინი, როგორც თვით-მდგომარებას მოკლებულნი და მცირე-წლოვანნი ბავშვნი, ყურადღებას არ აქცევენ ამ უპირატესობას, განურჩევლად მისდევენ უკან კუდში სხვათა ლიტერატურებს და ამ უგვანო ბაძვით სწორედ რომ ყოველს სამზღვარს გადადიან თავიანთ სასაცილოდ და სასირცხვოდ.

წარმოიდგინეთ კი, რომ ეს საგანი ძალიან ცხადი და მარტივია, ჩვენი სურვილი და საწადელი ამ მხრივ ადვილად შესასრულებელია და განსახორციელებელი: შევაწყოთ და შევუთანხმოთ ჩვენი ნაწერების ხასიათი და მიმართულება ხალხის ინტერესებს და მოთხოვნილებათა, ვისწავლოთ და განვვითარდეთ ხალხთან ერთად, მასთან ერთადვე შევიმუშავოთ საზოგადოობრივი იდეალები, რომელნიც მხოლოდ ხალხის მიერ მიიღებენ უაღრესს ძალას და შეიძლებენ ყოველ-გვარ ბრძოლის და დევნის ატანას. ამის მაგივრად ჩვენი ლიტერატურა, თითქო შიშობსო, რომ დავარდნილ და უკან-ჩამორჩომილად არ დამსახონ, სცდილობს მაღალ კილოს გამოეკიდოს და ზემო ფარდებში იფრინოს. რაც შეუძლიან ძალას იტანს და იმოსება ისეთს გამოუწყობელ კულტურულ ტანისამოსით, რომელიც არც შეშვენის მას, არც უხდება და რომელიც მასთანავე უფრო სასაცილოდ და სამასხაროდ ხდის, ვიდრე დინჯ და დარბაისელ გამომხატველად საზოგადოობრივ საჭიროებათა და მოთხოვნილებათა. მართლაც და რომელი მკითხველები ჰყავს სახეში ჩვენს ლიტერატურას და ვინ უნდა გაანათლოს და ცნობიერება შესძინოს მან, როდესაც იგი დაყინებით და

გაჯიბრებით ებაასება, მაგ. ევროპიელ დიპლომატიას, რომელსაც იგი ვრცლად მოგვითხრობს ლუი-ბლანისა და სხვა პოლიტიკურ მოღვაწეთა აწინდელს პოლიტიკურს შეხედულებაზედ, რომელსაც იგი სთარგმნის დაავრცელებს გეოტეს თხზულებებსა, შექსპირისა დ თუნდ გამოჩენილ ოფენბახის თარგმანებსაც და სხვ. ისე რომ ავიღოთ და ჩვენთვის რომ ვსთქვათ, რასაკვირველია, ყველა ესები კარგი და სასარგებლო საქმეა, მაგრამ განა ამაებსა თხოულობს ჩვენის სამშობლოს თანა-მედროვე მდგომარეობა? ნუ თუ შესაწყნარებელი და პატივ-დებაში მისაღებია ფიქრი სუბუქ და ჭაეროვან ნაწარმოებზედ დახელოვნებულის მზარეულისა, როცა შიმშილით მილეული დ გვემული კაცი თხოულობს პურსა?!

თუ გვინდა რომ ხალხმა ისარგებლოს ჩვენის ლიტერატურის მდაბიურობით და გამოიყენოს ეს დაუფასებელი თვისება ჩვენის მწერლობისა, საჭიროა, ჩვენის ფიქრით, რომ მწერლობა ხალხისათვის საჭირო და შესაფერ გონებით საზრდოს იძლეოდეს, მის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდეს, ამიტომ ლიტერატურა უნდა შეიქმნეს უპირველეს ყოვლისა სახალხო ლიტერატურად, უკეთუ გვსურს რომ მას ჰქონდეს გავლენა და ძლიერება, ფასი და მნიშვნელობა ჩვენის ქვეყნის საქმეების და საგნების გადაწყვეტის დროს. მხოლოდ ეს მაშინ მოხდება, როცა ლიტერატურა ერთად ერთს ნამდვილს გზას და ჭეშმარიტს მიმართულებას დაადგება, როცა იგი მიიღებს პატივ-დებაში ხალხის სურვილს, და, რაც უფრო პირველია, დაიცავს მის ინტერესებს, ე. ი. როცა ლიტერატურის მიერ ხშირად და უმთავრესად წამოყენებული იქმნება სასპარეზოდ ხალხის გულის მომგები საგნები — ეკონომიური და საზოგადოობრივი საქმეები.

ბ. მაიაშვილი.

# გუთანი.

«გადი-გამოდი გუთანო, ღირღიტავ ბანი უთხარო»,
სახნის-საკვეთო გაუსვი, რომ კაჭკაჭს ძირი უთხარო!
ნიშავ ნიკორას გაუწი, მაგას მოაბი მხარია,
მეხრევ გაუკარ შვინდასა, ცოტა ზარმაცი ხარია;
გააჭიმინეთ ჯამბარა, დაჰმღერეთ «ოროველასა»;
გადააშავეთ მინდორი, რომ დაგვნატრიოდეს ყველაო...
ერთას აუწიე სახნისსაც უმარჯვე გუთნის-დედაო;
ყამირის ბელტო ნუ ნაზობ; გადადი ზედი-ზედაო!
შენი ჭირიმე გუთანო, ნაკურთხო მაღლა ღვთისაო,
მოხან, მოთესე ხორბალი, მოგვიმკო სარჩო წლისაო!
«გადი-გამოდი გუთანო, ღირღიტავ ბანი უთხარო»
სახნის-საკვეთო გაუსვი, რომ კაჭკაჭს ძირი უთხარო!

თ. რაფ. ერისთავი.

## ჭ მ უ ნ ვ ა.

(მიბაძვა)

დაღამდა, მისწყდა ხალხის ყაყანი,
მთა-ბარს გადეკრა ღამის წყვდიადი,
აღარ სჩანს ქვეყნის ბოროტებანი,
მაგრამ ჩემს გულს კი ჰკლავს ხვაშიადი.
შუბლით ჩამომდის ოფლი წურწურით,
შრომით დამაშვრალს მიკვნესის გული,
ისღა მაქვს ფიქრად, რომ ღამე მაინც
ვიყო უდარდო, მოსვენებული.
მაგრამა ხვალა? ხვალაც ამ გვარად
შრომისა ოფლი უნდა დავღვარო;
რომე ჯალაბი ღვთისა ამარად
ულუკმა-პუროდ არა დავყარო.

—

სანთელიც გაჰქრა, აღარა ბჟუტავს,
ჩემს ოთახშია სუფევს დუმილი;
დიდი ხანია სუყველას სძინავს,
მაგრამ ჩემთვის კი სად არის ძილი!
არა! იქ ძილი არ შეიძლება,
გული-გონებაც ვერ მოისვენებს,
როდესაც ღამეც ის გაგონდება

თუ რით დაარჩენ შენს ცოლსა, შვილებს.
როდესაც ხვალაც ისევ ამ გვარად
ოფლი წურწურით უნდა გდიოდეს,
ხარისავითა შრომობდე მარად,
მაგრამ მაინც კი ისევ გშიოდეს.

—

რათა? რისათვის? რის მაქნისი ხარ,
ჰოი სიცოცხლევ ბოგანო კაცის?
თუ კი ის მარად მომდურავია
თავის ბედისა, ქვეყნისა და ცის.
თუ კი მას ტანჯვა წილად ხდომია,
თუ შეაქცია ზურგი შვებამა,
შესწყდი სიცოცხლევ,—ბევრად სჯობია,
რომ მოისვენოს გულ-გონებამა.

ი. ბაქრაძე.

## პოლიტიკური მიმოხილვა.

5 სეკტემბერს მოსულმა ტელეგრამამ გვაცნობა არაბი-ფაშის დატყვევება ქაირში. შესწყდა სისხლის ღვრა ეგვიპტის ცხელს და ქვიშიან ნიადაგზე: თავისუფლების და დამოუკიდებლობის დამცველნი ეგვიპტელნი დაძლივნენ ინგლისელების მიერ. არაბი-ფაშას, მათ მოთავეს და წარმომადგენელს ელის განსჯა ახლანდელს ქედივისაგან, რომელსაც ძლიერად უჭირავს ეგვიპეტი და ეგვიპტის ხალხის ბედი. დღეს მას ისე მოექცევიან, როგორც მეამბოხეს და მოღალატეს ქვეყნისას, როგორც ურჩს ქვეშევრდომს მტარვალის, მაგრამ კანონიერის ბრძანებულის ტევფიკისას.—ვინ მოგცა უფლებაო, ეტყვიან ულირსნი მსაჯულნი ღირსეულს დამცველს სამშობლოისას, ეროვნულს გმირს არაბის, რომ შენ აღმხედრდი შენის ქვეყნის მტარვალთა წინააღმდეგ? რად არ დადუმდი და არ ჩაიკალ გულში სიყვარული შენის მშობლის ქვეყნისა, როცა უცხო თესლის ერნი მას აღატკეპნდენ, ჰგვემდენ, ეკონომიურის მონობის ბორკილით სჭედდენ და პოლიტიკურს თავისუფლებასაც ცოტ-ცოტათი ხელიდამ ჰგლეჯავდენ უარესად დაჩაგვრისათვის? არაბი გაიკვირვებს და შეკრთება.—მე მეკითხებიან: ვინ მოგცა უფლება, რომ შენს მტერს მტრულად მოექცე, ქვეყანა მონებაში ჩავარდნილი გაანთავისუფლოო?! გაივლებს იგი მწარედ გულში.

მაგრამ ეს ბრძენნი ჟამსა ბჭობისასა არაბის მედგარს გარეგანს გულ-გრილობას ყურადღებას არ მიაქცევენ და კვლავ

ეტყვიან: გქონდა უფლება, ხელთ-გეპყრა იურიდიკულად შემოწმებული და კანონიერად დამტკიცებული მონდობილობა, რომ ხალხს თვალი აეხილე, ეროვნული ცნობიერება განუმტკიცე, ჯვარი მიიმხრე, მოძრაობა აღსძარ და ქვეყნის თავისუფლება ქმნეო?—განმეორებით ჩაეკითხებიან ბრალდებულს უღირსნი მამულის შვილნი, იუდანი და სამშობლოს გამყიდველნი ინგლისის რამდენიმე გირვანქა სტერლინგზედ. გვიგე პასუხი, რაზამეს, იმართლე თავი ნუღარ აყოვნებ, თორემ დახვრეტა და შენი ჯანიო, დაემუქრება უზენაესი სამსჯავრო და ასრულებს კიდეც თავის მუქარას.

აი სურათი, რომელიც დღეს თუ ხვალ ქაირის რომელსამე სრა-პალატაში იქმნება გამართული. ეს არის აწინდელი სამართალი! ეს არის ქებული მეცხრამეტე საუკუნის ზე-აღმატებულის ცივილიზაციის შთაგონება, ველურთა გასანათლებლად გამართულის ექსპედიციის შედეგი ხარბ და გაუმაძღარ ინგლისელთა მიერ! ეჰ, რა გაეწყობა! ჩვენის გამწარებულის პოეტისა არ იყვეს, მართლაც და

«საწყალი არაბი-თვაშა
უბედური და მზე-ბნელი!
ნეტავ ვის ეურჩებოდა
თავისუფლების მძებნელი?»

მაგრამ დავანებოთ თავი მას, რასაც ჩვენ კერძოდ ვგრძნობთ 5 სეკტემბერს მიღებულის ტელეგრამის შემდეგ. გულშივე დავიბრუნოთ და ჩავიკლათ ის ცეცხლი, რომელიც არა ერთისა და ორის ქვეყნის გატაცებულს პატრიოტს და მის თავისუფლების მოტრფიალეს დასწვამდა და დაადნობდა; თორემ შეიძლება ჩვენც გვწვდნენ ქეჩოში და მოგვთხოვონ დასტურის ქაღალდი მასზედ, გვაქვს თუ არა უფლება, რომ ვგრძნობდეთ

უსამართლობას და ხმა-მაღლა აშკარად ვღაღადებთ ბარბაროსობაზედ.

ჩვენ ვეცდებით გულ-დინჯად და დალაგებით მოვუთხრათ მკითხველს იმ დრამის მოქმედება, რომელიც ასე სავალალოდ და ტრაღიკულად გათავდა ეგვიპტის ეროვნულის მოძრაობისათვის, მხოლოდ აქ აღარ გავიმეორებთ იმას, რაც უკვე ვთქვით ეგვიპტის საზოგადო მდგომარეობაზედ და ევროპისა და მის ერთი-ერთობაზედ «ივერიის» წარსულს წიგნში. აღარც მასზედ შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას, როგორ, რა მიზეზით და რა საბაბით დაიწყო ინგლისსა და არაბი-ფაშას შორის ბრძოლა. ვისაც ორი ნომერი გაზეთისა მაინც აუღია ხელში და გადაუთვალიერებია თავიდამ ბოლომდის ამ სამის და ოთხის თვის განმავლობაში მიხვდებოდა საიდამ და როგორ წარმოიშობა ესრედ-წოდებული ეგვიპტის საქმე.

ჩვენი სურვილია მოკლედ მიმოვიხილოთ უკანასკნელი ხანა არაბის ბრძოლისა ინგლისელთ წინააღმდეგ ეგვიპტის დაუმოკიდებლობისათვის და, რამდენადაც შევიძლებთ ვრცლად ავხსნათ, ვინ არის არაბი-ფაშა, რა საწადელისთვის იბრძოდა იგი უკანასკნელ ღონისძიებამდე, რადგან ამას არა მცირედი მნიშვნელობა და საგულისხმიერო აზრი აქვს ყველასთვის საზოგადოთ და ჩვენთვის ხომ კერძოდ უფრო მეტი.

კაფრდოვარში დაბანაკებული არაბი, შვიდ ვერსზედ ქ. ალექსანდრიიდამ მედგრად შეუდგა მომზადებას ინგლისელთა დასახვედრად. დღე-და-ღამ განუწყვეტლივ მზადება იყო არაბის ურდოში: ამაგრებდენ ზარბაზნებს, აგებდენ თხრილებს, აგებდენ მიწის სიმაგრეებს და ამზადებდნენ მეორე პლევნას ინგლისელთათვის. ინგლისელებმა ეს შენიშნეს და მჭკვრი [illegible] და დაიწყეს; მაგრამ კაფრ-დოვარის აღება იერიშით ვერ გაბე-

დეს. სათარეშოთ გასული ეგვიპტისა და ინგლისის მოწინავე წვრილ-წვრილი რაზმები შინჯავდენ ერთმანერთის ძალას, ტყუ-ბულობდენ ბანაკების ვითარებას და პატარ-პატარა შეტაკების შემდეგ ბრუნდებოდენ თავ-თავიანთ ალაგას. ბოლოს, როცა ინგლისელთ საკმარისი ჯარი მოეშველათ ინგლისიდამ და მათ ინდოეთის საბძანებლიდამაც დაიძრა ინდოეთის ლაშქარი, ებ-რძანათ მხედართ-მთავრის ვოლსლეის მიერ აბუკირიდამ იერი-შით მისვლა კაფრ-დოვარის ასაღებად. ყველამ იცოდა, რომ აი დღეს ან ხვალ გადასწყდება არაბის ბედიო. მაგრამ ეს გან-კარგულება ვოლსლეისა, თურმე ნუ ბძანებთ, სამხედრო ხერხი იყო და არაბის თვალის ასახვევად იყო მომხდარი. ნამდვილი ბრძანება და განკარგულება ინგლისელის სარდლისა სულ სხვა კონვერტებში იყო შეკრული და დარიგებული ჯარის უფროს-თათვის. თითქმის თვე გავიდა ამ ცდაში და აი ამის შემდეგ, როცა ვოლსლეი სრულიად მზად არის თავის საიდუმლო გან-ზრახულება შეასრულოს, როცა არაბი, გულ-უბრყვილო და წმი-და საქმისათვის მებრძოლი, მოუთმენლად ელის მასთან შებმას კაფრ-დოვარში, ვოლსლეის ბძანებით გახსნილ იქმნა კონვერ-ტები მის ხელ-ქვეითების მიერ, რომელშიაც ჰპოვეს სასტიკი მიწერილობა: ეხლავ დაემზადეთ და გასწით პორტ-საიდისკენ და სუეზის არხზე რაც სიმაგრეებია, ყველა დაიჭირეთო. თქმა და ქმნა ერთი იყო. ინგლისის ჯარი უეცრად, მოულოდნელად სუეზის არხის პატრონი გახდა და კაირისკენ გზა გინაღამ პირ-ველადვე ხელში ჩაიგდო, სხვა-და-სხვა დაბრკოლება რომ არ აღმოჩენოდა. ან სურსათი რომ საკმაოდ ჰქონოდათ, ან მის გა-დასაზიდი ღონისძიება ყოფილიყო, ორისა და სამის კვირით ადრე დაიჭერდენ კაირს ინგლისელნი. პატარ-პატარა პიკეტები და გარდონები ჰყვანდა, მართალია, სუეზის არხის დასაცველად

არაბი-ფაშას, მაგრამ იმით, რასაკვირველია, მთელის ლაშქარის შემაგრება არ შეიძლებოდა, მით უმეტეს, რომ ინგლისის ჯარს, აქ ინდოეთის ქ. ბომბეიდამ მოსული ჯარიც მოემატა. არაბიმ კარგად იცოდა, რომ აღმოსავლეთით და სუეზის არხით, შეიძ-ლება, ინგლისელები დამეცნენო და, ამისათვის გაამაგრა ზაგა-ზიგი და ტელ-ელქებირი, რომელთ დასავლეთ მდ. ნილოსის არე-მარე იწყობა, სავსე ხნულებით, არხებით და რუებით. არა-ბიმ კაფრ-დოვარში სარდლობა ცოტაოდენის დარჩენილის ჯა-რისა მიანდო ტულბა-ფაშას. თავად ტელ-ელ-ქებირთან დადგა, იმ იმედით, რომ თუნდაც რომ ვერას გახდე, სექტემბრის ნახევრამდის მაინც შევიმაგრებ ინგლისელებს, ვიდრე ნილოსი მოვარდება და სულ დაიჭერს ქაირისკენ გზებსა დ ადგილებს, რომელზედაც ინგლისელები ვეღარას გააწყობენ უხიდოთ და უბოგირებოთაო. ხოლო ამ უკანასკნელებსაც მე დავშლი და ავი-ღებ, როცა უკან დავიხევ და ქაირისკენ გავემურები უკანასკნე-ლის სიმაგრის აგებისათვისაო. მაგრამ მკითხველს ეცოდინება, როგორ გაუმტყუნდა იმედი არაბის. მისი ჯარი ზედი-ზედ დამარცხდა ზაგაზიგთან და ტელ-ელ-ქებირთანაც.

ამ უკანასკნელს ალაგას თითქმის 30.000 ჯარი ჰყავდა შეკროვილი არაბის, ეჭირა კარგი სიმაგრენი, ჰქონდა კარგა ბლომად ზარბაზნები. მაგრამ არაბის ჯარი ნახევარზედ გაუ-წვრთვნელ რაზმებისგან შესდგებოდა, რომელნიც სიმედგრეს დ დადგრომილობას საზოგადოდ ძნელად გამოიჩენენ ხოლმე გაც-ხარებულის ბრძოლის დროს. ხოლო ბრძოლის გაცხარება სა-შინელი იყო ტელ-ელ-ქებირთან. ინგლისელნი თავ-დაუზოგვე-ლად და სიმამაცით იბრძოდენ. არაბმაც ცხარე მონაწილეობა მიიღო ომში, მაგრამ ყოველივე მისი ცდილობა ამაო შეიქმნა.

ეგვიპტელთ ლაშქარი შედრკა და ბოლოს გაფანტულ იქმნა სრუ-
ლიად.

ამ სახით დამარცხდა არაბი და დღეს თვითონაც ტყვედ
არის შეპყრობილი. ეგვიპტელთ ეროვნული მოძრაობა და პარ-
ტია განქარდა დროებით და იქნებ სრულიადაც. არაბის ჩაეშალა
ის პლანები დამოუკიდებელ ეგვიპტის შექმნისათვის, რომელიც
მას და მის პარტიას მოსვენებას არ აძლევდა.—მაინც რა უნ-
და ეგვიპტის ნაციონალურს პარტიას? ეკითხებოდა არაბის იტა-
ლიელი კორესპონდენტი ომის წინედ.—მას ისევ უნდა, რაც
თქვენ, იტალიელებს გინდოდათ, როცა თქვენის ქვეყნის განთა-
ვისუფლებაზე ფიქრობდით და იტალიის ერთობისათვის ზრუ-
ნავდითო, მიუგო არაბიმ.—იტალიელებისთანად ჩვენ ვერავინ
უნდა თანაგვიგრძნობდეს, რადგან ჩვენ იმას ვეძებთ, რასაც
თქვენ ამას წინათ ეძებდით და უკვე ჰპოვეთ კიდეცაო, უთხრა
მან ბოლოს კორესპონდენტს.

ვინ იცის, იქნებ ეგვიპტი სრულიად ევროპიელთა ლუკ-
მად არ გადიქცეს, იქნებ როდისმე შემდეგ კვლავ აღიძრას უფ-
რო მტკიცე და მედგარი ეროვნული მოძრაობა ევროპის და-
მოკიდებულებიდგან განთავისუფლებისათვის, რომელიც ეხლა
ეჭვი არ არის, მას ძალიან მძიმე ტვირთად და უღლად დააწვება.
თითქმის ინგლისის ბედი და უბედობა, როგორც მთლად ევ-
როპიულის აღებ-მიცემობისა, იქ, ეგვიპეტში სწარმოებს სუ-
ეზის არხის წყალობით. იქნებ ეგვიპეტს ხმა აღარც კი ამო-
აღებინონ, კრინტი აღარც კი დააძვრევინონ, ისე ამოჰხრ-
ჩონ და გადააშენონ ნელ-ნელა ეგვიპტელნი. ეხლა იბრძვის
ერი და ქვეყანა ხმლისა და ცეცხლის შემწეობით კი არა, უფ-
რო კულტურის შემწეობით. ეხლა ჩუმი ბრძოლა სწარმოებს
ხალხთა და ქვეყნებთ შორის, რომელსაც კულტურულს ბრძო-

ღას ეძახიან. კულტურა მაღალი და განვითარებული სძლევს და სჩაგრავს ან სრულიად ჰკლავს კულტურას პირვანდელს, პირველ-ქმნილს, განუვითარებელს. მარტო უკვე მიკარება განათლებულთა, გაუნათლებელთა და ნახევრობით ველურ ხალხთან, უსპობს ამ უკანასკნელს ყოველს საშუალებას არსებობისას და ამ სახით იგი ეძლევა გადაგვარებას, დაუძლურებას, ზ ხან სრულიადაც გადაშენდება და აღიგვება ხოლმე დედა-მიწის ზურგიდამ. ამის მაგალითი ათასია. 4 და 5 მილიონ წითელ-კანიან ინდოელთაგან ამ 60 და 80 წლის წინად ამერიკაში, ახლა ძლივს რამდენიმე ათასი სული-ღაა დარჩენილი. ტუნისელნი და ალჟირელნი დაუძლურებას ეძლევიან და უკვე მათ გადაშენების ნიშნები შეინიშნება ეხლა. ესე მოელის ეგვიპტელს ხალხს ევროპიულ კულტურის შეხებით. დიდი ცდილობა, გამრჯელობა და განათლების სურვილი უნდა გამოიჩინოს ეგვიპტეს ერმა, რომ წინააღუდგეს ამ ჩუმს, უხილავს და მძლავრს მტერს. ერთი გონიერთაგანი საშუალება ამისი არის შრომა და ჯაფა მათის მხრით თავიანთის კულტურის გაუმჯობესობისათვის, რომ მას შეეძლოს ცოტად თუ ბევრად წინააღუდგეს თითქმის ცამდის განვითარებულს ევროპიულს კულტურას და მას არ დაეჩაგვრინოს.

ჩვენთვის, ქართველთათვის, როგორც ძლიერ განუვითარებელის კულტურის მქონეთათვის, ამ გარემოებას და ისტორიულს კანონს დიდი მნიშვნელობა აქვს და დიდი საგულისხმიერო შთაგონებაც შეგვიძლიან შევიძინოთ ამ გვარის მაგალითებით და ეგვიპტისა, თუ ტუნისის ცხოვრების დაკვირვებით.

დასასრულ, ჩვენ გვსურს აღვნიშნოთ ერთი გარემოებაც, რომელიც შეეხება ეროვნულის მოძრაობას საზოგადოთ

არაბებისას ოსმალთა წინააღმდეგ. ეს გარემოება, რომელიც საბუთად ჩაითვლება საზოგადოთ აზიურ ხალხთა ეროვნულის გამოფხიზლებისა, მეტს სიმტკიცეს აძლევს იმ აზრს, რომ ჩვენი დრო და საუკუნე მართლაც ეროვნობის მოძრაობის დრო და საუკუნეა. ამ საუკუნეში გაჩნდა და დაიბადა გაერთიანებული და განთავისუფლებული იტალია, სერბიის სამეფო, ბოლგარიის სამთავრო, უფლებით ნემეცებთან გათანასწორებული ჩეხია და სხვა. ჩვენ გვგონია უახლოესი განზრახვა და საგანი ირლანდიელთ მოძრაობის მოთავეთაც ეროვნული თავისუფლება და დამოუკიდებლობაა ირლანდიისა, როგორც ეს ცხადათ და გარკვევით აღიარა პარნელმა (Англія и Ирландія ჯ. ს. მილისა). ესე გვარი მოძრაობა ახლა აზიაშიაც იჩენს თავს. ჩვენ არა გვგონია დაგვემდუროს მკითხველი, რომ ეს პოლიტიკური მიმოხილვა გავათავოთ იმ წერილით, რომლითაც მიუმართავს არაბთადმი ამ ხალხის უფლების დამცველ საზოგადოებას. ეს წერილი და მიმართვა არაბთადმი ოსმალთა მფლობელობის წინააღმდეგ ამტკიცებს იმას, რომ ერთმორწმუნეობა სრულებით ვერ დადება საფუძვლად სახელმწიფოს ცხოვრებას, რომ ამ საფუძვლად არის მხოლოდ ერთგვარობა ინტერესებისა და ეროვნულ მისწრაფებათა.

აი თვით მიმართვაც.

«ჰოი, მუსულმანნო! მრავალი საუკუნე გავიდა მას აქეთ, რაც არაბთა ტომი, და მათ შორის მუსულმანებიც და ქრისტიანებიც, ითმენენ ოსმალთაგან მრავალ გვარს შევიწროებას. ამ უსამართლობამ და შევიწროებამ დასჩაგრა და დასცა ჩვენი ქვეყანა და თითონ ჩვენ ჩაგვყარა სამწუხარო და საცალო მდგომარეობაში. ამის მიუხედავად ოსმალები მაინც გვართმევენ და გვახდევინებენ ხარჯსა ლაშქრობისა და ომისა-

ფვის, ამ მიზეზით და საბაბით, ვითომ ეს ომი და ლაშქრობა ჩვენის უფლებისა და ჩვენის ქვეყნის ინტერესების დასაცველად არის საჭირო. ცოტა ამას წინად ოსმალნი აწუხებდნენ თავიანთ ხელ ქვეით ბოლგარელებს და ბერძნებს და ყოველწლივ ართმევდნენ ხარაჯას ჩერნოგორელებს, სერბიელებს და სხვათა. მაგრამ ახლა კი, როცა ჩერნოგორელებმა, ბოლგარელებმა და სხვებმა დამოკიდებლობა და თავისუფლება მოიპოვეს და ოსმალთაც აღარ შეუძლიათ სწოვონ სისხლი, იგინი ახლა არაბეთის ხალხს მოესივნენ და ჩვენ დაგვიწყეს ცქერა თავის ხარბის თვალით; ახლა მათ ჰსურთ, რომ უარესად დღე დაგვაყენონ, ვიდრე ამ ექვსის საუკუნის განმავლობაში ვითმენდით მათგან.

«მაშ, ჰოი, არაბნო! მოიგონეთ, რომ უკანასკნელი ომი რუსეთისა, სერბიისა და ჩერნოგორიის პირის-პირ თქვენის სისხლით და თქვენის ქონებითა სწარმოობდა; ოსმალნი თქვენ შვილებს ჯარში წინ აყენებდენ ომის დროს და ომი კი რომ გათავდებოდა და საქმე დასაჩუქრებაზე მივარდებოდა, უკან აყენებდნენ. ეს კიდევ რა არის! ისინი მათ მხდალებს ეძახდნენ და მუხთლობასა სწამებდენ და ამბობდენ, რომ «ფელახები» (გლეხები), ე. ი. არაბები თითებს იჭრიან და იხსეპავენ, რომ იქნებ ომში არ წაგვიყვანონო. ჩვენ ერთხელაც ვერა ვხედავთ ჩვენ გმირებსა და ვაჟ-კაცებში, რომ მისთვის გაემეტნათ და მიეცათ ან ჩინი «ლივა», ან «ფერიქი», ან «ემირ-ალაი», როდესაც რომ ეს ჩინები ეძლეოდათ ოსმალოებს, რომელნიც არიან მოღალატენი თავიანთ სამშობლოსი და ქვეყნისა; რომელნიც მტერსა ჰყიდიან თავის სახელსა და ღირსებასა. ჩვენი შვილები კი, რომელნიც გადარჩნენ და მშვიდობით დაბრუნდნენ მცირეოდნად, ბოლოს თავიანთ ვაჟ-კაცობისა და გულოვნობისათვის

ვინ იცის რა მეურაცხ-ყოფასა და წყენას არ ითმენდნენ. მათ შორის დაჭრილი და დაკოდილი ვინც იყო, იმას მიანება მთავრობამ თავი და დასტოვა ცარიელ-ტარიელი, ულუკმა-პუროდ.

«ამაშ, ჰოი, მუსულმანნო! მოიგონეთ თქვენნი მამა-პაპანი; მათი თავ-განწირულება, ღირსება, სიმამაცე და ქველობა, შეჰხედეთ ახლა თქვენ სამწუხარო მდგომარეობას და მერე დააკვირდით იმათ კეთილ-დღეობას, ვინც განთავისუფლდა ოსმალთ მონებიდამ და მოიპოვა დამოუკიდებლობა. შეჰხედეთ მათ, რა ბედნიერებაში და განცხრომაში არიან. მოიგონეთ, რა უსამართლობით გეპყრობიან თქვენ ოსმალონი. ვიდრემდე იქნებით უზრუნველნი და არ გაანძრევთ ხელს? განა თქვენ არ იცით, რომ ბერძენთან ომის გათავების შემდეგ, ოსმალოს მოხელეთ აღარ შეეძლებათ მისი შევიწროება და თქვენ დაგიწყობენ სისხლის წოვას, შეურაცხ-ჰყოფენ თქვენ ცოლებსა და შვილებს, გაგცარცვენ, ოხრათ დაგირჩენენ ყველაფერსა და დაგსვამენ ცარიელზედ? იგინი მოგთხოვენ ხარჯსა და გადასახადსა იმ საბაბით, ვითომ თქვენი ქვეყანა უნდა დავიცვათო და ის კი არა თუ თქვენს ფულსა და შეძლებას გაჰფლანგვენ და გარყვნილობისათვის მოიხმარებენ. და როცა დაგალევინებენ სისხლს ბრძოლის ველზედ, მიჰყიდიან თქვენს მიწა-წყალს და მამულებს ბერძნებს და გეტყვიან: «ასე მოიტანა ბედმაო, ასე განაწესა განგებამაო».

«ამაშ, ჰოი, მუსულმანნო! ნუ მოსტყუვდებით ნურავისაგან, შეჰხედეთ ლივანელთ და სხვათა, რა ბედნიერებაში არიან. განა თქვენ შეგიძლიათ მეასედი მათ ბედნიერებისა შეიძინოთ, უკეთუ სისხლს არ დაჰღვრით დამოუკიდებლობისათვის? მიაქციეთ ყურადღება სერბელებს და ბოლგარელებს და თვით რუმელიის მცხოვრებლებსაც, რომელთაც ესლა თავიანთ შორის

ჰყავთ ამორჩეული ემირებიც, ვეზირები, აფიცრები და სხვა მმართველნი და გამგებელნი. რანი არიან ისინი და რანი ხართ თქვენ? ვინ არის ეხლა თქვენგანი ან ემირი, ან ვეზირი და ან მუდირი? თქვენ ეხლა ყველანი თანასწორად გაღატაკებულნი ხართ და დიდებული თქვენში ისე დამდაბლებულია, როგორც უბრალო გლეხი. თქვენი ქონება და დოვლათი, თქვენი მერმისი და მომავალი — სუყველა ოსმალების ხელშია. შეჰხედეთ, როგორ შეიძინეს დამოუკიდებლობა კრიტის კუნძულის მცხოვრებლებმა.

«მაშ, ჰოი მუსულმანნო! დევნო და გმირნო არაბის ტომისანო, ეძიეთ დამოუკიდებლობა! თქვენი წინა-პარნი დამოუკიდებელნი იყვნენ. იგინი ქებულნი იყვნენ ომში და ლაშქრობაში, თქვენ კი დაუდევრად ჰკიდებით თქვენს უფლებასა, გულგრილად შესცქერით თქვენს მოვალეობას. თუ კიდევ აგრე დაუდევრათ მოიქცევით, ინანებთ ბოლოს.

«თქვენც, ჰოი სირიელნო ქრისტიანენო! შეერთდით მუსულმანებთან და მოემზადეთ ერთად დამოუკიდებლობის დასაცველად... შეერთდით ერთ-გულობით და ერთ-სულობით თქვენს ძმებთან, მუსულმანებთან, რადგან თქვენც მათთან ერთი და იგივე საგანი გიდგათ წინ და ერთი და იგივე საწადელი გაქვთ.

«მაშ, ჰოი მუსულმანნო და ქრისტიანენო, ჩვენი გამარჯვება და ოსმალთა ბატონობიდამ განთავისუფლება დამოკიდებულია ჩვენს ერთ-გულობაზედ და ერთ-სულობაზედ. თქვენ იცით ახლა, როგორ აღადგენთ არაბთა დაჩაგრულს ვინაობას და ეროვნობას. ეს უკანასკნელი ომი იქნება, ვინძლო ეცადოთ, თორემ მერე ინანებთ...»

«დაწერილია შვიდმეტს რიცხვს თთვესა რაბი-ატანისას, ათას ორას ოთხმოც-და-თვრამეტ წელსა.»

«არაბთა უფლების დამცველ საზოგადოებისაგან.»

ჩვენ ცოტაოდნად შევამოკლეთ ეს მიმართვა, მაგრამ მაინც მკითხველი მიხვდება, რომ ეს წერილი ჩვენ სრულიად ტყუილა-უბრალოდ არ მოვიყვანეთ აქ. ჩვენ გვგონია, რომ-ამ წერილსაც არა ნაკლები საგულის-ხმიერო შთაგონებას შეუძლიან მოგვცეს. იგი ჩვენ აშკარად გვამცნევს, რომ თვალები არ უნდა ავიხილოთ და არ უნდა დავბრმავდეთ იმით, რომ ესა და ეს ხალხი ჩვენ თავის დღეში არ გვეწინააღმდეგება, რადგან ერთ-მორწმუნენი ვართო, ესა და ეს ერი ჩვენ მტრად არ მოვა, რადგან თანა-მორწმუნე ერს შევადგენთო, უკეთუ ჩვენ ამას ვერ მივხვდებით, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ჩვენ პოლიტიკურად სრულიად გაუწვრთნელნი ვყოფილვართ, პოლიტიკური ალღო არ აგვილია და ქსრედ-წოდებულს პოლიტიკურს non-sens'-ს სრულიად მოკლებულნი გხლებივართ.

# შინაური მიმოხილვა.

ნიშანი ერის ჰასაკში მოსვლისა—როდის უფრო უტყუარია ეგ ნიშანი—ევროპა წინაშე მისთა მოღვაწე კაცთა—რუსეთის მაგალითი—იგივე მაგალითი ჩვენში—აკაკი წერეთელი გორსა და თელავში—მისი სიტყვა—ანდერძი ჩვენის მამა-პაპისა—გაუმარჯოს!

---

როცა ერი ყოველს მოვლინებას და საქმეს მის გარეშე მომხდარს, ყოველს ნახულს, გაგონილს და ყოფილს საზოგადო მნიშვნელობისას გონებით დააკვირდება, ღირს-სახსოვარს, ავსა თუ კარგს, ხსოვნისათვის ანუსხავს, გულში ჩაირჩენს და სასწორზედ ჰსწონს ფასის დასადებლად, მაშინ პირ-და-პირ და უტყუარად შეიძლება კაცმა ჰსთქვას, რომ იგი ერი გონებითად ჰასაკში შედის, ჭკუა, გული და ცნობიერება დასძრია მოქმედებისათვის და ფეხი შინიდამ გარედ გამოუდგამს კაცურის ცხოვრებისათვის. ეს ნიშანი მაშინ უფრო ნამეტანად უტყუარია, როცა ესეთი ყურადღება ერისა მიიქცევს ხოლმე იმისთანა კაცზედ, ვისაც რაიმე ღვაწლი მიუძღვის ერის წინაშე. ამისთანა კაცის დაფასება და დამსახურებულის პატივის ცემა ცხადი მაგალითია, რომ ერის გონების თვალი ახილებულია.

განათლებულმა ევროპამ დიდი ხნის ჩვეულებად მიიღო ამისთანა კაცების მიმართ პატივისცემის და სიყვარულის გამოცხადება საჯაროდ, საქვეყნოდ. ვის არ ახსოვს გარიბალდის სადღესასწაულო მსვლელობა იტალიაში, მინამ ცოცხალი იყო; ვის არ ახსოვს საქვეყნო გლოვა იტალიისა, როცა იგი დიდებული გმირი იტალიისა მიიცვალა? ვის არ ახსოვს ვოლტერის სახსოვრად გამართული დღესასწაულობა საფრანგეთში, ვიქტორ ჰიუგოს ოთხმოც წლოვანობის იუბილეი და სხვა ამგვარნი? ვის არ ახსოვს რა დიდებით, რა თავ-მოწონებით საქვეყნოდ აღიარა საფრანგეთმა თავისი გულითადი პატივისცემა,

რა მხურვალე გრძნობით გამოაცხადა თავისი გულწრფელი მადლობა ამა თვისთა მოღვაწე კაცთადმი მადლიერებით სავსე გულმა მთელის საფრანგეთისამ! ვის არ ახსოვს შილლერის დღეობა გერმანიაში? სწორედ დღეობა იყო მთელის გერმანიისა და ამ დღეობით მთელმა გერმანიამ დიდებულს პატივი სცა თავის დიდებულ პოეტის გვამსა და მტვერსა. ინგლისში ცალკე სასაფლაოა, სადაც ვერც სიმდიდრე, ვერც გვარიშვილობა, ვერც დიდ-კაცობა ადგილს ვერ შოვობს და სადაც მარტო სასქლოვანთა ინგლისელთა, გამოჩენილთა ლიტერატურაში, მეცნიერებაში, ერის სამსახურში უკანასკნელი სადგური ეძლევათ ხოლომე მადლობელის ერისაგან, სადაც დასაფლავება ყოველს ინგლისელს სანატრელად და სასახელოდ მიაჩნია და სადაც ყოველი ინგლისელი თაყვანებით თავს იხრის ხოლმე და მუხლს იდრეკს თავისის ერის დიდებულთა წარმომადგენელთა მტვერის წინაშე.

იქ, ევროპაში ერისათვის მოღვაწე კაცი არამც თუ მარტო ქვეყნის სახელი და დიდებაა, არამედ თვითეულის შემამულისაცა ცალკე. იქ თვითეული მამულის-შვილი ისე უფათხილდება ერისათვის მოღვაწე კაცის სახელსა, პატიოსნებას, დიდებას, როგორც საკუთარის თავისას. იქ იქნება საკუთარის თავისათვის ისე არ გამოიდოს თავი კაცმა, როგორც მისთვის, ვისაც ერისათვის შრომა გაუწევია, ვინც ქვეყნისათვის, მამულისათვის შეძლებისამებრ გარჯილა, რომელსამე საქვეყნო სარბიელზედ ფეხი მოუკიდებია და თავისის ნიჭით, ცოდნით, მეცადინეობით უმსახურნია და რაიმე კვალი დაუმჩნევია. იქ გამოჩენილის კაცის სახელით თვითეული მისი თანა-მემამულე თავს იწონებს, თითქო ის სახელი მისი საკუთარი სახელი იყოს. თავის-თავის გაუპატიურებას ირჩევს, დასთმობს და თავისის ქვეყნის გამოჩენილის კაცისას კი არა, თავს შეაკლავს იმას, ვინც კი გაბედავს და უპატიურად ახსენებს მისის ქვეყნის სახელოვან კაცს.

შორს რად მივდივართ? აი თვითონ რუსეთი ავილოთ მაგალითად. ჯერ ჩვენ ხსოვნაშივე თავის გამოჩენილთა კაცთა

არავითარს ყურადღებას არ აქცევდა რუსეთი და თუ რამ პატივისცემა ჰქონდათ, ისიც ორიოდე კაცისაგან, რომელთაც ესმოდათ ფასი საქვეყნოდ მოღვაწის კაცისა და ამისთანა კაცების ჩამოსათვლელად ადამიანისათვის ათი თითი იყო სამყოფი იმ ოთხმოც მილიონს ხალხში. ახლა კი თვითონ რუსეთმაც თვალი აახილა, იგრძნო თვისი უმადურება თვისთა მოღვაწე კაცთადმი და ჩვეულებად მიიღო ყოველს შემთხვევაში მათდამი პატივისცემის გამოცხადება საქვეყნოდ. ნეკრასოვის, დოსტოევსკის დასაფლავებაზედ მოსკოვმა და პეტერბურგმა დიდი გულის-ტკივილი და მადლობა გამოაცხადეს მათდა ღვაწლისათვის. ახლაც ცოცხალის ტურგენიევის იუბილეი საქვეყნოდ იდღესასწაულეს, მისი ღვაწლი ლიტერატურაში თავ-მოწონებით გაჰსთქვეს და ადიდეს. ყოველმა კერძომ რუსეთისამ ამ ხაერთო მადლობის ხმას ბანი მოჰსცა. პუშკინის სახსოვრად მადლობელმა რუსეთმა ძეგლი აამართა მოსკოვში და ამ ძეგლის აამართვის დღე დიდის ყოფით და დიდის ამბით გადაიხადა. უკეთესნი კაცნი რუსეთისანი ამ დღესასწაულზედ დაესწრნენ და ვისაც როგორ შეეძლო ისეთი პატივი, ქება და დიდება შეასხეს ამ პოეტს, რომელმაც პირველად დაანახვა რუსეთს სიტურფე და სიტკბო რუსულის ლექსისა და სიტყვიერებისა. რუსეთის ლიტერატურამ თავ-მოწონებით შეიტანა თავის მატიანეში ეს ამბები, სასიქადულოდ მიიღო ამისთანა ყოფა და თითქმის ერთ-ხმად წარმოჰსთქვა, რომ ჩვენ ამ ამბავში ვხედავთო ნიშანს ჩვენის განვითარებისას, ჩვენის ზნეობის და გონების ამაღლებისას, ჩვენის ცხოვრების აღმატებისასაო.

ჩვენდა სასიხარულოდ ჩვენშიაც თითქმის ჩვეულებად შემოდის პატივისცემა ერისათვის გარჯილ კაცისა, საჯაროდ მადლის გადახდა მისი, ვისაც ერისათვის სამსახური რამ გაუწევია, შრომა დაუდვია, სიტყვით თუ საქმით შეუწევნია თავის მამულსა და მემამულესა. ამისი მაგალითი ბ-ნ აკაკი წერეთლის მოგზაურობაა ამას წინად გორში და ამ ბოლოს ჟამს კახეთში. ერთგან და მეორეგანაც შესაბამის პატივით დახვედრია ქართველობა თავის პოეტსა და პირუთვნელის სიტყვით

გამოუცხადებიათ თავისი მადლობა და პატივისცემა მისთვის, ვინც ტკბილის და გრძნობიერის სიტყვით ამ ოც-და-ხუთს წელიწადში ატკბობდა ქართველის ყურს, აფხიზლებდა გონებას და ჰმართავდა ქართველის გულს ქართველისა და საქართველოს სიყვარულისათვის. ამ სიყვარულის აღორძინებაში ბ-ნ აკაკის გამოჩენილი ადგილი უჭირავს ჩვენს ლიტერატურაში. ბედნიერია, ჩვენის ფიქრით, აკაკი, რომ იღვაწა და თავისის ღვაწლის ნაყოფი ცოცხლითვე თავისის საკუთარის თვალით ინახულა. ვამბობთ ინახულა, იმიტომ-რომ საქართველოს და ქართველის სიყვარულისაგან არის წარმომდგარი ის პატივისცემა, რა პატივისცემითაც დახვედრიან ჩვენს პოეტს გორსა და თელავში და ამ სიყვარულის აღორძინებისათვის თვითონ აკაკი წერეთელს არა ერთხელ დაუკვნესებია თავისი ტკბილი ქნარი, უმოქმედებია თავისი მიმზიდველი ნიჭიერება, თავისი მარილიანი სიტყვა, თავისი სიტყვიერით სავსე ქართული. სადაც წავიდა ბ-ნი აკაკი, წინ დახვდა მისგან ფრთა-ასხმული და გალონიერებული სიყვარული საქართველოსი და ქართველისა, წინ დახვდა გულ-წრფელის პატივისცემითა და მადლიერობით აღსავსე გულითა. აგრეთ თვითონვე იგემა ბ-ნმა აკაკიმ ნაყოფი თავის დანერგულისა და დათესილისა.

ჩვენ ესეთი მიღებას ბ-ნ აკაკი წერეთლისას აღვნიშნეთ როგორც საზოგადო ამბავი, როგორც სასიხარულო მაგალითი და ნიშანი ჩვენის ცხოვრების წარმატებისა. მაგრამ ამ შემთხვევაში ერთი ფრიად შესანიშნავი საგანიც არის. ეგ არის სიტყვა აკაკი წერეთლისა თქმული თელავში ვახელების წინაშე. ამაზედ მშვენიერი სიტყვა ჩვენ არ გვახსოვს ქართულს ენაზედ. ვკითხულობთ და ვიჯერით, ვიკვირთ და ვკითხულობთ არ ვიცით რას დავამჯობინოთ, სიტყვას აზრს, თუ აზრი სიტყვას,—ისე შეზავებულია, ისე შეხამებულია, ისე შეხორცებულია სიტყვიერება სიტყვისა აზრის მშვენიერებასთან. ყოველი წესი ორატორის ხელოვნებისა დაცულია და ხმარებული, რომ სიტყვამ ისე გასჭრას, როგორც მთქმელს განუზრახავს და აზრმა და გრძნობამ იმ გზით მიაღწიოს დანიშნულ ადგილამდე, როგორც

მთქმელს სურვებია.

«ღმერთმა ჰქნას შენ და შენისთანები მომავალშიაც ბევრი გვყოლოდესო», უთქვამთ ბ-ნ აკაკისათვის. «ღმერთმა ნუ გაამართლოს ეგ თქვენი სიტყვაო, უპასუხნია აკაკის: რასაც დღესა ვჯერდებით, ის ხვალ საკმაო აღარ არის ხოლმეო.» დიაღ, ბატონებო, ხვალე დღევანდელს უნდა ჰსჯობდეს, მერმისი აწინდელს. კანონი განვითარებისა და ბედნიერების იმედისა ამაშია და სხვა არაფერში. ამ იმედით რომ ხვალე უკეთესი უნდა იქმნას გულს იმხნევებს ამ დღევანდელის დღის ვაი-ვაგლახით და ნაცარ-ტუტით ტანში მოხრილი ადამიანი. ხვალე არ უნდა ჰგვანდეს დღევანდელს, თუ კაცს პროგრესსი, წინ-სვლა ადამიანისა ფუჭ სიტყვათ არ მიაჩნია. რაც არიან აწინდელნი მოღვაწენი ჩვენის ერისა ღმერთმა ამრავლოთ, დიდი დღე და გამარჯვება მისცეთ, მაგრამ აკაკისა არ იყოს, ნუ ვიკმარებთ მას, რაც დღეს არის: ჩვენა გვჭირია ამათზედ ბევრად ძლიერნი, ბევრად ნიჭიერნი, ბევრად მომქმედნი. «ის ურჩევნია მამულსა რომ შვილი ჰსჯობდეს მამასაო», დაუგვირგვინებია თავისი სიტყვა ბ-ნ აკაკის. ასეც უანდერძნიათ ჩვენ მამა-პაპებს, რომელთაც ჩვენთვის თავი დაუდვიათ, რომელთა ძვლებით ჩვენს ქვეყანას ზღუდე შემოვლებია, რომელთა სისხლით ჩვენი ქვეყანა მორწყულა. თუ ის დევ-გმირნი, რომელთ საქმენი სწორედ რომ დაუჯერებელნი არიან, ამბობდნენ, რომ ის ურჩევნია მამულსაო, რომ ჩვენი შვილები ჩვენა გვჯობდნენო, ჩვენ რაღა გვეთქმის, ჩვენ, რომელნიც იმათ წინაშე ქონდრის-კაცებად თუ ჩავითვლებით!..

ღმერთმა ადიდოს, ასახელოს, გაუმარჯოს იმ შვილს, რომელიც მამას დაემჯობინება ქვეყნის სამსახურში და რომელიც ეგრე ეჭირვება ჩვენს მშვენიერს მიწა-წყალს, ჩვენს საყვარელს საქართველოს!! გაუმარჯოს აკაკი წერეთელსაც, რომლის სამსახური და ღვაწლი ქართველი გულში ჩაირჩენს სამუდამო სახსოვრად და რომლის მშვენიერის ლექსებით არა ერთხელ დატკბობს ყურს და გრძნობას და არა ერთხელ გულს მოიცემს მამულის-შვილობისათვის.

ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ ЖУРНАЛЪ

# „ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ"

издаваемый въ г. Тифлисѣ.

*(годъ второй)*

Открыта полугодовая подписка на журналъ съ 1 Іюля 1882 г. по 1 Января 1883 года

**цѣна за полъгода 6 р.**

Кромѣ этого можно подписаться на 3 мѣсяца 3 руб. 20 к., на 1 мѣсяцъ 2 р. 20 к. Подписка принимается съ 1 числа каждаго мѣсяца и не далѣе конца года.

Полугодовые подписчики могутъ вносить при подпискѣ 3 р. и черезъ мѣсяцъ еще 3 руб.

Подписка принимается: въ г. Тифлисѣ въ Администраціи журнала, Сололакская улица, д. № 10, въ Москвѣ и въ С. Петербургѣ въ книжныхъ магазинахъ И. И Анисимова.

ი 383
1882

# განცხადება.

ამა 1882 წელს ჟურნალს «ივერიაზედ» ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ მთელის წლით.

ფასი მთელის წლისა შვიდი მანათი.

ხელის-მოწერა მიიღება «ივერიის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება მთა-წმინდაში, ხევის ქუჩაზედ, ფარესაშვილის სახლებში № 9 და აგრეთვე შავერდოვის სააგენტოში.

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთ წერილი და ფული შემდეგის ადრესით უნდა გამოგზავნონ:

*Въ Тифлисъ*
*Въ Редакцію журнала «ИВЕРІЯ»*

ვისაც ჟურნალი თავის დროზედ არ მიუვიდეს, ვთხოვთ, მალე აცნობოს რედაქციას.

---

რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ი. მაჩაბელი.